ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 მაისი **პარასკევი** 2014
№093 (14 314) ფასი 80 თეთრი

# ატლეტიკო VS ბარსელონა

5



# კვირას პრიმერას თავი დაედგმება

ისინი წლეულს მეექვსედ ხვდებიან ერთმანეთს. მოიგებს პირველად ბარსელონა?

დიდი ფინალი გერმანიაში

## ბაიერნი დორტმუნდს არეული დაუხვდება

8




ლელოს სტუმარი

გურამ თოიძე

10



ჩემს მაგიდაზე არა მარტო გაზეთ „ლელოს“, არამედ ჟურნალ „ლელოს“ ყველა ნომერს ნახავთ. ქართული სპორტის მემატიანე ჩემი ცხოვრების თანამგზავრი 1949 წლიდან გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# დავით ოდიკაძე
# ევროპამდე ჩიხურა გაძლიერდება

**საქართველოს ჩემპიონატი, ფაქტობრივად, დასრულდა. ბოლო ტური მხოლოდ სტატისტიკის მოყვარულებს თუ დააინტერესებთ. ცნობილია უმაღლესი ლიგიდან გასავარდნილი კლუბების ვინაობა და ისინიც, ვინც ევროთასებზე ითამაშებენ.**

**საჩხერის „ჩიხურამ" ბოლო ტურში ლანჩხუთის „გურიასთან" რომ წააგოს, ევროთასების საგზურს მაინც ვერ დაკარგავს - გუნდი თასის ფინალში თბილისის „დინამოს" შეხვდება, რომელმაც ჩემპიონობა გაინაღდა და როგორც უნდა დასრულდეს 21 მაისის დაპირისპირება, საჩხერელები ევროპა ლიგაზე მაინც ითამაშებენ - გამარჯვებულის ან ფინალისტის სტატუსით.**

**გუნდის კაპიტანი დავით ოდიკაძე იმედოვნებს, რომ თასის ფინალში გუნდი ღირსეულად გამოვა:**

- ამ ფინალს ყველა მოუთმენლად ველოდებით. დეკემბერში „დინამოსთან" სუპერთასი არ დავანებეთ და ამ შეხვედრისთვისაც ისე მოვემზადებით, რომ შარშანდელი ფინალივით იოლად არ მოგვიგონ. ძლიერი მეტოქე გვყავს, თბილისის „დინამო" ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარა, ჩემპიონატში ყველას სჯობდა და ახლა დუბლის შესრულება სურს. ასე რომ, დაძაბულ თამაშს ველი. მაგრამ თასს თავისი სპეციფიკა აქვს და მის გამოყენებას შევეცდებით.

**- მაგრამ ფაქტია, რომ მეორე წრეში „ჩიხურა" საკუთარ თავს არ ჰგავდა და საკმაოდ აირია. რა დაგემართათ?**

- პირველი წრე მეორე ადგილზე დავასრულეთ და მართლა კარგ ფორმაში ვიყავით. ხომ გახსოვთ, ზაფხულში შეკრებილმა გუნდმა ბოლოს იმდენი მოვახერხეთ, რომ სუპერთასზე თბილისის „დინამო" დამაჯერებლად დავამარცხეთ. მაგრამ საგაზაფხულო ეტაპი და განსაკუთრებით, ფინალური ექვსეული ჩავაგდეთ. მიზეზი რამდენიმეა: ჯერ ის, რომ შემადგენლობაშიც ცვლილება ამჯერადაც მოხდა და რაც მთავარია, გაუგებრობების გამო, გუნდს მოსამზადებელი ეტაპი არ გაუვლია. ამან თითოეულ ჩვენგანზე გავლენა მოახდინა და ფორმაში დროულად ვერ შევედით. მდგომარეობა მხოლოდ ბოლო თამაშებში გამოვასწორეთ და თასზეც დავამტკიცებთ, რა შეგვიძლია.

**- „ჩიხურას", ამ შემადგენლობით, ევროპა ლიგაზე რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

- ალბათ, 2-3 მოთამაშით გავძლიერდებით. ისე, ჩემი აზრით, მინიმუმ 2 ეტაპს თუ გადავლახავთ, კარგი იქნება.

**- ქართველი ფეხბურთის დეგრადაციამ შენ თვალწინ გაირბინა. შენი აზრით, რა მოხდა ისეთი, რის გამოც ხალხმა სტადიონს ზურგი აქცია?**

- 16 წლის ვიყავი, როდესაც დიდების გუნდში, სტუ-ში მიმიწვიეს. მას შემდეგ ბევრს გუნდში მითამაშია, ლიდერებშიც და აუტსაიდერებშიც. ამიტომ, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ 1996 წელს, როდესაც თამაში დავიწყე, გაცილებით უკეთესი საფეხბურთო გარემო იყო და ხალხსაც მეტი ინტერესი ჰქონდა. სტადიონებზე ხალხი მხოლოდ რაიონებში კი არ დადიოდა, 2000 მაყურებლის მოსვლა თბილისშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. არ გახსოვთ, „თბილისი" ხალხმა როგორ შეიყვარა, ზოგჯერ ავლაბრის სტადიონზე ტევა არ იყო. მაშინ ფეხბურთს ბიზნესმენებიც მეტ ყურადღებას აქცევდნენ და ჩანდა, რომ ეს სახეობა ქვეყანაში პოპულარული იყო. რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემა გვაწუხებდა, ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო პირობებში ვვარჯიშობდით და ყველა გუნდს მაგარი მოედნები ჰქონდა. დღეს ზოგიერთ კლუბში სავარჯიშო პირობები აშკარად გამოსწორდა, მაგრამ ეს მასობრივად არ ხდება, ხალხს ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებს და სამწუხაროდ, ჩემპიონატის დონეც აშკარად დაეცა. 10-წლის წინანდელი დონის კლუბები და მოთამაშეები ახლა სანატრელია, ბევრი შუა გზაში იშლება და ყოველ ნახევარ წელიწადში მწვრთნელებს ახალი გუნდის აწყობა უხდებათ. ასეთ არასტაბილურ გარემოში ფეხბურთის განვითარება და აღორძინება წარმოუდგენელია.

**- ასეთ ჩემპიონატში ფეხბურთელებს რა სტიმული უნდა ჰქონდეთ?**

- სახელმწიფო პროგრამის იმედი გვაქვს. კარგი იქნება, თუ ის დროულად დამტკიცდება და ამუშავდება. სხვაგვარად ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება. საერთოდ, ძნელია ამ რეგრესის ყურება და იმის განცდა, რომ ნიჭიერი ბავშვებიც ვერ იზრდებიან. ასეთი გარემო მას ფსიქოლოგიურად კლავს და სტიმულს ართმევს.



დავით ოდიკაძე

**- მერე ასეთ გარემოში 16-გუნდიანი ჩემპიონატი როგორ წარმოგიდგენიათ?**

- საერთოდ, ფეხბურთელებისთვის უმჯობესია, 16 გუნდი რომ იყოს. ასე უფრო ადვილი იქნება გუნდში ჩარიცხვა, ნორმალურ გარემოში ვარჯიში და გაზრდა. მაგრამ იმ შემთხვევას ვგულისხმობ, ყველა გუნდს კარგი პირობები და დაფინანსება თუ ექნება. დღეს კი მხოლოდ 3-4 გუნდია, სადაც ფეხბურთელებს თამაში უხარიათ. ამიტომაც მიმაჩნია, პირობები თუ არ ექნება, 16-გუნდიან ჩემპიონატს აზრი ეკარგება და მეეჭვება, ფეხბურთის განვითარებას ხელი შეუწყოს.

**- აბა, რამდენგუნდიანი ჩემპიონატს ამჯობინებთ?**

- ალბათ, უკეთესი 10-გუნდიანი ჩემპიონატი იქნება. მეტს არც აქვს იმის პირობები, რომ უმაღლეს ლიგაში ითამაშონ. ლიგა უნდა იყოს პრესტიჟული, მოთამაშეს კი სტადიონზე გასვლა უნდა უხაროდეს. და თუ ჯერ პირობები არ არის, ჯერ ეს საკითხი მოაგვარონ და 16 გუნდი მერე ათამაშონ. სხვაგვარად, უმაღლესი ლიგა მაყურებლისთვის მიმზიდველი ვერ გახდება. საერთოდ, ამ რეგრესის მიზეზი პირობების არქონა. თორემ ახლა იმდენი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდა, რაც დიდი ხანია არ მინახავს. გადახედეთ ასაკობრივი ნაკრებების შედეგებს და როგორ ეთამაშებიან ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების გუნდებს. სტაბილურად, ასეთი შედეგები ბოლო 20 წლიწადში არ გვქონია. მაგრამ ჩვენნაირ პირობებში თუ გაიზრდებიან, ისინიც ამ დონეზე დარჩებიან და ნიჭს ვერ გამოავლენენ. მოკლედ, ხელშეწყობა სჭირდებათ და თუ ასე მოხდა, ჩვენს ფეხბურთს წარმატებებს მოუტანენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ამათ უნდათ 16 გუნდი?!

კობა ინასარიძის რუბრიკა

# სულერთია, რომელია, მთავარი ხომ ფერია...



ეს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის A ზონის მეორეადგილოსანი ფოთის „კოლხეთი" გახლავთ. „ლელოს" მკითხველმა ფოტო სწორედაც რომ ამ რუბრიკისთვის მოგვაწოდა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

დააკვირდით ფეხბურთელთა სამოსს და დარწმუნებულნი ვართ, სხვაობასაც აღმოაჩენთ. კარგად ჩანს, რომ 8 ფოთელი ფეხბურთელი „უმბროთია" შემოსილი, დანარჩენებისთვის კი... სამი მაისური „კოლხეთს" „სალერის" კომპლექტიდან აუღია და კიდევ კარგი, ფერი მაინც „დაუსვია"...

ისე, რას ვერჩით, აფერუმ „კოლხეთს", სათამაშო ფორმის ორი სხვადასხვა ფირმის კომპლექტით, დამერწმუნებით, ევროპის გრანდებიც კი ვერ დაიკვეხნიან და აგერ, შავი ზღვის პირას, მოედანზე, რა გინდა რა მაისურების გამოფენა მოუწყვიათ. თანაც, თადარიგიანი ხალხი ყოფილა ამ „კოლხეთში" - 16-გუნდიან (ამაზე ხომ ბევრი ოცნებობს) უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის სამოსიც წინასწარ მოუმარაგებით. გუნდების რაოდენობის გაზრდით ხომ მატჩების რაოდენობაც იზრდება?! ჰოდა, მეტი მატჩისთვის მეტი მაისურია საჭირო. აბა, „სალერზე" თუ მეტოქე ჩამოგეკიდა და შემოგახია, „უმბროთი" თუ არ შეცვალე, ეს რა ფეხბურთია?!

არადა, ფოთში ქართული ფეხბურთის აკვანს რომ არწევდნენ, ასეთ მომავალს წარმოიდგენდნენ?!

*ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ გივი კურტანიძეს*

***P.S. თუ ასეთ და მსგავს ფოტოებს სადმე წააწყდებით არ დაგვზარდეთ და გამოგვიგზავნეთ გაზეთის ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com.***

აქტუალურ თემაზე

# რატომ დამალა ფეხბურთის ფედერაციამ სასჯელის შეცვლის ფაქტი?
## საეჭვო ხუთეულიდან მეტალურგი საეჭვო აღარ არის

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა უეფას აზრით ჩაწყობილ მატჩებში ექვმიტანილ კლუბებს ფედერაციისვე სადისციპლინო კომიტეტის მიერ დაკისრებული საჯარიმო სანქციები მნიშვნელოვნად შეუმცირა. ეს მოხდა 10 მაისს, თუმცა საზოგადოებისთვის ამის შესახებ, რატომღაც, დღეს გახდა ცნობილი...**

მაშინ, როცა ფედერაციის ვებგვერდზე სადისციპლინო თუ სააპელაციო კომიტეტის თითქმის ყველა გადაწყვეტილება უმალ ხელმისაწვდომი ხდება, ეს ამბავი მიაჩუმათეს. სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე **თამარ წერეთლისთვისაც** კი აუხსნელია ის, თუ რატომ იყო აქამდე კლუბებისთვის სასჯელის შეცვლა გასაიდუმლოებული:

*„თითოეული კლუბის შემთხვევაში 12-გვერდიანი დასკვნა დავწერეთ, ჩვენი გადაწყვეტილება სიტყვასიტყვით ავხსენით და სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტი შევცვალეთ, თუმცა გაკვირვებული ვარ, რატომ გახდა ეს საზოგადოებისთვის ცნობილი ახლა. მიზეზს ვერ გეტყვით, ფაქტი კი ის არის, რომ სააპელაციო კომიტეტმა კლუბებისთვის სასჯელის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება 10 მაისს მიიღო"*, - გვითხრა ქალბატონმა თამარმა. ახლა მომხდარ ამბავზე ვთქვათ.



რუსთავის მეტალურგს სანქციები მოუხსნეს

გეხსომებათ, თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემის საფუძველზე მომზადებული რეპორტით, უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რამდენიმე თვის წინათ საეჭვო მატჩების შესახებ აცნობა. ამ მატჩების მონაწილეთა შორის ბოლნისის „სიონი" ხუთჯერ იყო ნახსენები, გორის „დილა" და მარტვილის „მერანი" ოთხ-ოთხჯერ, ხოლო რუსთავის „მეტალურგი" და ფოთის „კოლხეთი" სამ-სამჯერ.

ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილმა სამართლიანობის ჯგუფმა კი ცალკე დასკვნა მოამზადა და სადისციპლინო კომიტეტს გადასცა, რაც გახდა კიდეც ამ კლუბების დასჯის საფუძველი: აქამდე, „სიონს" 25 ათასი ლარი უნდა გადაეხადა, „დილასა" და „მერანს" 23-23 ათასი, „კოლხეთსა" და „მეტალურგს" კი 20-20 ათასი. ამგვარი სასჯელისას სადისციპლინო კომიტეტმა სამართლიანობის ჯგუფის დასკვნასთან ერთად კოდექსის 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით იხელმძღვანელა.

ზოგადად, ეს მუხლი ჩაწყობა-გარიგებაში ორჯერ ან მეტად ეჭვმიტანილთა გამოძიების გარეშე დასჯას ითვალისწინებს. ისიც გეხსომებათ, შერისხულმა კლუბებმა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება სააპელაციოში რომ გაასაჩივრეს. ჰოდა, აგერ, რომ გვეგონა სააპელაციო კომიტეტი ამ საკითხზე კიდევ მუშაობდა, გადაწყვეტილება 5 დღის წინათ მიუღიათ.

სააპელაციო კომიტეტმა ამ 5 კლუბის საქმე ხელახლა განიხილა და, „მეტალურგის" გარდა, დანარჩენ ოთხივე კლუბს, ჯარიმის სახით, 10 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, ხოლო რუსთაველები ბოლომდე გაამართლა. ისევ თამარ წერეთელს მოვუსმინოთ:

- ჯერ ერთი, კლუბებისთვის სასჯელი არ შეგვიმსუბუქებია, ჩვენ მათ სასჯელი შევუცვალეთ და, „მეტალურგის" გარდა, დანარჩენ ოთხს 10-10 ათასი ლარის გადახდა დავაკისრეთ. ახლა მიზეზს გეტყვით - კერძოდ, 126-ე მუხლის 3.1 ნაწილში მითითებულია შემდეგი: „ანგარიში (ე.წ. უეფას რეპორტი - ავტ) შეიძლება იყოს აქტიური - როდესაც სუბიექტის მიმართ გამოხატულია გარკვეული დონის ეჭვები. პასიური კი - როდესაც იგი პირდაპირ არ გამოხატავს ეჭვებს სუბიექტის მიმართ, თუმცა ეს უკანასკნელი ფიგურირებს ანგარიშში". 126-ე მუხლის 3.1 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, ორი ან მეტი პასიური ანგარიში, შესაძლოა, განხილულ იქნეს აქტიური ანგარიშის ეკვივალენტურად. ანგარიშის დადგენის შემთხვევაში, კლუბის მიმართ უნდა გატარდეს სანქცია, ხოლო იმისთვის, რომ გატარდეს სანქცია, უპირობოდ უნდა გაირკვეს, ანგარიში პასიურ თამაშს ეხება თუ აქტიურს. აღნიშნულის გარკვევის შემდეგ კი, თუ საკმარისი და დამაჯერებელი გარემოებები იარსებებს და სააპელაციო კომიტეტი გადაწყვეტს, კლუბს დაეკისროს სანქცია ჯარიმის სახით, ჯარიმა უნდა დაწესდეს თითოეულ აქტიურ ანგარიშზე ცალ-ცალკე და ასევე ცალ-ცალკე დაკისრებული ჯარიმები შიკრიბოს და სწორედ შეკრებილი ჯარიმა დაეკისროს კლუბს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის მე-15 მუხლით, ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა არის 50 ათასი ლარი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პასიურ და აქტიურ ანგარიშებს შორის არის სხვაობა, აუცილებლად უნდა გაირკვეს, ანგარიში აქტიურია თუ პასიური და აქვე განმარტავს - აქტიურია ანგარიში, როცა გუნდი აგებს, ხოლო პასიურია, როცა გუნდი იგებს, თუმცა მხოლოდ მოგების ან წაგებისთვის კლუბის დასჯა არის არა შეუძლებელი, არამედ - დაუშვებელი. განვმარტავ ასევე, რომ გარიგებულ თამაშთან მიმართებაში, აქტიური ანგარიშის დროს, სახეზე უნდა იყოს რამდენიმე აუცილებელი გარემოება, რომელიც იქნება დამაჯერებელი - სანქციის გასატარებლად. კერძოდ: გუნდმა უნდა წააგოს; გუნდზე შემოსული უნდა იყოს რეპორტი, სადაც ანალიტიკოსი, რომელიც აკვირდება ტოტალიზატორში ფსონის დადებას, უნდა უთითებდეს უჩვეულოდ დიდი ფსონის შესახებ; უჩვეულოდ დიდი ფსონი უნდა იდებოდეს წაგებულ გუნდზე.

*მესამე გვერდზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩემპიონო ზეიმი და ვითომ ინტრიგა

## I–VI ადგილები

**17.05. თბილისი. დინამო არენა**
20:00 LIVE II არხზე

**დინამო თბ – მეტალურგი**

ურთიერთშეხვედრები: 24: +19 =6 -8 (28:17)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-დინამო | 0:3 (სჩ) |
| დინამო-ჩიხურა | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო | 3:2 (სჩ) |
| გურია-დინამო | 1:2 (სჩ) |
| დილა-დინამო | 2:4 (სთ) |
| მეტალურგი-გურია | 1:0 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-მეტალურგი | 4:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო | 0:2 (სჩ) |

**17.05. ზესტაფონი. დავით აბაშიძე**
19:00

**ზესტაფონი – სიონი**

ურთიერთშეხვედრები: 28: +16 =7 -5 (33:11)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ზესტაფონი | 2:3 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:5 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო | 3:2 (სჩ) |
| მეტალურგი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 2:1 (სჩ) |
| სიონი-დინამო | 0:3 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| სიონი-გურია | 2:0 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 2:1 (სჩ) |

**17.05. ლანჩხუთი. ევგ. შევარდნაძე**
17:00

**გურია – ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები: 3: +1=0 -2 (3:8)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-გურია | 1:0 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:5 (სჩ) |
| სიონი-გურია | 2:0 (სჩ) |
| გურია-დინამო | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-გურია | 3:0 (სჩ) |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 2:3 (სჩ) |
| დინამო-ჩიხურა | 0:0 (სჩ) |
| ჩიხურა-მეტალურგი | 4:1 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ჩიხურა-შუქურა | 3:1 (სთ) |

## VII–XII ადგილები

**17.05. მცხეთა. მცხეთა პარკი**
17:00

**ვიტ ჯორჯია – სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები: 19: +9 =5 -5 (20:14)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 6:1 (სჩ) |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 0:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-დილა | 2:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:3 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| სპარტაკი-დილა | 2:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 2:0 (სჩ) |
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |

**17.05. ქობულეთი. ჩელე არენა (უმ)**
17:00

**მერანი – ტორპედო**

ურთიერთშეხვედრები 9: +3=1 -5 (10:17)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი-მერანი | 3:0 (სჩ) |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 0:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 2:0 (სჩ) |
| მერანი-დილა | 0:3 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 5:1 (სჩ) |
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 6:1 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 3:0 (სჩ) |
| ტორპედო-ზუგდიდი | 3:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 5:1 (სჩ) |

**17.05. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
17:00

**დილა – ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები: 37: +14 =15 -8 (42:33)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დილა | 2:1 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 3:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-დილა | 2:1 (სჩ) |
| მერანი-დილა | 0:3 (სჩ) |
| დილა-დინამო | 2:4 (სთ) |
| ზუგდიდი-მერანი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდიძ-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| ტორპედო-ზუგდიდი | 3:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:3 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |

### I_VI-ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 31 | 20 | 5 | 6 | 65 | 23 | 65 |
| 2 | ზესტაფონი | 31 | 19 | 4 | 8 | 48 | 23 | 61 |
| 3 | სიონი | 31 | 16 | 6 | 9 | 41 | 33 | 54 |
| 4 | ჩიხურა | 31 | 13 | 7 | 11 | 54 | 47 | 46 |
| 5 | მეტალურგი | 31 | 13 | 6 | 12 | 35 | 37 | 45 |
| 6 | გურია | 31 | 11 | 0 | 20 | 28 | 51 | 33 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 15 | 10 | 3 | 2 | 26 | 11 | 33 |
| 2 | მეტალურგი | 16 | 9 | 4 | 3 | 21 | 9 | 31 |
| 3 | დინამო (თბ) | 15 | 9 | 2 | 4 | 28 | 12 | 29 |
| 4 | ჩიხურა | 16 | 9 | 2 | 5 | 34 | 21 | 29 |
| 5 | სიონი | 16 | 8 | 2 | 6 | 23 | 21 | 26 |
| 6 | გურია | 15 | 8 | 0 | 7 | 19 | 19 | 24 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 16 | 11 | 3 | 2 | 37 | 11 | 36 |
| 2 | ზესტაფონი | 16 | 9 | 1 | 6 | 22 | 12 | 28 |
| 3 | სიონი | 15 | 8 | 4 | 3 | 18 | 12 | 28 |
| 4 | ჩიხურა | 15 | 4 | 5 | 6 | 20 | 26 | 17 |
| 5 | მეტალურგი | 15 | 4 | 2 | 9 | 14 | 28 | 14 |
| 6 | გურია | 16 | 3 | 0 | 13 | 9 | 32 | 9 |

ეს ტურიც და საიუბილეო, XXV ჩემპიონატი დამთავრდება! მერე, ოთხ დღეში თასის ფინალიც ჩატარდება და 2013/14 წლების საფეხბურთო სეზონსაც „დახურულად გამოვაცხადებთ“! ფინალის შემდეგ კი, ტრადიციულად, „ლელოს“ ვერსიით სეზონის გამორჩეულ პერსონებსაც გაგაცნობთ: საუკეთესო ფეხბურთელს, საუკეთესო მწვრთნელს, საუკეთესო მეკარეს, საუკეთესო მცველს, საუკეთესო ნახევარმცველს, საუკეთესო თავდამსხმელს, საუკეთესო დებიუტანტს, სეზონის აღმოჩენას და ასე შემდეგ...

რა თქმა უნდა, ასევე ტრადიციულად, სეზონის სიმბოლურ ნაკრებსაც გაეცნობით, თუმცა, იმ „ნაკრებში“ სამ-ოთხ პოზიციაზე ადგილები უკვე „დაჯავშნულია“: ზოგიერთ ამპლუაში კონკრეტული ფეხბურთელი უკვე იმდენჯერ არის დასახელებული „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“, რომ ბოლო, XXXII ტურის მონაცემებით არც არაფერი შეიცვლება.

ვინ არიან ეს ფეხბურთელები? მოდი, ეს კითხვა ჯერჯერობით „ღიად“ დავტოვოთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ქვეყნის ძველ-ახალი ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ ესპანელი ლეგიონერი ჩისკო (ისე როგორც- წინა სეზონში) თავის ამპლუაში მართლაც უკონკურენტოა და შარშანდელის მსგავსად, ახლაც ყველაზე მეტჯერ მოხვდა „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“.

თუმცა, ვატყობთ, რომ მოვლენებს გავუსწარით და ლამის არის, სეზონის შეჯამება დავიწყეთ; არადა, წინ ხომ ბოლო ტური გველოდება, რომლის შედეგებსაც, ფაქტობრივად, არანაირი მნიშვნელობა არ ექნება სატურნირო სიტუაციაზე. ჰო, ბოლო წლებისგან აშკარად განსხვავებულ „სურათს“ ვხედავთ: ჩემპიონიც ცნობილია, პრიზიორებიც, ევროტურნირებზე მოასპარეზენიც და პირველ ლიგაში დაქვეითებული გუნდებიც!

მოკლედ, ფორმალური ტური გველოდება და, ისე როგორც მთელი სეზონის განმავლობაში, ახლაც შევეცდებით რაიმე ინტრიგის „მოგონებას“...

### VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ტორპედო | 31 | 13 | 6 | 12 | 42 | 44 | 45 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 31 | 13 | 6 | 12 | 41 | 44 | 45 |
| 9 | დილა | 31 | 11 | 8 | 12 | 44 | 35 | 41 |
| 10 | სპარტაკი | 31 | 11 | 4 | 16 | 32 | 38 | 37 |
| 11 | ზუგდიდი | 31 | 9 | 6 | 16 | 25 | 42 | 33 |
| 12 | მერანი | 31 | 6 | 4 | 21 | 21 | 59 | 22 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 2 | 5 | 24 | 15 | 26 |
| 8 | სპარტაკი | 16 | 8 | 2 | 6 | 19 | 16 | 26 |
| 9 | ზუგდიდი | 16 | 7 | 4 | 5 | 17 | 17 | 25 |
| 10 | დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 25 | 17 | 22 |
| 11 | ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 25 | 21 | 22 |
| 12 | მერანი | 15 | 5 | 2 | 8 | 14 | 22 | 17 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ტორპედო | 15 | 7 | 2 | 6 | 17 | 23 | 23 |
| 8 | დილა | 16 | 5 | 4 | 7 | 19 | 18 | 19 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 4 | 7 | 17 | 29 | 19 |
| 10 | სპარტაკი | 15 | 3 | 2 | 10 | 13 | 22 | 11 |
| 11 | ზუგდიდი | 15 | 2 | 2 | 11 | 8 | 25 | 8 |
| 12 | მერანი | 16 | 1 | 2 | 13 | 7 | 37 | 5 |



დინამო მეტალურგს ჩემპიონის რანგში დაუპირისპირდება

ფოტო: fcdinamo.ge

ქვეყნისან უკვე ხუთგზის ჩემპიონისათვის, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მატჩი უნდა იყოს „მეტალურგთან“ დაპირისპირება; მით უფრო, რომ **მალხაზ ჟვანიას** (რომელსაც სამწვრთნელო კარიერაში პირველ ტიტულს ვულოცავთ) გუნდს თასის ფინალი ელოდება. თუმცა, ამ „არაფრისმომცემ“ ტურში „დინამოს“ მაინც ექნება საკმარისი მოტივაცია: გუნდის სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები და ხელმძღვანელები საჩემპიონო თასთან ერთად ოქროს მედლებსაც მიიღებენ და, რაც მთავარია, თავის ერთგულ ფან-კლუბთან ერთად იზეიმებენ მორიგ ტიტულს!

ერთი სიტყვით, შაბათ საღამოს „დინამო-არენაზე“ საჩემპიონო ფოიერვერკი გველოდება და იმედი დავიტოვოთ, რომ „დინამოსა“ და „მეტალურგის“ (**ვარლამ კილასონიას** გუნდში ერთიმეორეზე პერსპექტიული და საინტერესო ახალგაზრდები თამაშობენ) მატჩით გულშემატკივარი დაინტერესდება და ჩვენი მთავარი საფეხბურთო სტადიონის ტრიბუნებიც ცარიელი არ იქნება...

..."დინამოს" მსგავსად თასის ფინალისათვის მოსამზადებელ მატჩად გამოიყენებს „გურიასთან“ დაპირისპირებას „ჩიხურაც“; ანუ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საჩხერელთა გუნდის გამოცდილმა თავკაცმა **სოსო ფრუიძემ** თავის გამოჩენის საშუალება იმ ფეხბურთელებს მისცეს, რომლებთაც მიმდინარე სეზონში ძირითადში ასპარეზობა ხშირად არ უწევდათ.

ისე, „გურია“-“ჩიხურას“ მატჩი ამ ტურში ყველაზე... დამაინტრიგებლად მივიჩნიეთ: ბოლოს და ბოლოს, ლანჩხუთელთა გუნდის კოშმარული სერია (ზედიზედ ათი წაგება) ოდესმე ხომ უნდა შეწყდეს? ამას გარდა, ისიც საინტერესოა, დაამყარებს თუ არა „გურია“... ევროპული „მასშტაბის“ რეკორდს! ჰო, მართლაც „სარეკორდო“ და უჩვეულო ამბავია, როცა მთელი სეზონის განმავლობაში გუნდს არც ერთი ფრე არ ექნება!

...სხვა წყვილებზე კი რა უნდა ვთქვათ: „დილა“-“ზუგდიდის“ მატჩი იმით იქნება საინტერესო, რომ მასპინძელთა გუნდის ყოფილი (თანაც - წარმატებული!) თავკაცი **გიორგი დარასელია** ამჯერად მეტოქის რანგში უნდა ჩავიდეს გორში და ქუთაისის „ტორპედოში“ ასპარეზობისას ყოფილ თანაგუნდელს **გია გიგატაძეს** უნდა დაუპირისპირდეს.

„ვიტ ჯორჯია“-“სპარტაკის“ მატჩის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ისე როგორც პირველ ლიგაში დაქვეითებული „მერანისა“ და ბოლო დროს ჩინებულად ათამაშებულ „ტორპედოს“ დაპირისპირებას, თუმცა ინტრიგა აქაც „მოვძებნეთ“: მარტვილელთა გუნდმა ამ სეზონში სად აღარ ჩაატარა „საშინაო“ მატჩები (სამტრედია, თბილისი, მცხეთა), ახლა კი „მერანის“ მთავარი მწვრთნელი **ზურაბ იონანიძე** თავის გამოცდილ კოლეგა **რევაზ ძოძუაშვილს**... ქობულეთში „უმასპინძლებს“.

რაღა დარჩა? ბოლო წყვილიც, „დინამო“-“მეტალურგის“ მსგავსად, ასევე საღამოს საათებში რომ უნდა გაიმართოს და XXV ჩემპიონატის მეორე და მესამე გუნდების პაექრობამ, წესითა და რიგით, საინტერესოდ უნდა ჩაიაროს; მით უფრო, რომ **გია გეგუჩაძისა** („ზესტაფონი“) და **ლადო ბურდულის** („სიონი“) დამოძღვრილ გუნდებში, რამდენიც გნებავთ იმდენი მოთამაშეა, ფეხბურთის თამაში რომ არ დაეწუნება...

**გია ტუხაშვილი**

● აქტუალურ თემაზე

# რატომ დამალა ფეხბურთის ფედერაციამ სასჯელის შეცვლის ფაქტი?

*მეორე გვერდიდან*

პასიური ანგარიშის დროს კი, როგორც მინიმუმ, გუნდმა უნდა მოიგოს; გუნდზე შემოსული უნდა იყოს ორი ან მეტი რეპორტი, სადაც ანალიტიკოსი უნდა უთითებდეს უჩვეულოდ დიდი ფსონის შესახებ და უჩვეულოდ დიდი ფსონი იდებოდეს მოგებულ გუნდზე.

ხოლო, როცა არსებობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება, იმავე ან სხვა სახით, და ეს გარემოებები დამაჯერებელია, შესაბამისად, საკმარისია, გამოძიებისა და ფაქტების დადგენის გარეშე დაწესდეს 126-ე მუხლის 3.3 ნაწილით გათვალისწნებული რომელიმე სანქცია. იმ შემთხვევაში, როცა არის ეჭვი იმის შესახებ, რომ მატჩის მონაწილე ორივე გუნდი იყო გარიგებული და ორივე მანიპულირებდა, ასეთ დროს, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს - ჩანს, თუ არა სპორტული ინტერესი, შემდეგ უნდა გაირკვეს ტოტალიზატორში იდებოდა თუ არა უჩვეულოდ დიდი ფსონი და საქმე განხილული უნდა იყოს ორივე გუნდის მონაწილეობით ერთად და არა - ცალ-ცალკე. შესაბამისად, სააპელაციო კომიტეტი იზიარებს მოსაზრებას, რომ 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია ყოველგვარი გამოძიების და ფაქტების დადგენის გარეშე დაწესდეს სანქცია, მაგრამ იურიდიული ორგანოები ვალდებული არიან, გაარკვიონ, ეს არის აქტიური თუ პასიური ანგარიში და, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსული ანგარიში და არც ერთ შემთხვევაში ეს არ უნდა მოხდეს ეჭვის საფუძველზე, ვინაიდან ამის საჭიროება არ არსებობს. ეს არის ის მიზეზი, რის გამოც შორეულ წარსულში ჩადენილი დარღვევების გამო ითქვა უარი კლუბების დასჯაზე. სააპელაციო კომიტეტმა არ ჩათვალა საჭიროდ რაიმე სახის სანქციის ახლა მიღება. ეს არ იქნება პრევენციული ღონისძიება, სანქციის დაკისრების შემთხვევაშიც პრევენცია ვერ მიაღწევს ვერანაირ მიზანს და ექნება ფორმალური ხასიათი, ხოლო ფორმალობა ჩრდილს მიაყენებს გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლას და შებლალავს უეფას მე-11 რეზოლუციას, შეაფერხებს ბრძოლას საფეხბურთო მაფიის წინააღმდეგ.

**- ანუ, უფრო რომ დავაზუსტოთ, კლუბებს ადრე ჩატარებულ საეჭვო მატჩებზე, ასე ვთქვათ, ბრალდება მოეხსნათ...**

- დიახ, და „მეტალურგის“ გარდა, ოთხივე კლუბი ახლო წარსულის შეხვედრებში დარჩა ეჭვმიტანილი, რის გამოც მათ 10-10-ათასიანი სანქცია დაეკისრათ. „მეტალურგის“ ყველა ნახსენები შეხვედრა კი საერთოდ, სამი-ოთხი წლის წინანდელია. ამიტომ, რუსთაველ კლუბს საჯარიმო სანქცია ბოლომდე მოეხსნა. 2011-/12 წლების მატჩებზე ეჭვები კი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმ ამბების გათვალისწინებით, კატეგორიულად არაგონივრულია.

**- ერთი საეჭვო მატჩისთვის საჯარიმო სანქცია 10 ათასი ლარით თუა შეფასებული, ბოლნისის „სიონი“ ხუთ ასეთ შეხვედრაში იყო ეჭვმიტანილი. რატომ იყო ეს კლუბი დასჯილი 25 ათასით?**

- დიახ, ერთი საეჭვო თამაში, ასე ვთქვათ, სადისციპლინო კოდექსით 10 ათასი ლირს. ხოლო რატომ დაისაჯა „სიონი“ თავის დროზე 25 ათასით, ვერ გეტყვით. სხვათა შორის, სწორედ „სიონი“ არის ის გუნდი, რომელმაც კლუბში უმალ შექმნა ცალკე ჯგუფი და ის ჩემპიონატში თუ თასზე გარიგებულ მატჩებთან საბრძოლველად ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობას შეუდგა. სხვათა შორის, სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას ეს ფაქტიც გაითვალისწინა.

**- სააპელაციო კომიტეტში ამჟამად რაიმე საქმე არის შემოსული?**

- ჯერჯერობით, არაფერი. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ჩვენთან საქმეები სადისციპლინო კომიტეტის შემდეგ მოდის ხოლმე.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● I ლიგა



სამტრედიაში სტადიონი ქომაგთა ნაკლებობას არ უჩივის

# სამტრედია კუთვნილ ადგილს ითხოვს

## ჩემპიონობა წაგვართვეს და თამაშიც აგვიკრძალონო...

საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის მთავარი ნაწილი დასრულდა. B ჯგუფში ჩასატარებელია მხოლოდ ორი გადადებული მატჩი, რომელთა შედეგი სატურნირო ცხრილზე მნიშვნელოვნად ვერ იმოქმედებს. პირველ ადგილზე 65 ქულით „სამტრედია" გავიდა, რომელმაც კონკურენტ ბათუმის „დინამოს" 6 ქულით გაუსწრო და თუ ქულების რაოდენობას გავითვალისწინებთ, ლიგის ორივე ჯგუფში საუკეთესო გუნდია.

მაგრამ, საკითხავია, ითამაშებს თუ არა იმერული გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეიოფში. 25-27 აპრილს გამართულ ლიცენზირების კომიტეტის სხდომაზე, 2014/15 წლების სეზონისთვის უეფასა და ეროვნული კატეგორიის ლიცენზიები 9 კლუბზე გაიცა, „სამტრედია" კი მათ შორის არ აღმოჩნდა.

ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში ეწერა: „კლუბების მიერ სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევები განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტს, 2014-2015 წლების ჩემპიონატის მონაწილეთა დაკომპლექტების შემდეგ. კლუბები უკვე ინფორმირებულები არიან გადაწყვეტილებების შესახებ და ლიცენზიის მაძიებლებს შეუძლიათ, 5 მაისამდე გაასაჩივრონ ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება".

დღეს 16 მაისია და ჯერაც უცნობია ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, სამტრედიელები კი ითხოვენ, რომ დროულად უთხრან, აქვთ თუ არა პლეიოფში მონაწილეობის უფლება.

### ლევან ბაკურაძე,

სამტრედიას კაპიტანი

- მთელი სეზონი ვიომეთ, ვიბრძოლეთ და მართლა ღირსეულად გავიმარჯვეთ, და ეს მაშინ, როცა ლიდერებში ყველაზე მცირე ბიუჯეტი გვქონდა. არადა, ახლახან გვითხრეს, რომ შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში არ დაგვიშვან.

**- ლიცენზიას თუ ვერ იღებთ, ფედერაციამ რა უნდა ქნას, ეს ხომ კლუბის ბრალია?**

- ლიცენზია უმაღლესი ლიგის ექვსმა გუნდმა ვერ მიიღო და გამოდის, არაორდინარული ვითარებაა. ფედერაციამ და ალმასკომმა ამის მიხედვით უნდა მონახონ გამოსავალი და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ. ფედერაციაშიც ადამიანები მუშაობენ და არა მგონია, არ ესმოდეთ, რომ მთელი წლის შრომის წყალში ჩაყრა გუნდის დანგრევას ნიშნავს. ჩვენ უშუალო კონკურენტებთან თამაშებში დავამტკიცეთ, რომ უმაღლესში ადგილს ვიმსახურებთ და ამ უფლების წართმევა უსამართლობა იქნება. მით უფრო, რომ ყველამ იცის - სამტრედია არის ის იშვიათი გამონაკლისი, სადაც სტადიონზე ხალხი დადის, ფეხბურთი უყვართ და ძლიერი მხარდაჭერაც შეუძლიათ. თუ ჩემპიონატზე მაყურებლების რაოდენობის გაზრდა სურთ, არ მესმის, „სამტრედიას" ხელს როგორ ჰკრავენ? თუ სამართალია, უმაღლესში უნდა დაგვიშვან, რადგან გუნდს სტადიონი, ბაზა და სათამაშოდ აუცილებელი ყველა პირობა გააჩნია, პლუს, უპატრონოდაც ნამდვილად არ ვართ, ხარვეზები რომ ვერ მოვაგვაროთ.

### გელა სანაია,

სამტრედიას მთავარი მწვრთნელი

- რაც გუნდმა მთელი სეზონი იწვალა და იშრომა, გამოდის, რომ ეს ყველაფერი წყალშია გადაყრილი. არ ვიცი, ამას როგორ მიიღებს გულშემატკივარი. ყველამ იცის ფეხბურთისადმი სამტრედიელების დამოკიდებულება. მთელი სეზონი, როგორც გუნდი შრომობდა, ასევე იყო ჩვენი გულშემატკივარიც. გასვლით შეხვედრებზე 300-400 კაცი დადიოდა და არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ხალხი იმედგაცრუებული დარჩება. გუნდი პლეიოფის მიღმა თუ დარჩება, არც ვიცი, ქომაგებს ეს როგორ უნდა ავუხსნათ.

**- იმას რაღა უნდა მოუხერხოთ, რომ ლიცენზირებაში სერიოზული ხარვეზი გაქვთ?**

- ეს საკითხი ჩემს კომპეტენციას სცდება და ამომწურავ პასუხს ვერ გაგცემთ. კომპეტენტური რაშიც ვარ, იმას ვამბობ - მთელი ქალაქის, მწვრთნელების, მოთამაშეებისა და გულშემატკივრების შრომა ქარს არ უნდა გავატანოთ. ცნობილია, რომ კლუბს ყაზახური კომპანია პატრონობდა, მაგრამ დაგვტოვა, ახალი მეპატრონე კი იურიდიულ მხარეს აგვარებდა და ამიტომაც შეიქმნა პრობლემები, თორემ, მერწმუნეთ, მოუგვარებელი არაფერია. რაც მთავარია, დროულად უნდა ვიცოდეთ, ვიღებთ თუ არა პლეიოფში მონაწილეობას, ფეხბურთელები მოვამზადოთ თუ დავასვენოთ? მნიშვნელოვანი მინიტურნირის დაწყებამდე ასეთი გაურკვევლობა ძალიან არასასურველია.

### არჩილ ბოხუა

სამტრედიას ფანკლუბის ლიდერი

- „სამტრედიას" თუ არ დაუშვებენ, გულშემატკივრები ფეხბურთის ფედერაციასთან შევიკრიბებით და მოვითხოვთ, დამსახურებული პირველი ადგილი არ წაგვართვან. ჩვენ კი 2-3 კაცით არ ჩამოვალთ და საყვარელ კლუბს კბილებით დავიცავთ. საკმარისია ამდენი უსამართლობა. ჯერ იყო და, წლების წინათ ჩემპიონობა წაგვართვეს, მერე ორჯერ ლიგიდან უსამართლობით გაგვაგდეს და ახლა კუთვნილ ადგილს არ გვითმობენ. რა ხდება? თუ „სამტრედიაში" ფეხბურთი არ უნდათ, პირდაპირ თქვან და გულს არ გავიხეთქავთ, მაგრამ ყოველთვის ასე, მიზეზ-მიზეზ შეიძლება ჩვენი დაჩაგვრა? ეს იმ დროს, როცა ლიცენზია სულ 6 გუნდს აქვს აღებული, მაინცდამაინც ჩვენ გავეჩხირეთ ვიღაცას ყელში? კლუბს ლიცენზირების პირობების შესრულება უნდა მოეთხოვოს, მაგრამ ადგილი არ უნდა წაგვართვან. ეს იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება. თამაშის დაწყებამდე სამტრედიაში ხალხი წუთებს და წამებს ითვლის, გუნდი წარმატებულია და მგონია, რომ უმაღლესში თამაშს იმსახურებს.

● ქართველები საფრანგეთში

# ერთი სტრასბურში, მეორე ლილში და ნაკრების კანდიდატებში

დღეისე არ გადის, უცხოეთში მოთამაშე უცნობ ქართველებზე სიახლე არ შევიტყოთ. ასე მაგალითად, საფრანგეთში საინტერესო მოთამაშის მოძებნაში გულშემატკივარი დაგვეხმარა. ის **გეგა ჩაკვეტაძე** გახლავთ, რომელიც „სტრასბურის" 16-წლამდელებშია და საკმაოდ შედეგიანადაც თამაშობს.

*„ბათუმში დავიბადე და გავიზარდე. ერთი წელი თბილისში, „საბურთალოში" ვვარჯიშობდი, მერე კი - ბათუმში. ჯერ „ესპანიოლში" ვიყავი სინჯებზე და 5 თვეა, რაც საფრანგეთში მამაჩემმა ჩამომიყვანა. ცენტრალური ნახევარმცველი ვარ. თუმცა ფლანგებზეც მათამაშებენ. ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია. იურიდიული საკითხების მოგვარებას ველი, რის შედეგადაც ევროკავშირის ნებისმიერ კლუბში თამაშის უფლებას მივიღებთ"*, - ამბობს ჩაკვეტაძე.

**ნიკა ქუთათელაძეზე** ადრეც დაგვიწერია. ეს ბიჭი მალე ჩეხეთის მოქალაქეობას მიიღებს. მეოთხე წელია, რაც საფრანგეთში, „ლილის" საფეხბურთო სკოლაში თამაშობს და წარმატებითაც. 13 წლის თავდამსხმელი შარშან საფრანგეთში გამართულ ბავშვთა ჩემპიონთა ლიგის თანაბომბარდირი გახდა. ახლა კი ქუთათელაძე საფრანგეთის 14-წლამდელთა ნაკრების სელექციონერებმა შენიშნეს და მარტში ჩრდილოეთ საფრანგეთის მხარის შესარჩევებზე მიიწვიეს, სადაც „ლილიდან" სულ 2 მოზარდი იყო. ასეთივე შესარჩევია ყველა რეგიონში, მაგრამ ქუთათელაძე საფრანგეთის რეზიდენტი რომ არ არის, მისი თამაში ამიტომ გამოირიცხა - არადა, ორჯერ იყო შეკრებაზე, მანამდე კი პატარა „მამლებში" მისი თამაშის იურიდიული მხარის მოგვარებას ცდილობდნენ.



ნიკა ქუთათელაძე



გეგა ჩაკვეტაძე

როგორც ფეხბურთელის ოჯახში გვითხრეს, 13 წლის ბავშვს „ლილმა" სტუდენტური კონტრაქტი 2+3 სისტემით გაუფორმა და 16-წლამდელების გუნდში ავარჯიშებენ. ეს მაშინ, როცა გუნდიდან ძალიან ბევრი გაუშვეს, მათ შორის ერთი - ალჟირელი გახლდათ, რომლის ვიდეომაც „იუთუბიზე" მილიონები ალაფრთოვანა. ქუთათელაძესთან ხელშეკრულებას ორი წლის შემდეგ გადახედავენ და თუ დღევანდელი ტემპით გააგრძელა ზრდა, „ლილი" პროფესიულ კონტრაქტს გაუფორმებს და სტიპენდიას (ანუ პირველ ხელფასს) დაუნიშნავს.

● პროექტი

# გაიხსნება დავით ყიფიანის სახელობის აკადემია?

## ანუ ვან დერ სარის ქართველი ჯგუფელის ოცნება





იოჰან კრუიფი და გიორგი ყიფიანი

თბილისის „ლოკომოტივისა" და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი ყიფიანი** ფეხბურთს დაუბრუნდა, ოღონდ... ტელეწამყვანის როლში. ამიერიდან, ქართული ფეხბურთის ლეგენდის, **დავით ყიფიანის** ვაჟს ტელეკომპანია GMG-ის ეთერში საკუთარი გადაცემით ვიხილავთ.

*„გადაცემა მიეძღვნება ქართულ ფეხბურთსა და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს. ის ეთერში ყოველ სამშაბათ საღამოს გავა სახელწოდებით - „ფეხბურთის დრო". ჩვენ გვსურს, ფეხბურთზე ხარისხიანი გადაცემა გაკეთდეს, უფრო ახლოს გავაცნოთ გულშემატკივრებს ასაკობრივი ნაკრებების წევრები და ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი თაობები მოდიან და მათ ქართულ ფეხბურთში საკუთარი სიტყვა უნდა თქვან"*, - ამბობს ყიფიანი.

25 წლის ყოფილმა ფეხბურთელმა კარიერა ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა. ეს იმ დროს იყო, როცა მისით თბილისის „დინამო" დაინტერესდა. ყიფიანს სატელევიზიო დებიუტი ორიოდე წლის წინათ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I არხზე, სპორტული ნაწილის წამყვანის როლში ჰქონდა. მაგრამ წმინდა საფეხბურთო სფერო არ დავიწყებია - 2013 წელს წელს ჰოლანდიაში **იოჰან კრუიფის** მიერ დაარსებული სპორტის კვლევითი ინსტიტუტი სპორტული მენეჯმენტის განხრით დაამთავრა და საინტერესო გზაც გამოიარა:

*„კარიერის დასრულების შემდეგ ვოცნებობდი, რომ ამსტერდამში, იოჰან კრუიფის მიერ დაფუძნებულ ინსტიტუტში მესწავლა. ის მამაჩემის საყვარელი ფეხბურთელი იყო, მისი სახელი ჩემთვისაც ბევრს ნიშნავს და ამ სასწავლებელში ამიტომაც ჩავაბარე. სხვათა შორის, სამდღიანი სემინარი ბარსელონაში გვქონდა, სადაც კრუიფი ვნახე და ველაპარაკე. მამაჩემი ძალიან თბილად გაიხსენა და გაუხარდა, მისი სასწავლებელი რომ შევარჩიე. იქ ნასწავლი საგნები ჟურნალისტიკას არანაირად არ უკავშირდება, მაგრამ ამ სფეროშიც ძალიან მეხმარება. სწავლებაც, ძირითადად, საფეხბურთო მენეჯმენტს ეხებოდა და ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო".*

გიორგი ყიფიანი სხვა საინტერესო ამბებსაც იხსენებს: *„ძალიან ცნობილ და მაგარ ხალხთან ერთად მოვხვდი - მაგალითად, ჩემი ჯგუფელები იყვნენ სხვადასხვა სახეობის ვარსკვლავები: კიკბოქსინგში ერნესტ ჰოოსტი, რესტლერში - მისტერ პერფექტი, საიტლინგიდან იან ბოსი და, რაც მთავარია, ედვინ ვან დე სარი. ჰოლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერის" ყოფილი მეკარე ჩემზე ბევრად დიდია და არ ვიცი, ერთად რატომ ვსწავლობდით. კარიერის დასრულების შემდეგ სწავლა არავის ეთაკილება, პირიქით, კარგი ტონიც არის, რადგან ისევ ფეხბურთში უნდა დარჩნენ. ჰოლანდიაში მეც ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა".*

ყიფიანი ამბიციური გეგმებსაც გვიმხელს: *„ჰოლანდიაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება უსარგებლოდ რომ არ დამრჩეს, ახლა საგანმანათლებლო პროექტებზე დავიწყე მუშაობა. ჩემი მთავარი მიზანია, დავაფუძნო დავით ყიფიანის სახელობის საფეხბურთო სკოლა. ამ ჩანაფიქრის ასრულება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მამაჩემის ხსოვნას პატივი რეალური საქმით უნდა მივაგო. ჩემი წარმოდგენით, ეს საფეხბურთო სკოლა კრუიფის სამწვრთნელო მეთოდიკით უნდა მუშაობდეს, რადგან კრუიფის ფილოსოფია, მისი დანერგილი მიმართულებები და საფეხბურთო კულტურა ჩვენს ხასიათთან და საფეხბურთო კულტურასთანაც ახლოსაა - ქართველ გულშემატკივარსაც უყვარს შემტევი ფეხბურთი, ის ვერასოდეს მიიღებს და გაითავისებს 8-1-1 ტაქტიკურ საშინელებას, როცა მთელი გუნდი დაცვაში ზის. სკოლის დაფუძნება კი ბავშვებს ამ ფეხბურთის კარგად ათვისებას და მაღალ დონეზე თამაშში შეუწყობს ხელს".*

თუმცა გიორგი ჯერ არ აკონკრეტებს, რამდენად რეალურია ამ პროექტის განხორციელება: *„დავით ყიფიანის სახელობის აკადემიის დაარსების შესახებ რამდენიმე კლუბს და კერძო ინვესტორს ველაპარაკე. მიხარია, რომ ისინი ჩემი წინადადებით ძალიან დაინტერესდნენ. თუმცა, მის განხორციელებას საკმაოდ დიდი სახსრები სჭირდება. იმედია, ადრე თუ გვიან ეს პროექტი რეალური გახდება. არა იმიტომ, რომ დავით ყიფიანი მამაჩემი იყო, არამედ იმიტომ, რომ ქართულ ფეხბურთში მოვლენა იყო და მიმაჩნია, რომ დაფასებას იმსახურებს".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVIII ტურის წინ

# NOU CAMP, NOU CAMPEON

## ბარსელონაში ფინალის ფინალი გაიმართება



მესიმ (შუაში) „ატლეტიკოს“ სეზონში გამართული ხუთი მატჩიდან ერთშიც ვერ გაუტანა

### 16 მაისი

**მალაგა-ლევანტე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** დუდა, ანხელერი (ორივე „მალაგა“), პედრო ლოპესი, სიმაო ჟუნიორი (ორივე „ლევანტე“)

**ტრავმა:** ფლავიო, ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ტისონე -

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +6 =0 -4 (10:10)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-7) +2 =2 -2 (6-4)

### 17 მაისი

**რეალი-ესპანიოლი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** პეპე, დი მარია, ვარანი, დანიელ კარვახალი, ხესე როდრიგესი - .

ურთიერთშეხვედრები

**სულ 41 თამაში: +28 =6 -7 (82:33)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =2 -1 (15-5) +0 =2 -4 (6-12)

**ვალენსია-სელტა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** პაკო ალკასერი (ვალენსია)

**ტრავმა:** მატიო, გუაიტა, ორიოლ რომეუ - უგო მალიო, ველიგტონი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +13 =11 -5 (39:24)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =3 -2 (5-7) +4 =1 -1 (14-8)

### 18 მაისი

**სოსიედადი-ვილიარეალი 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ხოსე ანხელი - ოლივერ ტორესი, ედუ რამოსი, პინა, პერბე, დორადო, პაბლო ინიგესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 23 თამაში: +6 =9 -8 (22:31)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =3 -1 (7-9) +2 =1 -3 (7-6)

**ვალეკანო-ხეტაფე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არბილია (რაიო ვალეკანო), ს. ესკუდერო (ხეტაფე)

**ტრავმა:** ნ. კასტილიო, ხ. ვიერა, ხოსე კარლოსი - ა. კოლუნგა, მოია

ურთიერთშეხვედრები

**სულ 8 თამაში: +5 =0 -3 (12:9)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (11-10) +2 =2 -2 (4-5)

**ალმერია-ბილბაო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ელდერ ბარბოსა - ადურისი, ეკისა, გურპეგი, კიკე სოლა, იბაი გომესი, ინიგო პერესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +2 =2 -5 (11:22)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =0 -3 (10-13) +4 =1 -1 (13-5)

**ვალიადოლიდი-გრანადა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარკ ვალიენტე (ვალიადოლიდი), მურილიო (გრანადა)

**ტრავმა:** მანუჩო - .

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +2 =1 -2 (5:8)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =3 -2 (6-9) +1 =1 -4 (3-14)

**ოსასუნა-ბეტისი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** სეხუდო, მანუელი, ლოე - ნონო, ამაია, დიდაკ ვილა, ჩული, ნაჩო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 22 თამაში: +8 =4 -10 (30:25)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =3 -2 (4-9) +1 =0 -5 (8-15)

**სევილია-ელჩე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფ. ნავარო (სევილია), ბოტია (ელჩე)

**ტრავმა:** სისინიო, კრისტოფორო, ჩერიშევი - აარონ ნიგესი, მანუ დელ მორალი, ა. ხიმენესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +2 =3 -0 (6:3)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (11-5) +2 =2 -2 (4-5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 37 | 28 | 5 | 4 | 76-25 | 89 |
| 2. ბარსელონა | 37 | 27 | 5 | 5 | 99-32 | 86 |
| 3. რეალი | 37 | 26 | 6 | 5 | 101-37 | 84 |
| 4. ბილბაო | 37 | 20 | 9 | 8 | 66-39 | 69 |
| 5. სევილია | 37 | 17 | 9 | 11 | 66-51 | 60 |
| 6. სოსიედადი | 37 | 16 | 11 | 10 | 61-53 | 59 |
| 7. ვილიარეალი | 37 | 16 | 8 | 13 | 58-43 | 56 |
| 8. სელტა | 37 | 14 | 7 | 16 | 48-52 | 49 |
| 9. ლევანტე | 37 | 12 | 12 | 13 | 35-42 | 48 |
| 10. ვალენსია | 37 | 12 | 10 | 15 | 49-52 | 46 |
| 11. ვალეკანო | 37 | 13 | 4 | 20 | 45-78 | 43 |
| 12. ესპანიოლი | 37 | 11 | 9 | 17 | 40-48 | 42 |
| 13. მალაგა | 37 | 11 | 9 | 17 | 38-46 | 42 |
| 14. ელჩე | 37 | 9 | 13 | 15 | 29-47 | 40 |
| 15. ალმერია | 37 | 11 | 6 | 20 | 43-71 | 39 |
| 16. ხეტაფე | 37 | 10 | 9 | 18 | 33-53 | 39 |
| 17. გრანადა | 37 | 11 | 5 | 21 | 31-56 | 38 |
| 18. ოსასუნა | 37 | 9 | 9 | 19 | 30-61 | 36 |
| 19. ვალიადოლიდი | 37 | 7 | 15 | 15 | 38-59 | 36 |
| 20. ბეტისი | 37 | 6 | 7 | 24 | 35-76 | 25 |

**ბომბარდირები:** 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 27 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 18 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - არიც ადურისი (ბილბაო), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

17.05. ბარსელონა
კამპ ნოუ
20:00

**ბარსელონა**

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

43 თამაში: +19=10=14

**ატლეტიკო**

სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა: პინტო; ბარტრა, მასკერანო, დ. ალვეში, ალბა; ბუსკეტსი; ჩავი, ინიესტა; მესი; სანჩესი, პედრო

ატლეტიკო: დ. კოშტა, ვილია; ა. თურანი, კოკე; გაბი, ტიაგო; ფ. ლუიში, ხუანფრანი; გოდინი, მირანდა; კურტუა

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: [illegible] - კ. როდრიგესი

**ესპანეთის ჩემპიონატში ორი რამ დარჩა გასარკვევი - ვინ გახდება ჩემპიონი და რომელი ორი გუნდი გავარდება „ბეტისთან“ ერთად. უილბლო დუეტის ვინაობას კვირას შევიტყობთ, საჩემპიონო შეხვედრა კი შაბათს, ჩვენი დროით 20 საათზე დაიწყება...**

„ბარსელონამ“ და „ატლეტიკომ“ წელს ერთმანეთის წინააღმდეგ უკვე 5-ჯერ ითამაშეს. აქედან, 4 შეხვედრა ფრედ დასრულდა, ერთხელ კი „ატლეტიკომ“ იმარჯვა. დაუმარცხებელი სერიის გაგრძელების შემთხვევაში, „როხიბლანკო“ ესპანეთის ჩემპიონი გახდება, ხოლო თუ დამარცხდა, მაშინ ტიტულს „ბარსა“ დაეუფლება.

**დიეგო სიმეონეს** გუნდს ერთი კვირის ინტერვალით ორი ფინალი ელის, ერთგვარი „ელ კლასიკო“ - ჯერ ლა ლიგის ტიტულისთვის „ბარსას“ უნდა ეჭიდავოს, ერთ კვირაში კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „რეალს“ დაუპირისპირდეს. არადა, შეიძლებოდა შაბათის თამაშს ყველანაირი ინტრიგა დაეკარგა. ამისთვის, „ატლეტიკოს“ „მალაგას“ დამარცხება სჭირდებოდა, მაგრამ ანდალუსიელთა მეკარის, **ვილი კაბალიეროს** შესანიშნავმა თამაშმა უალრესად საინტერესო და პრინციპული მატჩი გვაჩუქა.

ალსანიშნავია, რომ ორივე გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელები გამოუჯანმრთელდნენ. „ბარსელონას“ სავარჯიშო პროცესს **ნეიმარი** დაუბრუნდა. ასევე, ემზადებიან **კარლეს პუიოლი, ჟერარდ პიკე** და **ჟორდი ალბა**. მოკლედ, ბოლო ტურის წინ, კატალონიელთა ლაზარეთი ფაქტობრივად ცარიელია.

„ატლეტიკოს“ მხოლოდ **კრისტიან როდრიგესი** დააკლდება, რომელსაც მცირე დაზიანება აქვს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **დიეგო კოშტა**, ვინც წინა ტურის შეხვედრა გამოტოვა.

*„ჩვენ გვეგონა, რომ დავმარცხდით და ლა ლიგის ტიტული დავთმეთ, მაგრამ ფეხბურთმა კიდევ ერთი შანსი მოგვცა. ახლა ისტორიული შესაძლებლობა გვაქვს, რომელიც ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ჩვენ შინ ვითამაშებთ, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ. წინ მართლაც უნიკალური მატჩი გველის და არც კი ვიცი, მომავალში ოდესმე კიდევ თუ მოგვეცემა ასეთ შეხვედრაში მონაწილეობის შანსი“* - განაცხადა **ჩავი ერნანდესმა**.

კატალონიელებს ზედიზედ მეორედ, ისტორიაში კი 23-ედ გაჩემპიონება შეუძლიათ. „ატლეტიკო“ კი ჩემპიონი უკანასკნელად 1996 წელს გახდა, მაშინ, როდესაც **დიეგო სიმეონე** ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო და სწორედ მადრიდული კლუბის ღირსებას იცავდა. არწაგების შემთხვევაში, ეს „როხიბლანკოსთვის“ საიუბილეო, მე-10 ტიტული იქნება.

### ბრძოლა (გა)დარჩენისთვის

ცხრილის ქვედა ნაწილში სიტუაცია ძალიან დაძაბულია. გავარდნის შანსი ერთბაშად 5 გუნდს აქვს. წინასწარ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ერთი უილბლოს ვინაობა „ვალიადოლიდის“ და „გრანადას“ შეხვედრაში გაირკვევა. არის შანსი, რომ ორივე გავარდეს, მაგრამ ორივეს დარჩენა გამორიცხულია.

მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ერთ-ერთ წინა ნომერშიც ვისაუბრეთ, მაგრამ ნამდვილად უპრიანი იქნება, თუ აუტსაიდერთა ხუთეულის შანსებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ:

**„ვალიადოლიდი“:** გადასარჩენად მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. „გრანადას“ დამარცხების შემთხვევაში, 39 ქულას მოაგროვებს და ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, თუ „ოსასუნამ“ ვერ მოიგო.

თუ „ოსასუნამ“ მოიგო, ხოლო „ხეტაფემ“ და „ალმერიამ“ მინიმუმ ქულა მაინც აიღეს, „ვალიადოლიდი“ გავარდება, რადგან „ოსასუნასთან“ ურთიერთშეხვედრებში (0:1, 0:0) უარესი შედეგი აქვს.

თუ „ოსასუნამ“ მოიგო, ხოლო „ხეტაფემ“ მინიმუმ ქულა აილო და „ალმერია“ დამარცხდა, მაინც „ვალიადოლიდი“ გავარდება, რადგან „ოსასუნა“-„ალმერია“-„ვალიადოლიდის“ ურთიერთშეხვედრებში ყველაზე ცუდი შედეგი ამ უკანასკნელს აქვს.

თუ „ოსასუნამ“ მოიგო, ხოლო „ალმერიამ“ მინიმუმ ქულა აილო და „ხეტაფე“ დამარცხდა, მაშინ „ხეტაფე“ გავარდება და „ვალიადოლიდი“ გადარჩება.

თუ „ოსასუნამ“ მოიგო, ხოლო „ალმერია“ და „ხეტაფე“ დამარცხდნენ, მაშინ ოთხი გუნდი 39 ქულას მოაგროვებს და „ხეტაფე“ გავარდება.

**„ოსასუნა“:** გადასარჩენად მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. „ბეტისთან“ მოგების შემთხვევაში, „ოსასუნა“ 39 ქულას მოაგროვებს. პამპლონელები სხვების შედეგებზე არიან დამოკიდებულნი.

კონკურენტებიდან, ურთიერთშეხვედრებში მხოლოდ „გრანადასთან“ აგებენ, ანუ, თუ „ვალიადოლიდი“-“გრანადა“ ფრედ დასრულდა, ხოლო „ალმერიამ“ და „ხეტაფემ“ მინიმუმ ქულა აიღეს, „ოსასუნა“ გავარდება.

თუ „ვალიადოლიდი“-“გრანადა“ ფრედ დასრულდა, „ალმერიამ“ მინიმუმ ქულა აილო, „ხეტაფემ“ კი წააგო, მაშინ „ოსასუნა“ გავარდება.

. თუ „ვალიადოლიდი“-“გრანადა“ ფრედ დასრულდა, „ხეტაფემ“ მინიმუმ ქულა აილო, „ალმერიამ“ კი წააგო, მაშინ „გრანადა“ გავარდება, რადგან ამ სამეულის ურთიერთშეხვედრებში „ოსასუნას“ და „გრანადას“ 4-4 ქულა აქვთ მოგროვებული, მაგრამ პამპლონელებს უკეთესი ბურთების სხვაობა (3:4) აქვთ, ვიდრე „გრანადას“ (2:6), რომელმაც „ალმერიასთან“ ორივე მატჩი წააგო (0:3, 0:2).

თუ „ვალიადოლიდმა“ „გრანადას“ მოუგო, „ოსასუნა“ გამარჯვების შემთხვევაში გადარჩება.

**„გრანადა“:** თუ წააგო - გავარდება, თუ მოიგო - დარჩება. „ვალიადოლიდთან“ მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში კი რამდენიმე ვარიანტია:

1. თუ „ოსასუნამ“ ვერ მოიგო - დარჩება.
2. თუ „ოსასუნამ“ მოიგო, ხოლო „ხეტაფემ“ და „ალმერიამ“ ქულები მოიპოვეს - დარჩება და „ოსასუნა“ გავარდება.
3. თუ „ოსასუნამ“ მოიგო, „ხეტაფემ“ ქულა მოიპოვა და „ალმერიამ“ წააგო - გავარდება
4. თუ „ოსასუნამ“ მოიგო, „ალმერიამ“ ქულა მოიპოვა და „ხეტაფემ“ წააგო - დარჩება და „ოსასუნა“ გავარდება,
5. თუ „ოსასუნამ“ მოიგო, „ალმერიამ“ და „ხეტაფემ“ კი წააგეს, მაშინ გავარდება.

**„ხეტაფე“:** მოგება და ფრე ლიგაში ადგილს შეუნარჩუნებს. თუ წააგო, „ოსასუნამ“ მოიგო და „ვალიადოლიდი“-“გრანადა“ ფრედ არ დასრულდა, მაშინ გავარდება.

თუ „ხეტაფემ“ წააგო და „ოსასუნამ“ მოიგო, მადრიდელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებიან, თუ „ვალიადოლიდი“-“გრანადა“ ფრედ დასრულდება.

**„ალმერია“:** ქულა ან მოგება ლიგაში დატოვებს. „ალმერიას“ გავარდნის ერთადერთი ვარიანტი არსებობს: თავად უნდა წააგოს, „ხეტაფემ“ მინიმუმ ქულა აიღოს, „გრანადამ“ და „ოსასუნამ“ კი მოიგონ. ამ შემთხვევაში, „ალმერია“ და „ოსასუნა“ 39 ქულას მოაგროვებენ და ლიგაში „ოსასუნა“ დარჩება, რადგან ალმერიაში 2:1 მოიგო, შინ კი 0:1 წააგო.

მალაგა

## შუსტერის ბოლო მატჩი



ბერნდ შუსტერი

დღეს, ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტური „მალაგას“ და „ლევანტეს“ მატჩით გაიხსნება. ეს შეხვედრა მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე უკანასკნელი იქნება **ბერნდ შუსტერისთვის**, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობამ გამოუცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს.

გერმანელმა სპეციალისტმა „მალაგა“ ამ სეზონის დაწყების წინ, **მანუელ პელეგრინის** წასვლის შემდეგ ჩაიბარა. კლუბი ძალიან ბევრმა სახელოვანმა ფეხბურთელმა (**ნაჩო მონრეალი, ისკო, ტულალანი, დემიკელისი, სავიოლა, ჟულიო ბაპტიშტა, ხოაკინი, იტურა**) დატოვა და არც არის გასაკვირი, რომ სეზონის სტარტზე „მალაგას“ გაუჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ანდალუსიელებმა ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს, კლუბის ხელმძღვანელობა შუსტერის მუშაობით უკმაყოფილო დარჩა. გერმანელის კონტრაქტში არსებული პუნქტის თანახმად, იმის გამო, რომ „მალაგა“ სეზონს ათეულში ვერ ასრულებს, შუსტერი შედარებით მცირე კომპენსაციას მიიღებს, არადა ათეულში რომ შესულიყო, კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი 4 მილიონ ევროს მიიღებდა.

გვერდი მოამზადა **ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. სტატისტიკა

# პრემიერლიგის რეკორდები და არამარტო



სეზონის ტრიუმფატორი „მანჩესტერ სიტის" სამწვრთნელო შტაბი (მარცხნიდან): ჩაბიერ მანსისიდორი, ბრაიან კიდი, მანუელ პელეგრინი, რუბენ კუსილიასი და ხოსე კაბელიო

**2013/14 წლების ინგლისის ჩემპიონატში უამრავი საინტერესო ფაქტი მოხდა და დამყარდა მრავალი რეკორდი. პრემიერლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა ეს ყველაფერი შეაჯამა და ისე წარმოგვიდგინა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს სტატისტიკისთვის თვალის გადავლება.**

☒ ეს იყო პრემიერლიგის პირველი სეზონი, როცა ერთბაშად ორმა გუნდმა მოახერხა 100-ზე მეტი გოლის გატანა - „მანჩესტერ სიტი" 102, „ლივერპული" 101. ერთადერთი, ვინც ერთ სეზონში უფრო მეტი მოახერხა 2009/10 წლების „ჩელსი" იყო - 103 გოლი.

„მანჩესტერ სიტიმ" ცხრილის სათავეში მხოლოდ 14 დღე გაატარა. ასეთი გამარჯვებული პრემიერლიგას ჯერ არ ჰყოლია.

☒ პირველად მოხდა, რომ შობის დღეებში არც ცხრილის ბოლოადგილოსანი (სანდერლენდი) გავარდა და ვერც ჩემპიონატის ლიდერმა (ლივერპული) მოიპოვა სეზონის უმთავრესი ტიტული.

☒ „კრისტალ პალასმა" პირველად მოახერხა პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება. წინა ოთხ შემთხვევაში ლონდონური კლუბი ჩემპიონშიპს პირველივე სეზონის შემდეგ უბრუნდებოდა.

☒ დეკემბერში **ლუის სუარესმა** 10 გოლი გაიტანა. ერთი თვის განმავლობაში მსგავსი მაჩვენებელი აქამდე არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონია.

☒ 1996/97 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოხდა, რომ მოქმედმა ჩემპიონმა საუკეთესო ექვსეულში შესვლა ვერ მოახერხა. 1995 წელს გაჩემპიონებულმა „ბლექბერნმა" მომდევნო სეზონი, „იუნაიტედის" მსგავსად, მე-7 ადგილზე დაასრულა.

☒ **დენიელ სტარიჯი** პირველი ფეხბურთელი გახდა „ლივერპულის" ისტორიაში, ვინც ზედიზედ რვა შეხვედრაში მოახერხა გატანა.

☒ **ჟოზე მოურინიომ** „ჩელსის" თავკაცის პოსტზე „სტემფორდ ბრიჯზე" პრემიერლიგის ეგიდით გამართული შეხვედრა პირველად წააგო (სანდერლენდთან 1:2).

☒ **რაიან გიგზმა** 23-წლიანი კარიერის განმავლობაში სეზონი პირველად დაასრულა გოლის გარეშე.

☒ **მარტინ შკრტელმა** რეკორდულად ბევრი, 4 ავტოგოლი გაიტანა საკუთარ კარში.

☒ „ლივერპულმა" პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა პირველ ტაიმებში შეგდებული ბურთების რაოდენობით (59). ამდენი 14 პრემიერლიგურ გუნდს სულ არ გაუტანია.

### რეკორდებთან ახლოს

☒ „სანდერლენდი" მეორე გუნდი გახდა პრემიერლიგის ისტორიაში, ვინც შობის დღეებში ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე იყო და ელიტაში ადგილის შენარჩუნება მაინც შეძლო. პირველად მსგავსი 2004/05-ის სეზონში „ვესტ ბრომვიჩმა" მოახერხა.

ლუის სუარესი მეორე ფეხბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც 30 გოლზე მეტი გაიტანა (სულ 31), თანაც ისე, რომ პენალტი არ დაურტყამს. 1993/94-ში პირველად ეს **ენდი კოულმა** შეძლო (34 გოლი 22-გუნდიან პრემიერლიგაში).

☒ ურუგვაელმა 20-გუნდიან პრემიერლიგაში 31 გოლით **ალან შირერისა** (1995/96 სეზონი) და **კრიშტიანო რონალდოს** (2007/08) მიღწევა გაიმეორა.

☒ **იაია ტურე** მხოლოდ მეორე ნახევარმცველია, ვინც პრემიერლიგის ერთ სეზონში 20 გოლის გატანა შეძლო. უკეთესი შედეგი 2009/10-ის სეზონში **ფრენკ ლემპარდს** ჰქონდა (22).

☒ სეზონის განმავლობაში პრემიერლიგის ცხრილში ლიდერი 25-ჯერ შეიცვალა. რეკორდი 2001/02-ში დამყარდა (29). შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012/13-ში ეს მხოლოდ 4-ჯერ მოხდა.

☒ **პეტრ ჩეხი** მეორე მეკარეა, ვინც პრემიერლიგაში 150 მშრალი თამაშის ნიშნულს გადასცდა (სულ 158). რეკორდი **დევიდ ჯეიმსს** ეკუთვნის (169).

☒ **სტივენ ჯერარდმა** სეზონი 10 ზუსტი პენალტით დაასრულა. ამაზე მეტი გაუტანია მხოლოდ **ენდრიუ ჯონსონს** (2004/05, 11).

### საუკეთესოები და უარესები

● „ლივერპულმა" ყველაზე ცოტა შეცვლა გამოიყენა (89), „ჩელსიმ" ყველაზე მეტი (113).

● პრემიერლიგაში პირველად მოხდა, რომ ბომბარდირთა დავაში 1-2-ე ადგილები ერთი გუნდის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

● „ლივერპულმა" ყველაზე მეტჯერ, 27-ჯერ მოარტყა ბურთი ძელსა თუ ხარიხას.

● „ლივერპულმა" ყველაზე მეტი - 12 პენალტი დაარტყა.

● „ლივერპულმა" და „სანდერლენდმა" ყველაზე მეტი 6-6 ავტოგოლი მიიღეს საკუთარ კარში.

● „ლივერპულმა" ყველაზე მეტი - 9 გოლი გაიტანა კონტრშეტევებზე.

● დენიელ სტარიჯის გოლების წყალობით „ლივერპულმა" 20 ქულა მოიპოვა. არც ერთ სხვა ფეხბურთელს ასეთი მარგი ქმედების კოეფიციენტი არ ჰქონია.

● „მანჩესტერ სიტიმ" ყველაზე მეტი 13 გოლი გაიტანა კუთხურის გათამაშებების შემდეგ.

● ყველაზე ნაკლებად თამაშის წესს „მანჩესტერ სიტი" არღვევდა (341), ყველაზე მეტს - „სანდერლენდი" (454).

● **ოლივიე ჟირუმ** ყველაზე მეტჯერ, 8-ჯერ გახსნა ანგარიში.

● უსწრაფესი გოლების ავტორები (ყველა მე-13 წამზე) გახდნენ **ასმირ ბეგოვიჩი** (სტოკი), **ხესუს ნავასი** (მანჩესტერ სიტი) და **ჯეი როდრიგესი** (საუთჰემპტონი).

● კომპენსირებულ დროში (96 წთ, 34 წმ) ყველაზე გვიანი გოლის ავტორი **სემ გალაგერი** გახდა „საუთჰემპტონი"-"ნორვიჩის" შეხვედრაში.

● აპრილში „სტოკთან" მატჩში სეზონში ყველაზე ხანდაზმული გოლის ავტორი ფრენკ ლემპარდი გახდა (35 წელი, 289 დღე).

● ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი კი სექტემბერში არსენალელი **სერჟ გნაბრი** იყო (18 წელი, 76 დღე).

● 90 წუთის განმავლობაში ყველაზე მეტჯერ (10) კარის მიმართულებით დაარტყა ჯეი როდრიგესმა „ნიუკასლთან" მატჩისას.

● 90 წუთის განმავლობაში ყველაზე მეტი გადაცემა (121) „კრისტალ პალასთან" **შეიკ ტიოტემ** შეასრულა.

● 6-ჯერ მოხდა, რომ ფეხბურთელმა 100 და მეტი პასი გააკეთა და აქედან 3-ჯერ ეს იაია ტურე იყო.

● ყველაზე მეტჯერ 12-ჯერ ჩაჭრა „ფულჰემი"-"ევერტონის" შეხვედრაში მეტოქის გადაცემა **ლუის ჰოლტბიმ.**

### ზოგადი სტატისტიკა

**380 თამაში, 1052 გოლი, საშუალოდ 2.77, 48 ავტოგოლი, 27 მშრალი მატჩი**

### ვინ რამდენი ფეხბურთელი გამოიყენა

| გუნდი | სულ | უცხოელი |
|---|---|---|
| ფულჰემი | 39 | 28 |
| კარდიფი | 32 | 28 |
| პალასი | 31 | 19 |
| სანდერლენდი | 31 | 25 |
| იუნაიტედი | 30 | 20 |
| ჩელსი | 29 | 23 |
| ვესტ ჰემი | 29 | 17 |
| ტოტენჰემი | 28 | 18 |
| ევერტონი | 28 | 20 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 20 |
| არსენალი | 27 | 22 |
| სუონსი | 27 | 24 |
| ჰალი | 27 | 18 |
| ნიუკასლი | 26 | 20 |
| სტოკი | 26 | 19 |
| ასტონ ვილა | 26 | 15 |
| ლივერპული | 25 | 15 |
| ნორვიჩი | 25 | 16 |
| საუთჰემპტონი | 24 | 14 |
| სიტი | 23 | 18 |

### გოლის ავტორთა რაოდენობა

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი | 18 |
| არსენალი | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 |
| ფულჰემი | 16 |
| ჰალი | 16 |
| სიტი | 14 |
| იუნაიტედი | 14 |
| ჩელსი | 14 |
| ვესტ ჰემი | 14 |
| კრისტალ პალასი | 14 |
| სტოკი | 13 |
| სანდერლენდი | 13 |
| ნორვიჩი | 13 |
| კარდიფი | 12 |
| ლივერპული | 12 |
| ევერტონი | 12 |
| სუონსი | 12 |
| საუთჰემპტონი | 11 |
| ნიუკასლი | 11 |
| ასტონ ვილა | 10 |

### წესის დამრღვევები

| გუნდი | წით | ყვით |
|---|---|---|
| სანდერლენდი | 7 | 68 |
| ნიუკასლი | 6 | 52 |
| სტოკი | 5 | 75 |
| ვესტ ჰემი | 5 | 63 |
| ტოტენჰემი | 4 | 66 |
| ჰალი | 4 | 54 |
| არსენალი | 4 | 53 |
| ჩელსი | 3 | 59 |
| იუნაიტედი | 3 | 68 |
| სუონსი | 3 | 56 |
| ნორვიჩი | 2 | 62 |
| პალასი | 2 | 58 |
| სიტი | 1 | 72 |
| ფულჰემი | 1 | 58 |
| ლივერპული | 1 | 53 |
| ევერტონი | 1 | 52 |
| კარდიფი | 1 | 49 |
| ასტონ ვილა | - | 78 |
| ვესტ ბრომვიჩი | - | 66 |
| საუთჰემპტონი | - | 60 |

### ყველაზე მეტი ლეგიონერი

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 41 |
| ესპანეთი | 34 |
| ირლანდია | 28 |
| უელსი | 27 |
| შოტლანდია | 23 |
| ჰოლანდია | 20 |
| ბელგია | 15 |
| ბრაზილია | 14 |
| არგენტინა | 13 |
| გერმანია | 11 |
| დანია | 10 |
| შვედეთი | 10 |

### საშუალო დასწრება

| | |
|---|---|
| 1. იუნაიტედი | 74.394 |
| 2. არსენალი | 60.013 |
| 3. ნიუკასლი | 50.395 |
| 4. სიტი | 46.948 |
| 5. ლივერპული | 44.656 |
| 6. ჩელსი | 41.481 |
| 7. სანდერლენდი | 40.117 |
| 8. ევერტონი | 37.731 |
| 9. ასტონ ვილა | 36.080 |
| 10. ტოტენჰემი | 35.808 |
| 11. ვესტ ჰემი | 34.196 |
| 12. საუთჰემპტონი | 30.211 |
| 13. კარდიფი | 27.429 |
| 14. ნორვიჩი | 26.910 |
| 15. სტოკი | 26.137 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 25.193 |
| 17. ფულჰემი | 24.977 |
| 18. პალასი | 24.637 |
| 19. ჰალი | 24.116 |
| 20. სუონსი | 20.406 |

**ლევან ბიბილაშვილი**

ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# პირველად და 26 წლის შემდეგ

**კრუზეირო-სან ლორენსო 1:1 (0:1)**

**გოლები:** 0:1 ი. პიატი (10), 1:1 ბრუნო როდრიგო (71)

**გაძევება:** რომანიოლი (77. სან ლორენსო)

**არსენალი-ნასიონალი (ა) 0:0 (0:1)**

**ბოლივარი-ლანუსი** გვ. დასრულდა

**დეფენსორი-ატლ. ნასიონალი** გვ. დასრულდა

გაირკვა ლიბერტადორესის თასის ორი ნახევარფინალისტი. ასუნსიონის „ნასიონალმა" სარანდის „არსენალთან" ფრედ ითამაშა და 1/2 ფინალში ისტორიაში პირველად გავიდა. ასევე ფრედ დასრულდა ამ ეტაპის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება და საბოლოოდ, გახარებულები იქაც სტუმრები აღმოჩნდნენ.



ნესტორ ორტიგოსას (მარცხნივ) „სან ლორენსო" ლიბერტადორესის თასის 1/2 ფინალში 26-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა

არგენტინის და ბრაზილიის მოქმედი ჩემპიონების პირველი დუელი, რომელიც არგენტინაში გაიმართა, „სან ლორენსომ" 1:0 მოიგო. შესაბამისად, როდესაც საპასუხო შეხვედრის დებიუტში **იგნასიო პიატიმ** ანგარიში გახსნა, „კრუზეირო" ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდა - ბრაზილიელებს სამი გოლი უნდა გაეტანათ.

ანგარიში შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გათანაბრდა - **ბრუნო როდრიგომ დაგობერტოს** გადაცემით იხეირა. რამდენიმე წუთში სტუმრებს **ლეანდრო რომანიოლი** გაუძევეს, მაგრამ კლუბის ლეგენდის გამოკლების მიუხედავად, **ედგარდო ბაუსას** შეგირდებმა გაძლეს და შეხვედრა სასურველი ანგარიშით დაასრულეს. უკანასკნელად, ლიბერტადორესის თასის 1/2 ფინალში „სან ლორენსომ" 1988 წელს ითამაშა, როდესაც თანამემამულე „ნიუელსთან" დამარცხდა.

მომდევნო ეტაპზე, „სან ლორენსოს" მეტოქე „ბოლივარის" და „ლანუსის" წყვილში გამარჯვებული იქნება. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი, რომელიც არგენტინაში გაიმართა ფრედ, 1:1 დასრულდა.

„ნასიონალის" მეტოქე კი „დეფენსორი" უნდა იყოს, რადგან ურუგვაელებმა „ატლეტიკო ნასიონალს" სტუმრად 2:0 მოუგეს და ძნელი წარმოსადგენია, ჯ ამხელა უპირატესობა საკუთარ მოედანზე გაანიავონ.

**ტატო ბაციკაძე**

● იტალია. სერია A. XXXVIII ტურის წინ

# ტორო თუ პარმა?

## მილანის შანსი მიზერულია

18.05. ფლორენცია
არტემიო ფრანკი
22:45

**ფიორენტინა**

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 | +4=2-0

ურთიერთშეხვედრები

21 თამაში: +11=6-4

**ტორინო**

სავარაუდო შემადგენლობები

ფიორენტინა: როზატი; გონსალო, სავიჩი, ტომოვიჩი, პასკუალი; პისარო, აკვილანი, ბ. ვალერო; კუადრადო, ხოაკინი, მატრი

ტორინო: მეჯორინი, ჩერჩი; დარმიანი, ელ ქადური, მაქსიმოვიჩი; ვივესი, კურტიჩი; მორეტი, გლიკი, როდრიგესი; პადელი

დისკვალიფიკაცია: [illegible] - [illegible], იმობილე, ბოვო.
ტრავმა: კომპერი, ნეტო, რებიჩი, გომესი - მაზოლე, ფარნერუდი, [illegible], [illegible].

### 17 მაისი

**უდინეზე-სამპდორია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ერტო, დანილო (უდინეზე).
**ტრავმა:** ბასტა, მაიკოსუელი, ბენუსი, მურიელი - ობიანგი, ბერარდი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 | 1-0-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 33 თამაში: +14=10-9, (60-50)

### 18 მაისი

**კატანია-ატალანტა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პერუცი (კატანია).
**ტრავმა:** სტენდარდო, კაცოლა, ლუკინი, დელ გროსო (ატალანტა).

ბოლო 6 შეხვედრა

3-0-3 | 1-1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +5=8-4, (16-14)

**ჯენოა-რომა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჯილარდინო, ანტონელი (ჯენოა).
**ტრავმა:** ბერტოლაჩი, კალაიო, მათუზალემი, კოფიე, დე ჩელიე, მარკეზე - ბენატია, როსი, ბალცარეტი, სტროტმანი.

ბოლო 6 შეხვედრა

0-2-4 | 4-0-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +6=1-10, (22-35)

**იუვენტუსი-კალიარი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** კიელინი (იუვენტუსი).
**ტრავმა:** ვიდალი, ვუჩინიჩი - პიზანო, კაბრერა, ვეჩინო, ეკდალი, ნენე, მურუ.

ბოლო 6 შეხვედრა

6-0-0 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +17=9-4, (51-28)

**მილანი-სასუოლო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ბირსა, საპონარა - აჩერბი, ბიანკო, მანფრედინი, ალექსე.

ბოლო 6 შეხვედრა

4-0-2 | 4-1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=0-1, (3-4)

**კიევო-ინტერი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პელისიერი, რიგონი - პალასიო.
**ტრავმა:** კანინი - ჟუან ჟესუსი, სამუელი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-0-4 | 3-2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +3=6-14, (24-42)

**ლაციო-ბოლონია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ონაზი - პაპონი, ხრისტოდოლოპულოსი, კონე, ბიანკი.
**ტრავმა:** მაური, კონკო, კაკუტა, რადუ, პოშტიგა, მარკეტი, ედერსონი - დელა როკა, პერესი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 | 0-3-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +15=5-9, (45-32)

**პარმა-ლივორნო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკარელი, ფელიპე - კასტელინი, ბენასი, ბორა.
**ტრავმა:** ვერგარა, პოცი - ლუჩიო, მბაიე, ემეგარა.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 | 0-0-6

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +6=3-4, (23-20)

**ნაპოლი-ვერონა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ჰამშიკი, რაფაელი - მარტინიო, დონატი.

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 | 3-2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +5=5-3, (16-11)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 37 | 32 | 3 | 2 | 77-23 | 99 |
| 2. რომა | 37 | 26 | 7 | 4 | 72-23 | 85 |
| 3. ნაპოლი | 37 | 22 | 9 | 6 | 72-38 | 75 |
| 4. ფიორენტინა | 37 | 19 | 7 | 11 | 63-41 | 64 |
| 5. ინტერი | 37 | 15 | 15 | 7 | 61-27 | 60 |
| 6. ტორინო | 37 | 15 | 11 | 11 | 56-46 | 56 |
| 7. პარმა | 37 | 14 | 13 | 10 | 56-46 | 55 |
| 8. მილანი | 37 | 15 | 9 | 13 | 55-48 | 54 |
| 9. ვერონა | 37 | 16 | 6 | 15 | 61-63 | 54 |
| 10. ლაციო | 37 | 14 | 11 | 12 | 53-54 | 53 |
| 11. ატალანტა | 37 | 15 | 5 | 17 | 42-49 | 50 |
| 12. სამპდორია | 37 | 12 | 8 | 17 | 45-59 | 44 |
| 13. უდინეზე | 37 | 12 | 7 | 18 | 43-54 | 43 |
| 14. ჯენოა | 37 | 10 | 11 | 16 | 40-50 | 41 |
| 15. კალიარი | 37 | 9 | 12 | 16 | 34-50 | 39 |
| 16. სასუოლო | 37 | 9 | 7 | 21 | 42-70 | 34 |
| 17. კიევო | 37 | 9 | 6 | 22 | 32-53 | 33 |
| 18. ბოლონია | 37 | 5 | 14 | 18 | 28-57 | 29 |
| 19. კატანია | 37 | 7 | 8 | 22 | 32-65 | 29 |
| 20. ლივორნო | 37 | 6 | 7 | 24 | 39-75 | 25 |

**ბომბარდირები:** 22 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 20 - ლუკა ტონი (ვერონა); 19 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი); 16 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო).

**ერთი ტურიც და სერია A-ს ჯერ კიდევ მიმდინარე გათამაშება ისტორიის საკუთრება გახდება. იტალიურ სპორტულ პრესაში მთავარი სასაუბრო თემა უკვე ეროვნული ნაკრები და მოახლოებული მუნდიალია, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი - იტალიის პირველობაზე პრაქტიკულად ყველაფერი გარკვეულია...**

### ტოროს რთული მისია

ერთადერთი ინტრიგა ევროპალიგის საგზურს უკავშირდება, რომელსაც ერთდროულად ოთხი გუნდი უმიზნებს: „ტორინო“, „პარმა“, „მილანი“ და „ვერონა“. აქედანვე შევთანხმდეთ, რომ ლომბარდიელთა და ვენეტოელთა შანსები მიზერულია, რეალური კონკურენტები კი პიემონტელები და ემილიელები არიან. ერთი სიტყვით, თუ „ტორინომ“ გასვლაზე „ფიორენტინა“ დაამარცხა, ევროსაგზურს მოიპოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სანუკვარ მეექვსე ადგილზე ალბათ „პარმა“ აინაცვლებს, რომელიც საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ „ლივორნოს“ უმასპინძლებს.

საკუთარ თავზე „ტორინოა“ დამოკიდებული, მაგრამ ბევრი ფავორიტად მაინც „პარმას“ მიიჩნევს - „გრანატას“ მაინც რთული მისია აქვს წინ, რადგან ფლორენციაში გამარჯვება რჩეულთა ხვედრია. თანაც, ტურინელებს მთავარი დამრტყმელი ძალა, **ჩირო იმობილე** აკლიათ. „ტორო“ **ალესიო ჩერჩისა** და **რიკარდო მეჯორინის** ტანდემით შეუტევს.

### მდევრები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ტორინოს“ სამი მდევარი ჰყავს, რომელთაგან ყველაზე კარგი შანსი „პარმას“ აქვს. ემილიელები უბრალოდ ვალდებულნი არიან „ლივორნო“ დაამარცხონ და ტურინელთა წაფორხილების შემთხვევაში, ევროპალიგაზე გავიდნენ. „პარმა“ 4-3-3 სქემით გაირჯება, ფლანგებიდან **ესეკილ სკელოტო** და **ჯონათან ბიაბიანი** შეუტევენ, ცენტრფორვარდი კი **ანტონიო კასანო** იქნება. **რობერტო დონადონიმ** ოპტიმისტური კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ მისი გუნდი სეზონის მაჟორულ ნოტზე დასამთავრებლად მზადაა.

„მილანი“ საკუთარ მოედანზე „სასუოლოს“ მიიღებს და შეეცდება, პირველ წრეში განცდილი მწარე მარცხისთვის ვენდეტა აიღოს. გახსოვთ ალბათ, **დომენიკო ბერარდის** პოკერმა „როსონერი“ ბეჭებზე გააკრა. დომენიკო მწყობრშია და „სან სიროზეც“ შეეცდება თავის გამოჩენას. შესაძლოა, ეს იყოს **კლარენს ზეედორფის** ბოლო მატჩი „მილანის“ მთავარი მწვრთნელის რანგში და **ჰაშიმ მასტურის** პირველი ნაბიჯი დიდ ფეხბურთში. თუმცა, ჯერჯერობით მასტურს სერია A-ში ასპარეზობისთვის ოფიციალური ნებართვა არ მიუღია და შესაბამისი დოკუმენტის მოლოდინშია. ვნახოთ, რას იზამს „მილანი“ და შედგება თუ არა 15 წლის ტალანტის დებიუტი...

საინტერესო მატჩი შედგება ნეაპოლში, სადაც „ნაპოლი“ „ვერონას“ დაუხვდება. სამხრეთელები შეეცდებიან, რომ სეზონი გამარჯვებით დაასრულონ, მაგრამ მეტოქეს სატურნირო მოტივაცია აქვს და იოლად არაფერს დათმობს. მართალია, „ვერონას“ ევროპული შანსები მიზერულია, მაგრამ როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, მისი შეგირდები ბოლომდე იბრძოლებენ.

### 100 ქულისთვის

თუ „იუვენტუსმა“ საკუთარ კედლებში „კალიარისთან“ არ წააგო, სეზონს ქულათა სამნიშნა რაოდენობით დაასრულებს. საყაიმო შედეგის შემთხვევაში, ტურინელები ზუსტად 100 ქულას მოუყრიან თავს, მოგება კი შესაბამისად 102 ქულის ტოლფასი იქნება. **ანტონიო კონტე** დაჰპირდა გულშემატკივრებს, რომ მისი გუნდი სასურველი მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. თუმცა, თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, „ვეკია სენიორა“ „კალიარის“ გადახალისებული შემადგენლობით დაუპირისპირდება; შეტევის ხაზში **სებასტიან ჯოვინკო** და **პაბლო დანიელ ოსვალდო** გაირჯებიან - სხვა რგოლებშიც ვიხილავთ იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც მეტწილად თადარიგში უწევთ ყოფნა.

**ლაშა ნიკლაური**



იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, „სასუოლოსთან“ მატჩი კლარენს ზეედორფისთვის ბოლო იქნება „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVIII ტურის წინ



ბოლო ტურის წინ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

# ფრთხილი ლილი

## ლიგა ერთის ბოლო აკორდი

**საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ მხოლოდ 4 ადგილის ბედია გადაწყვეტილი - ცნობილია, რომ პირველზე „პარი სენ-ჟერმენი“ გავიდა, მეორეზე „მონაკო“, ბოლოზე „აიაჩო“, ხოლო ბოლოსწინაზე „ვალანსიენი“. ასევე 99%-ით გადაწყვეტილია, რომ „ბორდო“ სეზონს მე-7 ადგილზე დაასრულებს. აი სხვა მხრივ კი, ლიგა ერთში ისეთი სიმჭიდროვეა, რომ დანარჩენი 15 ადგილის ბედი უკანასკნელ ტურში გადაწყდება.**

მთავარი კი ის არის, რომ უნდა გაირკვეს მესამე ადგილზე გამსვლელი გუნდის ვინაობა, რომელიც შესაბამისად ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს და გასარკვევია მესამე გავარდნილი გუნდის ვინაობაც. ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია, „ლიონი“ დაამთავრებს სეზონს მე-5 ადგილზე თუ „მარსელი“.

„ლილს“ წინა ტურში 6-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდა. **რენე ჟირარის** გუნდს 4 მოგება და 2 ფრე ჰქონდა, მაგრამ პსჟ-სთან ვერაფერს გახდა და „სენტ ეტიენი“ ორ ქულაში მიუშვა. ასე რომ, ლილელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ და მოიგონ, თორემ ფრის შემთხვევაში მათ „სენტ ეტიენი“ ქულებით გაუთანაბრდება და ბურთების სხვაობით აჯობებს. იმაში, რომ „მწვანეები“ საკუთარ კედლებში „აიაჩოს“ მოუგებენ, ალბათ ეჭვი არავის ეპარება. აი „ლორიანი“ კი მშვენიერ ფორმაშია და 7-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს - 4 ფრე, 3 მოგება. თანაც ბრეტანელებს ორი შეხვედრაა გოლი არ გაუშვიათ და ეს **კრისტიან გურკუფის** ბოლო შეხვედრაა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. შეგახსენებთ, რომ ეს სპეციალისტი მესამედ მიდის ამ პოსტიდან. ასე რომ, ბრეტანელები განსაკუთრებით მოინდომებენ, რომ 59 წლის სპეციალისტს კარგი გაცილება მოუწყონ და „ლილს“ ადვილი თამაში სულაც არ ელოდება.

ცხრილის ქვედა ნაწილში კი „სოშო“ და „ევიანი“ სულაც ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. მონბელიარელთათვის ყველაფერი თან მარტივადაა და თან რთულად - მათ უბრალოდ უნდა მოიგონ და ლიგა ერთში დარჩებიან, მაგრამ ეს სათქმელად იოლია, გასაკეთებლად კი რთული იქნება. **პასკალ დუპრაზს** კი ფრეც აძლევს ხელს და „ევიანის“ თავკაცმა უნდა აირჩიოს, რა სტრატეგიით ითამაშოს. „სოშოს“ მთავარ მწვრთნელ **ერვე რენარის** თქმით, გუნდი ამ გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზადაა. ამ სპეციალისტმა მართლაც საოცარი სამუშაო გასწია და ახლა ერთი ნაბიჯილა დარჩა. მონბელიარელებს 7 თამაშია არ წაუგიათ (4 მოგება, 3 ფრე) და ბოლო 13 მატჩიდან მხოლოდ 2 დათმეს.

**მარსელო ბიელსას** მისვლამდე **ჟოზე ანიგოს** ხელში ბოლო მატჩს ჩაატარებს „მარსელი“, რომელმაც საკუთარ „ველოდრომზე“ აუცილებლად უნდა მოუგოს „გენგამს“ და იმის იმედი ჰქონდეს, რომ „ლიონი“ „ნიცაში“ ვერ გაიმარჯვებს, რაც გამორიცხული სულაც არ არის, რადგან „ალიანც რივიერაზე“ თამაში ადვილი არ არის, თუნდაც უმოტივაციო ნიცელებთან, თანაც **კლოდ პუელს** ყოფილ კლუბთან ძველი ანგარიშები აქვს. **რემი გარდი** კი თავის მხრივ შეეცდება, რომ „ოლიმპიკს“ მოაგებინოს და დაამტკიცოს, რომ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ტყუილად არ დაუსახელებიათ.

საუკეთესოების ხსენებაზე, პსჟ, რომლის მეკარე **სალვატორე სირიგუ** უძლიერეს გოლკიპერად დასახელდა, იტალიელი ნახევარმცველი **მარკო ვერატი** საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ, ხოლო ბომბარდირი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** სეზონის ფეხბურთელად, „პარკ დე პრენსზე“ „მონპელიეს“ მიიღებს და შეეცდება ჩემპიონატი მაჟორულ ნოტზე დაასრულოს.

საინტერესო უნდა გამოვიდეს „ლუი მეორეზე“ „მონაკოსა“ და „ბორდოს“ დაპირისპირებაც. მოსაპოვებელ-დასაკარგი არც ერთს არაფერი აქვს და გუნდებმა წესით ლაღად უნდა ითამაშონ. „რენი“-„რეიმსის“ მატჩში სტუმრები ათეულში თავიანთი ადგილის დაცვას შეეცდებიან, ისევე როგორც „ბასტიასა“ და „ნანტის“ დაპირისპირებაში კორსიკელები გააკეთებენ იმავეს. „ბასტიას“ ვეტერანი მეკარე **მიკაელ ლანდრო** ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება და 35 წლის გოლკიპერს ენდომება, რომ **დიდიე დეშამის** სამუნდიალო მოწვევა კარგი თამაშით აღნიშნოს.

ტულუზში კი ერთმანეთს ორი ყველაზე ხანგრძლივი მოუგებელი სერიის მქონე გუნდების დუელი შედგება. „ტულუზსაც“ და „ვალანსიენსაც“ 8 შეხვედრაა არ მოუგიათ. **ალენ კაზანოვას** ბიჭები საკუთარი ქომაგების თვალწინ შეეცდებიან ამ სერიის შეწყვეტას, ხოლო საკმაო ხნის წინ ლიგა ორში დაქვეითებული „ვალანსიენი“ როგორმე გადაიტანს კიდევ ერთ მარცხს, თუ რა თქმა უნდა წააგო.

### 17 მაისი

| | |
|---|---|
| ლორიანი-ლილი | 23:00 |
| ბასტია-ნანტი | 23:00 |
| მარსელი-გენგამი | 23:00 |
| მონაკო-ბორდო | 23:00 |
| ნიცა-ლიონი | 23:00 |
| პსჟ-მონპელიე | 23:00 |
| რეიმსი-რენი | 23:00 |
| სტ. ეტიენი-აიაჩო | 23:00 |
| სოშო-ევიანი | 23:00 |
| ტულუზი-ვალანსიენი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 37 | 26 | 8 | 3 | 80-23 | 86 |
| 2. მონაკო | 37 | 23 | 10 | 4 | 62-30 | 79 |
| 3. ლილი | 37 | 19 | 11 | 7 | 42-25 | 68 |
| 4. სტ. ეტიენი | 37 | 19 | 9 | 9 | 53-33 | 66 |
| 5. ლიონი | 37 | 16 | 10 | 11 | 55-44 | 58 |
| 6. მარსელი | 37 | 15 | 12 | 10 | 52-40 | 57 |
| 7. ბორდო | 37 | 13 | 13 | 11 | 48-42 | 52 |
| 8. ლორიანი | 37 | 13 | 10 | 14 | 47-49 | 49 |
| 9. რეიმსი | 37 | 12 | 12 | 13 | 43-49 | 48 |
| 10. ბასტია | 37 | 13 | 9 | 15 | 42-56 | 48 |
| 11. ტულუზი | 37 | 11 | 13 | 13 | 43-52 | 46 |
| 12. ნანტი | 37 | 12 | 9 | 16 | 38-43 | 45 |
| 13. რენი | 37 | 10 | 13 | 14 | 44-44 | 43 |
| 14. მონპელიე | 37 | 8 | 18 | 11 | 45-49 | 42 |
| 15. გენგამი | 37 | 11 | 9 | 17 | 34-41 | 42 |
| 16. ნიცა | 37 | 12 | 6 | 19 | 30-43 | 42 |
| 17. ევიანი | 37 | 10 | 11 | 16 | 36-51 | 41 |
| 18. სოშო | 37 | 10 | 10 | 17 | 37-58 | 40 |
| 19. ვალანსიენი | 37 | 7 | 8 | 22 | 36-62 | 29 |
| 20. აიაჩო | 37 | 4 | 11 | 22 | 36-69 | 23 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 16 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ედინსონ კავანი (პსჟ) ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 15 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 14 - რემი კაბელია (მონპელიე), სალომონ კალუ (ლილი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი)

**გიორგი კაკაბაძე**

● გერმანიის თასი. ფინალის წინ

# ვისია, ვისია, თასი ლამაზი?

## რას უმალავდა გვარდიოლა კლოპს მთელი კვირის განმავლობაში?



**გერმანიის** თასის ფინალი ამაზე საინტერესო ვერ იქნებოდა: შაბათს, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" თასისთვის ერთმანეთს საუკეთესო გერმანული კლუბები, მიუნხენის „ბაიერნი" და დორტმუნდის „ბორუსია" შეებრძოლებიან. ამ მატჩით გერმანიაში საკლუბო სეზონი იხურება, რის შემდეგაც მთელი საფეხბურთო გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატზე და გერმანიის ნაკრებზე გადაიტანს ყურადღებას.

კითხვაზე, იქნება თუ არა ეს გერმანიის თასის ყველა დროის საუკეთესო ფინალი, გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** ასე პასუხობს: *„ყველა წინაპირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ეს მართლაც ყველა დროის საუკეთესო ფინალი გამოვიდეს. „ბაიერნს" შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ძალიან შერცხვა და ახლა რეპუტაციის აღდგენა სჭირდება. თუ „ბაიერნი" გერმანიის თასს მოიგებს, „რეალთან" განცდილი კრახით მიღებული ტკივილი ბევრს მაინც შეუმსუბუქდება. დორტმუნდელთაგან ყველაზე მონდომებული რობერტ ლევანდოვსკი იქნება, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გოლი გაიტანოს, რადგან ეს მისი უკანასკნელი მატჩია „დორტმუნდში" და მერე სწორედ „ბაიერნში" გადადის. ლევანდოვსკიმ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ სამაგალითო პროფესიონალია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მადრიდის „რეალს" ძალიან სერიოზულ წინადადებაზე უარი მხოლოდ იმიტომ უთხრა, რომ „ბაიერნისთვის" სიტყვა ჰქონდა მიცემული. ერთი სიტყვით, ძალიან მაგარ ფინალს ველოდები, რომლითაც იმედია, მართლაც ყველა ისიამოვნებს."*



ფრანც ბეკენბაუერი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფინალს ელოდება

### ფინალის წინ რიბერიმ გვარდიოლა გააკრიტიკა

ფინალისთვის ორივე გუნდი უდიდესი მონდომებით ემზადებოდა და თუკი „დორტმუნდში" სრული საბრძოლო განწყობაა, „ბაიერნში" მონასტერი ოდნავ არეულია. სხვა რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ ზედ ფინალის წინ „ბაიერნის" სუპერვარსკვლავმა, **ფრანკ რიბერიმ** გუნდის მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** გააკრიტიკა, რაც რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს ძალიან არ მოეწონათ.

*„ხან თამაშობ, ხან სკამზე ზიხარ, ხანაც საერთოდ სახლში რჩები. სერიოზული როტაცია ვიღაცას სწორი მიდგომა ჰგონია, ვიღაცას კი - დიდი შეცდომა. ფაქტი ის არის, რომ ასეთი მიდგომა „ბაიერნში" ყველა ფეხბურთელისთვის სიახლე იყო. პირადად მე თამაში მჭირდება! პაუზა მხოლოდ 5-6 მატჩის შემდეგ შეიძლება დამჭირდეს და არა ყოველი თამაშის შემდეგ!"* - განაცხადა რიბერიმ და როგორც ხედავთ, ფრანგი გვარდიოლას სწორედ ძირითადი შემადგენლობის ხშირ ცვლას უწუნებს.

რიბერი მტყუანი არ არის, მაგრამ არც ბოლომდე მართალია: გვარდიოლა მას ძალიან აფასებს და თუ ხშირად არ თამაშობდა, ეს არა მარტო როტაციის, არამედ მისი ტრავმების ბრალიც გახლდათ. ასე იყო თუ ისე, რიბერიმ ბუნდესლიგაში მხოლოდ 22 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ამ 22 მატჩიდან, პეპმა ის 4-ჯერ შეცვლაზე შეიყვანა, 5-ჯერ კი თამაში არ ჩაამთავრებინა.

„ბაიერნის" ხელმძღვანელებისთვის მიუღებელია ის, რომ რიბერიმ გერმანიის თასის ფინალამდე ორი დღით ადრე ასეთი განცხადება გააკეთა.

*„გერმანიის თასის ფინალის წინ ასეთ საკითხებზე საჯაროდ ლაპარაკის დრო არ იყო!"* - ეს „ბაიერნის" სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** კომენტარია.


ბასტიან შვაინშტაიგერის თამაში საეჭვოა

გაამწესებს თუ არა გვარდიოლა რიბერის ძირითად შემადგენლობაში, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან მარტო მისი კრიტიკული განცხადებაც რომ არ იყოს, ფრანგს ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია. „ბაიერნისთვის" პრობლემაა ისიც, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა **ბასტიან შვაინშტაიგერის** თამაშიც.

### იქნება თუ არა შვაინი?

ბავარიელები მთელი კვირის განმავლობაში საიდუმლო ვარჯიშებს ატარებდნენ, დორტმუნდელთა ვარჯიშები კი სამშაბათსა და ოთხშაბათს საჯარო იყო. რას უმალავს პეპ გვარდიოლა **იურგენ კლოპს**, ამას შაბათ საღამოს გავიგებთ, მანამდე კი ცნობილი ისაა, რომ რეკორდმაისტერი **ტიაგო ალკანტარას** ნამდვილად ვერ გამოიყენებს (ესპანელი სულაც მსოფლიოს ჩემპიონატზეც ველარ მიდის). ალკანტარას არყოფნაში შვაინშტაიგერის ტრავმა „ბაიერნისთვის" ორმაგად პრობლემატურია - შვაინის თამაში საეჭვოა.

„დორტმუნდს" ბუნდესლიგის უკანასკნელ ტურში, „ჰერტასთან" **მარკო როისი, ნური შაჰინი** და **მატს ჰუმელსი** დაუშავდნენ (კლოპმა ბერლინში სამივე შეცვალა), მაგრამ მათი ტრავმები სერიოზული არ აღმოჩნდა და „ბაიერნთან" ბრძოლისთვის სამივე მათგანი სრულ მზადყოფნაშია.

#### ფაქტები

##### ბაიერნი

- **მანუელ ნოიერი** გერმანიის თასის ფინალში ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს, რაც რეკორდია.

- **დანტე** პირველად იასპარეზებს გერმანიის თასის ფინალში. 2013 წლის ფინალი მან კონფედერაციათა თასის გამო გამოტოვა.

- მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, **დავიდ ალაბასთვის** ეს უკვე მესამე ფინალია, რაც მის ასაკში რეკორდი გახლავთ.

- **ფილიპ ლამს** დორტმუნდის „ბორუსიას" კარში არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი. სამაგიეროდ, დორტმუნდელებთან მატჩებში მის ანგარიშზე 6 საგოლე პასია.

- **ტონი კროოსმა** სამი შესაძლო ფინალიდან, „დორტმუნდის" წინააღმდეგ მხოლოდ ერთში ითამაშა, რომელიც „ბაიერნმა" წააგო.

##### დორტმუნდი

- 2012 წლის ფინალში „დორტმუნდის" მეკარე **რომან ვაიდენფელერი** დაშავდა და შეცვალეს. ეს გახლდათ მეკარის პირველი ცვლილება გერმანიის თასის ისტორიაში.

- **კევინ გროსკროიტცმა** ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „დორტმუნდის" ფორმით ყველა, 17-ვე სათასო შეხვედრაში იასპარეზა.

- **ჰენრიხ მხითარიანი** გერმანიის თასის ფინალში პირველად ითამაშებს, მაგრამ მანამდე ზედიზედ თასის 5 ფინალში ითამაშა და დონეცკის „შახტართან" ერთად მხოლოდ ერთხელ, 2010-ში წააგო.

- ნური შაჰინს გერმანიის თასის ფინალში აქამდე არასდროს უთამაშია. **სოკრატისი** კი საერთოდ არც ერთი თასის ფინალში არ ყოფილა.

17.05. ბერლინი ოლიმპიაშტადიონი 22:00

| დორტმუნდი | |
|---|---|
| ბოლო 6 მატჩი | |
| +5=1-0 | +3=0-3 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| 96 თამაში: +43=28-25 | |
| ბაიერნი | |

სავარაუდო შემადგენლობები

დორტმუნდი: ვაიდენფელერი; სოკრატისი, ჰუმელსი, პიშჩეკი, დურმი; იოიჩი, შაჰინი; ობამეიანგი, როისი, მხითარიანი; ლევანდოვსკი

ბაიერნი: მანჯუკიჩი; გიოტცე, რობენი; მიულერი; კროოსი, ლამი; ალაბა, რაფინია; დანტე, ბოატენგი; ნოიერი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** როისი (?), შაჰინი (?), ჰუმელსი (?) - ტ. ალკანტარა, შვაინშტაიგერი (?)




● მოსაზრება

# მაგათს ლიოვი შემოელანძღა

## დესპოტი ფელიქსი: მე სხვა ფეხბურთელებს წავიყვანდი!

ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა **ფელიქს მაგათმა**, რომელიც ახლა „ფულჰემის" თავკაცია, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** და ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** გააკრიტიკა. „დესპოტი ფელიქსის" თქმით, ლიოვი და ბირჰოფი არასწორად იქცევიან, როცა მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ ეიფორიას აუფერულებენ და გერმანიის ნაკრების ფავორიტობას აღარ აღიარებენ.

*„რამდენიმე კვირის წინ მთელი საფეხბურთო გერმანია დარწმუნებული იყო იმაში, რომ ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ, მაგრამ ბოლო პერიოდში ვითარება შეიცვალა, რადგან ამაში უკვე თვითონ გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელებს ეპარებათ ეჭვი, - აცხადებს მაგათი და დასძენს, - ლიოვი და ბირჰოფი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გერმანიამ გერმანიის ნაკრები მუნდიალის ფავორიტად არ შერაცხოს. ისინი ზედმეტად ხშირად საუბრობენ შესაძლო კრახის მიზეზებზე. მაგალითად, ყოველთვის ამბობენ, რომ ბრაზილიაში ძალიან ცხელა და ა.შ."*



მაგათმა, რომელიც 1982 და 1986 წლებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ლიოვს არჩევანიც დაუწუნა: *„ის, რაც კევინ პრინს ბოატენგმა თქვა, სიმართლესთან ძალიან ახლოსაა. ლიოვის ფორმაციის გერმანიის ნაკრებს არასდროს ჰყოლია გამოკვეთილი ლიდერი. დასამალი არაფერია: პირადად მე მსოფლიოს ჩემპიონატზე სხვა მოთამაშეებს წავიყვანდი, მაგრამ ეს საფეხბურთო ფილოსოფიის ამბავია - ლიოვს და მე ერთმანეთისგან განსხვავებული საფეხბურთო ფილოსოფიები გვაქვს,"* - ამბობს ფელიქსი, რომელმაც 2005 და 2006 წლებში „ბაიერნი", 2009 წელს კი „ვოლფსბურგი" გააჩემპიონა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. ასოციაციის თასის ფინალის წინ

# გაუტოლდება ვენგერი ფერგიუსონს?


არსენ ვენგერი გუნდს სეზონის დამაგვირგვინებელი ბრძოლისთვის ამზადებს

ხვალ „უემბლიზე“ „არსენალი“ 9-წლიანი უილბლობისთვის წერტილის დასმას შეეცდება. ჩრდილოლონდონელებმა უკანასკნელად 2005 წელს სწორედ ასოციაციის თასზე იმარჯვეს. კიდევ ერთი გამარჯვება და **არსენ ვენგერი** აღნიშნულ ტიტულს მეხუთედ მოიგებს, რითაც სერ **ალექს ფერგიუსონს** გაუტოლდება.

„მეთოფეებმა“ 2013/14 წლების პრემიერლიგა სუსტად დაიწყეს („სუონსისთან“ შინ 1:3). მერე თამაში ერთბაშად გამოსწორდა და, მოგებათა სერიების წყალობით, გუნდი ცხრილს სათავეში მოექცა. ერთი პერიოდი „არსენალი“ უახლოეს მდევრებს მთელი ხუთი ქულითაც კი უსწრებდა. საერთო ჯამში ვენგერის სამწყსო ჩემპიონატს 18 ტურის განმავლობაში ლიდერობდა. ჩავარდნა 25-ე ტურიდან დაიწყო, როცა გუნდი „ენფილდზე“ განადგურდა (1:5), ცოტა ხანში კი „სტემფორდ ბრიჯზე“ კიდევ უფრო დიდი სირცხვილი ჭამა (0:6). აქა-იქ იყო სხვა დანაკარგებიც. რაც შეეხება ფინალურ აკორდს: ის ტრადიციულად ძლიერი გამოვიდა და „არსენალმა“ ასევე ტრადიციული მე-4 ადგილი დაიკავა. ბოლო 9 სეზონში გუნდმა 6-ჯერ სწორედ ამ საფეხურზე დაასრულა ჩემპიონატი. თავად ვენგერს მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ცუდ შედეგად ვერ ჩაითვლება, თასის მოგება კი „არსენალისთვის“ ბრწყინვალე დასასრული იქნება. ძნელია, არ დაეთანხმო.

„ჩვენი ამოცანა ყოველთვის ტიტულისთვის ბრძოლაა, თუმცა პრემიერლიგის მოგება როცა გინდა, პრეტენდენტების სათამაშო კლასი აუცილებლად უნდა გაითვალისწინო. ჩემპიონატის გარდა „არსენალი“ იბრძვის სათასო ტურნირებში წარმატებისთვისაც, მაგრამ უპირველესი მიზანი მაინც პრემიერლიგაა. ინგლისში ამის გაკეთება ყოველთვის ძალიან რთულია, რადგან უამრავი მაღალი დონის გუნდი თამაშობს იმავე მიზნებისთვის. „ჰალთან“ შეხვედრაში შესანიშნავი შანსი გვეძლევა, საფეხბურთო წელი მაჟორულ ნოტზე დავასრულოთ. საერთო ჯამში სეზონი დამაკმაყოფილებლად ჩავატარეთ, თასის მოგება კი მას უკვე წარმატებულს გახდის. ამ შემთხვევაში ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, ვინ მოიგებს შაბათის შეხვედრას, ჩვენ უნდა შევძლოთ თუნდაც წარუმატებლობასთან გამკლავება. მთავარია, მატჩის შემდეგ ვიცოდეთ, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. სწორედ ამის მიღწევას შევეცდებით „უემბლიზე“.

**ლევან ბიბილაშვილი**

17.05. ლონდონი
უემბლი
20:00

**არსენალი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=1-2 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
7 თამაში: +6=0-1

**ჰალი**

### სავარაუდო შემადგენლობები

არსენალი
შჩესნი
მერტეზაკერი, კოშელნი
სანია, გიბსი
რემსი, იოზილი
არტეტა, კასორლა
პოდოლსკი, ჟირუ

ილავიჩი, ალუკო
კორენი, ლივერმორი
ელ მოჰამადი, ჰადლსტოუნი
როსენიორი, ფიგეროა
ბრუსი, ჯ. დევისი
მაკგრეგორი
ჰალი

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: უოლკოტი - ჩესტერი

● ამბები

## მაინც ჰიულმანდი მიხედავს

„მაინციდან“ გაქცეულ 40 წლის სპეციალისტ **თომას ტუხელს** 42 წლის დანიელი მწვრთნელი, **კასპერ ჰიულმანდი** შეცვლის - ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დადასტურდა. ჰიულმანდმა, რომელიც 2011 წელს დანიის წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და ბოლოს „ნორდსიელდანს“ წვრთნიდა, „მაინცში“ დანიშვნის ამბავი დანიელ ჟურნალისტებს დაუდასტურა. ჰიულმანდი გერმანულ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს აფორმებს.

## იუვემ და არსენალმა არნოლდი მოიკითხეს

„ვოლფსბურგის“ 19 წლის შემტევ ნახევარმცველ **მაქსიმილიან არნოლდს** ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა (სწორედ მის გამო დათმეს „მგლებმა“ **დიეგო**), ახლა კი გერმანიის ნაკრებშიც გამოიძახეს და პოლონეთთან მისი დებიუტიც შედგა. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ არნოლდის მიმართ ბევრ სერიოზულ გუნდს გაუჩნდა ინტერესი. „კიკერის“ ცნობით, მის აგენტს ტურინის „იუვენტუსისა“ და ლონდონის „არსენალის“ მესვეურები დაუკავშირდნენ. ფეხბურთელი ამბობს, კლუბის გამოცვლაზე არ ვფიქრობო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში „იუვეში“ ან „არსენალში“ გადასვლაზე უარი თქვას.

## დი მატეო ფრანკფურტში

როგორც იცით, **არმინ ფეეს** წასვლის შემდეგ ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელმძღვანელები ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ერთ-ერთი კანდიდატი **რობერტო დი მატეოა**. „ბილდის“ ინფორმაციით, „ჩელსის“ ყოფილმა თავკაცმა ფრანკფურტელებს ინტერესი დაუდასტურა და „აინტრახტის“ შეფები ახლა მის საბოლოო პასუხს ელოდებიან. „ბილდმა“ ისიც გამოარკვია, რომ ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი დი მატეოს ოჯახია - მის ცოლსა და შვილებს ინგლისიდან აბარგება არ უნდათ. დი მატეომ საბოლოო პასუხი ამ დღეებში უნდა თქვას.

**გოტფრიდ ლენცი**






სტუმარი
გურამ თოხაძე

# ჩემპიონების დამფრთიანებელი

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი მიილია. აჭარის ჭაბუკ ჩოგბურთელთა ნაკრები კალინინგრადს ეწვია ახალგაზრდა მწვრთნელის ხელმძღვანელობით სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" გუნდურ საკავშირო პირველობაზე. ის იყო, სასტუმროს ფოიეში შედგეს ფეხი, რომ მოძმე სომხეთის წარმომადგენლებმა ახარეს - ხვალ დილით მოსკოვის ნაკრებს ხვდებითო. საღამოს წარმომადგენლობითი თათბირი გაიმართა. სხდომა გაიხსნა თუ არა, აჭარელთა თავკაცმა იკითხა, წილისყრა როდის იქნებაო. უკვე ჩატარდაო, უპასუხა მთავარმა მსაჯმა პეტროვმა. „როგორ. ჩვენი წარმომადგენლის გარეშე?" - გაიკვირვა მწვრთნელმა, რომელსაც არავინ იცნობდა. „ჩვენ, რა, არ გვენდობი?" - წამოიძახა დარბაზიდან ვიღაცამ. - „როგორ არ გენდობით, მაგრამ"... - მთავარმა მსაჯმა წინადადება არ დააბოლავებინა - ყველაფერი გადაწყვეტილიაო. „მაშინ მე გუნდს ვხსნი და ხვალვე შინ ვბრუნდებით", - თქვა და დაჯდა. დარბაზი აჩოჩქოლდა. ასპარეზობის ორგანიზატორები კონფლიქტს მოერიდნენ და წილისყრა ხელახლა ჩაატარეს. აჭარის ნაკრებს ლენინგრადის გუნდი ერგო, სომხებს - მოსკოვისა. ის ახალგაზრდა მწვრთნელი კი **გურამ თოხაძე** გახლდათ.

1934 წლის 13 აპრილს დაიბადა თბილისში. მარჯანიშვილის ქუჩაზე ჩოგბურთის კორტების წინ ცხოვრობდა, რამაც მისი მომავალი სპორტული კარიერა თავიდანვე განსაზღვრა. შვიდი წლისამ დაიწყო ვარჯიში **მარიამ კლდიაშვილის** ხელმძღვანელობით. მეორე მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო და სპორტისთვის დიდად არავის სცხელოდა, მაგრამ უფროსები მოზარდებს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ.

საკავშირო სარბიელზე პირველ წარმატებას 1952 წელს მიაღწია - საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ჩემპიონატში რვა საუკეთესოს შორის დაიბევა ადგილი. ოთხი წლის შემდეგ გურამ თოხაძემ და გიორგი ღარიბაშვილმა ქართველ ჩოგბურთელთაგან პირველებმა იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში. ეს შეჯიბრება მოსკოვში გაიმართა საკავშირო სპორტსაზოგადოება „შახტიორისა" და პოლონეთის „გურნიკის" სპორტსმენების მონაწილეობით. პირადი პირველობა ღარიბაშვილმა მოიგო, თოხაძემ მე-5 ადგილი დაიკავა. 1957 წელს თბილისმა სპორტსაზოგადოება „შახტიორის" საკავშირო ჩემპიონატის B ჯგუფის პირველობას უმასპინძლა. გურამ თოხაძემ ნახევარფინალი მოსკოველ ველცთან დათმო და მე-3 ადგილს დასჯერდა.

- 1958 წელს, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბათუმში აჭარის ჩოგბურთის ნაკრების უფროს მწვრთნელად გამიშვეს, - იხსენებს ბატონი გურამი. - მომდევნო წელს როგორც უფროსებში, ისე ახალგაზრდებში ჩემმა შეგირდებმა საქართველოს სპარტაკიადაზე მხოლოდ თბილისელებთან წააგეს და მეორე ადგილები დაიკავეს. იმავე წელს ბათუმში „სპარტაკის" საკავშირო პირველობა გაიმართა. მოსკოველ მარგალიტა ემელიანოვასთან ერთად შერეულ წყვილებში სამი შეხვედრა მოვიგე. ნახევარფინალში ლუდმილა ბორისოვას და ნიკოლაი ოზეროვის დუეტთან დავმარცხდი და ბრინჯაოს დავჯერდი.

**- ბატონო გურამ, თქვენი ხელმძღვანელობით აჭარის ჭაბუკთა გუნდმა „სპარტაკის" საკავშირო პირველობაზე იყოჩაღა.**

- დიახ, კალინინგრადში. ეს იყო 1961 წელს. მაშინ ორგანიზატორებს ხელახლა ჩავატარებინე წილისყრა. ლენინგრადისა და ბელორუსის გუნდებს მოვუგეთ. ნახევარფინალში მოსკოველებს მაინც ვერ ავცდით. ძლიერი ნაკრები ჰყავდათ და დავმარცხდით. მესამე ადგილისთვის რუსეთის ფედერაციის ნაკრებს დავუპირისპირდით. ხუთი შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ, ამდენივე - რუსებმა. მატჩის ბედი შერეულ წყვილთა პაექრობას უნდა გადაეწყვიტა: ნიაზ ჟორდანიამ და სვეტლანა კუსტოვამ პირველი ხელი დათმეს, სამაგიეროდ, მეორე და მესამე სეტები მოიგეს და გუნდს ბრინჯაოს მედალი მოაპოვებინეს.

**- ამ წარმატების შემდეგ თქვენ მალევე დატოვეთ აჭარის დედაქალაქი..**

- ბათუმში ბინა არ მომცეს. ოთხი წელიწადი ნაქირავებში ვცხოვრობდი. 1962 წელს თბილისში დავბრუნდი და სამგორის რაიონის სპორტსკოლის დირექტორად დამნიშნეს. მერე ცენტრი გარდაბანში გადაიტანეს და ჩემი სკოლის მოსწავლეებით რაიონებს შორის რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე პირველობას არავის ვუთმობდი. ჩემი წინადადებით გლდანის ორი ინტერნატი რესპუბლიკურ სასპორტო სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა, სადაც არაერთი სახელოვანი ათლეტი გაიზარდა. სპორტის სხვა სახეობებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ჩოგბურთს ვაქცევდი. მახსოვს, გლდანში ექვსი კორტი მოვაწყვეთ.

**- როგორც წარმატებული მწვრთნელი, თქვენ ხშირად დაჰყვებოდით შეჯიბრებებზე ახალგაზრდა ალექსანდრე მეტრეველს, რომელიც იმ წლებში საბჭოთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიაჩნდათ.**

- გახდა კიდეც დიდი ვარსკვლავი. მეტრეველის პირადი მწვრთნელი იყო არამ ხანგულიანი, ხანში შესული კაცი, რომელსაც წლების სიმძიმის გამო შორს გამგზავრება ეძნელებოდა, ამიტომ ფედერაცია ხშირად მე მავალებდა, მეტრეველს ტურნირებზე გავყოლოდი. 1963 წელს საქართველოს ნაკრები სევეროდონეცკში წავიყვანე ზამთრის საკავშირო პირველობაზე. მაშინ ჩვენს გუნდში იყვნენ ალექსანდრე მეტრეველი, ნუგზარ მძინარაშვილი, ალიოშა ვერულავა, გივი ახალაძე, ირინა ერმოლოვა-რიაზანოვა, რენა აბჟანდაძე, ალა ივანოვა, ნინო თუხარელი. პირად პირველობაში საასპარეზოდ თეიმურაზ კაკულიაც წავიყვანეთ. გუნდურში მე-3 ადგილი დავიკავეთ. ბოლო შეხვედრისას მეტრეველი კოშკურის მსაჯს შეეკამათა, რის გამოც საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა თათბირზე გადაჭრით მოითხოვა, არბიტრთან შეკამათების გამო მეტრეველი პირად პირველობაზე არ დაუშვათო, თან მე მისაყვედურა სახალხოდ, აღმზრდელობითი მუშაობა არ გივარგათო. არ დავუთმე - მეტრეველი წელიწადის უმეტეს ხანს ატარებს საკავშირო ნაკრებში, რომლის უფროსი მწვრთნელი თქვენ ბრძანდებით, ამიტომ საყვედური თქვენ უფრო გეკუთვნით-მეთქი. დარბაზმა გადაიხარხარა და მეტრეველის პირად პირველობაში დაშვება-არდაშვების საკითხიც უმალ ამოიწურა. გვასახელა კიდეც -ზედიზედ იოლად სძლია მეტოქეებს, ფინალში ესტონელი თომას ლეიუსი დაამარცხა, რომელიც მაშინ საკავშირო ნაკრების ლიდერი გახლდათ. კეთილი ბიჭი იყო ლეიუსი, რომელმაც მერე წლების განმავლობაში ჩვენთან იმუშავა. სევეროდონეცკიდან რომ მოვდიოდით, გამოგვაცილა. იმ ყინვაში მეტრეველი თავშიშველი რომ დაინახა, თავისი ბეწვებიანი ქუდი აჩუქა.

იმ ზამთრის შეჯიბრებაზე თავი დაგვამახსოვრა 16 წლის თეიმურაზ კაკულიამ. მაშინ იგი საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონ მიხალ მოზერთან დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ კი რევანში აულო. მეტრეველმა და კაკულიამ საკავშირო ჩემპიონატებზე არაერთხელ გვასახელეს. ალექსანდრემ 1973 წელს სულაც უიმბლდონის ფინალში ითამაშა და გადამწყვეტი პაექრობა ჩეხ იან კოდეშთან დათმო...

**- ბატონო გურამ, თქვენს სამუშაო მაგიდაზე ხშირად შემინიშნავს ჩვენი გაზეთის ცინცხალი ნომრები. რა ადგილი უკავია „ლელოს" თქვენს ცხოვრებაში?**

- ჩემს მაგიდაზე არა მარტო გაზეთ „ლელოს", არამედ ჟურნალ „ლელოს" ყველა ნომერს ნახავთ. ქართული სპორტის მემატიანე ჩემი ცხოვრების თანამგზავრი 1949 წლიდან გახდა. გაზეთის ყველა ნომერს ვინახავდი არა მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტის ახალ ამბებს ვეცნობოდი - მე და „ლელო" ხომ ერთ დღეს - 1934 წლის 13 აპრილს დავიბადეთ და თანატოლები ვართ. ვისარგებლებ შემთხვევით „ლელოს" 80 წლის იუბილეს ვულოცავ.

შვიდ ათეულ წელიწადზე მეტია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე გურამ თოხაძე ჩოგბურთში ტრიალებს. მისი აღზრდილები არიან სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ლეილა მესხი, მაკა ჩახნაშვილი, ეკა თოხაძე, თათია მიქაძე, საერთაშორისო სპორტის ოსტატი დავით კაჭარავა, ნიაზ ჟორდანია, ვიტალი და ვოვა ასათიანები, ირაკლი მეტრეველი, გიორგი რევაზიშვილი და სხვები, რომლებსაც არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არაერთხელ უსახელებიათ თავი. მწვრთნელობას ჩინებულად უთავსებდა ჯერ თბილისის ყოფილი კალინინის რაიონის სასპორტო სკოლის, მერე „დინამოს" და თბილისის საჩოგბურთო სკოლების დირექტორობას. 1958 წლიდან საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობის წევრია. წლების განმავლობაში მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე იყო, ახლა მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელობს. წლების სიმძიმის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება და დაუზარებლად აკეთებს საქმეს, რომელსაც ბავშვობიდან ემსახურება. დღესაც თბილისის ომის ვეტერანთა პარკის ტერიტორიაზე მისი სახელობის ჩოგბურთის სკოლის კორტებზე ქალიშვილს - ეკა თოხაძეს ეხმარება მომავალი ჩემპიონების დაფრთიანებაში.

უპირველესად, ცხადია, შვილიშვილებს - სანდრო და შოთა მეფარიძეებს უკვალავს გზას კვარცხლბეკისკენ. ეამაყება, რომ მემკვიდრეები ღირსეულად განაგრძობენ ბაბუის საჩოგბურთო ტრადიციებს. შოთამ ცოტა უფრო შორსაც გაიწია - ივლისის მიწურულიდან იგი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის (აშშ) უნივერსტეტში ისწავლის და იქაური მწვრთნელების მეთვალყურეობით განაგრძობს დაოსტატებას და იქაურ უნივერსიადებში იასპარეზებს. 22 წლისა დალვინებულ ჩოგბურთელად დაუბრუნდება სამშობლოს და ქვეყნის სამსახურში ჩადგება. სახელოვანი ბაბუა უკვე იმ დღეზე ოცნებობს.

გურამ თოხაძეს 80 წელი შეუსრულდა. იუბილეს ვულოცავთ!

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა დანელიამ**
ავტორის ფოტო





სპორტული ოჯახი. მარცხნიდან: გურამ თოხაძე, სანდრო მეფარიძე, ეკა თოხაძე, შოთა მეფარიძე

ჩოგბურთი

## ბაქოში 16-წლიანები ყოჩაღობენ

აზერბაიჯანის დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება 14 და 16-წლამდელ ჩოგბურთელ გოგონათა და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. განსაკუთრებით 16-წლიანები ყოჩაღობენ. გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ამ ასაკის გოგონათა ნახევარფინალში მხოლოდ ჩვენებურები გავიდნენ. გუშინ მათი დაპირისპირება კი ასე დასრულდა: მე-6 ნომრად განთესილმა **ანა მუჯირმა** მე-3 ნომერ **მედეა პეტრიაშვილს** აჯობა ორ სეტში - 7:6, 6:2. ასევე, ორი ხელი დასჭირდა მე-4 ნომერ **მარიამ დალაქიშვილს** თანაგუნდელი **ნინო მემიშიშის** (მე-2) დასამარცხებლად - 6:1, 6:4. გადამწყვეტ პაექრობაში მუჯირი და დალაქიშვილი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

წყვილთა ფინალშიც ითამაშებს ანა მუჯირი და მარიამ დალაქიშვილი: ყაზახ ზიბეკ კულმანბაიევასთან შეამხანაგებულმა მუჯირმა გუშინ რუსების - ირინა ბაბკოვას და არინა სოლომატინას დუეტი ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:1. ქართულ-ყაზახური წყვილი ფინალში მედეა პეტრიაშვილისა (საქართველო) და საშა ჟულინას (რუსეთი) მძლეველ (5:7, 6:4, 10:5) ქართველებს - მარიამ დალაქიშვილსა და ნინო მემიშიშს შეხვდება.

ბაქოში წარმატებით თამაშობენ 16-წლიანი ბიჭებიც. წინა ტურნირის გამარჯვებულმა **ნიკოლოზ დავლიანიძემ** ნახევარფინალში ნიკიტა პარფენოვს (რუსეთი) აჯობა - 5:7, 6:2, 6:3. ფინალში იგი უკრაინელ ანატოლი რაინინს შეხვდება. ამ უკანასკნელმა გუშინ **ირაკლი მეტრეველი** ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:3.



მარიამ დალაქიშვილი



ნიკოლოზ დავლიანიძე

წყვილებში რეიტინგფავორიტებს - ირაკლი მეტრეველსა და ანატოლი რაინინს გუშინ მეტოქე არ გამოუცხადდათ და უბრძოლველად გავიდნენ ფინალში, სადაც ურთიერთობას გაარკვევენ რუსებთან - პაველ კარპუშკინსა და ნიკიტა პარფენოვთან. სლავების დუეტმა ნახევარფინალში **ზურაბ ტყემალაძისა** და ნიჯათ იბრაგიმოვის (რუსეთი) დუეტი დაჯაბნა - 6:4, 6:2.

14-წლიანებში მხოლოდ ერთი ფინალისტი გვეყოლება - **ანა მაკალათია**. რუს ანა სოლოვიევასთან შეამხანაგებულმა ჩვენებურმა მე-2 ნომრად განთესილი **ლანა კენჭიაშვილისა** (საქართველო) და ქსენია მიხაილოვას (რუსეთი) დუეტი დაამარცხა - 4:6, 7:5, 10:5. ფინალში ქართულ-რუსული ტანდემი ყაზახებს - დანიელ აშიროვას და ჯამილა ტაიტელს გაუწევს მეტოქეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეგიონი. ძიუდო

# უცხოეთი წარმატებით მოიარეს

კიევმა ამას წინათ, ვეტერანთა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, **ნუგზარ მესაბლიშვილის** სახელობის ძიუდოისტთა მეშვიდე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა 2001-2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ნუგზარი წარმოშობით ახმეტიდანაა, ცხოვრობს კიევში. თანამემამულეები იმდენად უყვარს, ყველა საერთაშორისო ტურნირზე ეპატიჟება ახმეტელ სპორტსმენებს და ხარობს მათი წარმატებებით.

ახმეტაში ჯერ შესარჩევი ტურნირი ჩატარდა. შეირჩა 8 ჭაბუკი: **შაქრო შათირიშვილი, სოსო ონიაშვილი, ლუკა გაგუნაშვილი** (მწვრთნელი **ზეზვა შათირიშვილი**), **მაგამედ ქავთარაშვილი** (მწვრთნელი **გუგული აბრამიშვილი**). **თორნიკე მაზიაშვილი** (მწვრთნელი **მამუკა აბრამიშვილი**), **ბექა სილაგაძე** (მწვრთნელი **გოდერძი გუდაშვილი**), **საბა ლომიძე** (მწვრთნელი **გია ნადირაძე**) და **კაკო ჩაფურაშვილი** (მწვრთნელი **მერაბ იოსებაშვილი**).



ახმეტელებმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გამარჯვებულები არიან: ონიაშვილი (30კგ.), შათირიშვილი (38) და გაგუნაშვილი (46).; მეორე პრიზიორი გახდა ქავთარაშვილი (34); მესამე ადგილზე გავიდნენ მაზიაშვილი (30) და სილაგაძე (60).

ტურნირის დასრულების შემდეგ ახმეტისა და კიევის ნაკრებებმა სამი დღე ერთად ივარჯიშეს, რის შემდეგ ქართველები შაკიუს საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ ლიტვაში. ამ ქვეყნის ქალაქ პანევეჟს და ახმეტის მუნიციპალიტეტს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ტურნირამდე ჩვენებმა ორი დღე მასპინძლებთან ერთად ივარჯიშეს. აქ ახმეტელებმა ორ ასაკში (2001-2002; 2003-2004) ექვსი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.

2001-2002-წლიანებში მაზიაშვილმა, ქავთარაშვილმა, გაგუნაშვილმა, ლომიძემ, და სილაგაძემ იპირველეს. მეორე ადგილზე გავიდნენ: შათირიშვილი და ონიაშვილი. 2003 წელს დაბადებულთაგან მხოლოდ ჩაფურიშვილმა იყოჩაღა - ოქროს დაეუფლა. ასე რომ, ყველა ახმეტელი შინ მედლით დაბრუნდა.

31 მაისს და 1 ივნისს ახმეტაში გაიმართება გუგული აბრამიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. იასპარეზებენ უკრაინის, რეგიონის წარმომადგენლები. ტურნირზე, მშობლიურ ახმეტაში, ნუგზარ მესაბლიშვილიც ჩამოვა.

**ლელა ხეჩოშვილი**

# მეოთხე ტრადიციული

„ძიუდოს პაპად" წოდებულმა გამოჩენილმა მწვრთნელმა **ბიძინა მაზიაშვილმა** (1928-2004), მთელი ეპოქა შექმნა საქართველოს ძიუდოს მატიანეში. მის ღვაწლს დავიწყება ნამდვილად არ უწერია. მშობლიურ დედოფლისწყაროში ამაგდარის სახელობის ტურნირი (მონაწილეობდნენ 1998-1999 წლებში დაბადებულები) ადგილობრივი თავკაცებისა და ბიძინას მოწაფის **ანზორ მარტყოფლიშვილის** მხარდაჭერით უკვე მეოთხედ ჩატარდა.

ყველაზე ტექნიკური ჭიდაობისათვის პრიზი მიეკუთვნა არხილოსკალოელ **ბექა გიგაურს**, ლამაზი გდებისათვის სილნალელ **მათე სურმავას**. პრიზები გადაეცათ მსაჯებსაც: **გოჩა გუტაშვილს, აკაკი ლობჟანიძეს, ტრისტან სუხიტაშვილს** და **ბესო ბალარჯიშვილს**.

**ქვარცხლბექი**

**46 კგ.** 1. ვაჟა ბუბუნაური (დედოფლისწყარო), 2. მამუკა ქურასბედიანი (თბილისი), 3. ანზორ ბაიაშვილი (მარტყოფი), 3. გიორგი ახალაური (ახმეტა).

**50 კგ.** 1. ნიკა კობაიძე, 2. ლაშა ბექაური (ორივე-ზემო ქედი), 3. ბექა ბუქური (არხილო), 3. ზურაბ ბაჩიაშვილი (ახმეტა).

**55 კგ.** 1. უშანგი ქიტესაშვილი (ახმეტა), 2. მიხეილ ბახბახიშვილი (თელავი), 3. გიორგი სუხიშვილი (ახმეტა), 3. გიორგი მღებრიშვილი (საგარეჯო).

**60 კგ.** 1. გელა გარაყანიძე (თბილისი), 2. გიორგი წიკლაური (არხილო), 3. ლევან ლომიაშვილი (ახმეტა), 3. გიგა მუმლაძე (ლაგოდეხი).

**66 კგ.** 1. ბექა გაგაძე (არხილო), 2. გიორგი სუხოშვილი, 3. გიორგი ქიბროწაშვილი, 3. გიგა იმერლიშვილი (სამივე-ახმეტა).

**73 კგ.** 1. იმედა გოგოლაური (ლაგოდეხი), 2. ბაჩო სარქისაშვილი (ახმეტა), 3. ნუგზარ ჭიკაძე (საგარეჯო), 3. ბექა ფიცხელაური (ახმეტა).

**81 კგ.** 1. ნოდარ წამალაიძე (თბილისი), 2. ლევან ჩურჩხელაშვილი (ახმეტა), 3. გიორგი გუგენიშვილი (არბოშიკი), 3. მამუკა ჭიკარტაძე (საგარეჯო).

**+81 კგ.** 1. ელდარ ჯიქიძე (საგარეჯო), 2. ბექა შპეტიშვილი (მარტყოფი), 3. პაატა მარტიაშვილი (თელავი), 3. სოსო ბაზიერაშვილი (გურჯაანი).

**გაბრიელ ბარჯაძე**



# 10 ოქრო შავი ზღვის ტურნირიდან

საქართველოს ძიუდოს 3 კლუბის: „ლიდერის" (მწვრთნელი **ალექსანდრე მამუკიშვილი**), „ოლიმპის" (მწვრთნელი **ზვიად წონკოლაური**) და „ბორჯომის" (მწვრთნელი **თემურ კევლიშვილი**) 5 სხვადასხვა ასაკის ჭაბუკებმა იასპარეზეს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში „შავი ზღვის საერთაშორისო ტურნირზე" და მედლებიც ბლომად ჩამოიტანეს.

პირველობა მოიპოვეს **საბა ბერიშვილმა** (21 კგ), **საბა წონკოლაურმა** (24 ), **საბა ხალიშვილმა, სოსო დრიაშვილმა** (42), **გიორგი კაპანაძემ** (46), **გიორგი შერაზადიშვილმა** (50), **ვაჟა ქოროღლიშვილმა** (73), **ვოვა პეპინაშვილმა** (90), **გიგა გელაშვილმა** (30) და **ლუკა ნოზაძემ** (55).

ვერცხლის მედლები ხვდათ წილად: **გიორგი კვეკვეციას** (60), **მათე სიჭინავას** (55 ) და **გიზო შაყულაშვილს** (55). მესამე ადგილს დაეუფლა **ლუკა ღვინიაშვილი** (65).

ეს იყო 1997-1999, 200-2001, 2002-2003, 2004-2005 და 2006-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო შეჯიბრება.

**გაბრიელ ბარჯაძე**

● სუმო. ნაგოია ბაშო. 11-25 მაისი



მარცხნივ თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)

# გაგამარუს ზედიზედ მესამე გამარჯვება

სუმოს ელიტაში **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ზედიზედ მესამე ორთაბრძოლა მოიგო და მას 3-2 ბალანსი გაუხდა. ჩვენებურმა ამჯერად, **სოკოკურაის** იორიკირის ილეთით აჯობა. 199-კილოიანი ქართველის მორიგი მეტოქე მე-16 მაეგაშირა **არავაშია**.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ბრწყინვალედ ასპარეზობს **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. ის კვლავ დაუმარცხებელია, ლევანმა **კავაბატა** იორიკირის ილეთით გაიყვანა დოჰიოს რკალიდან. ტოჩინოშინს 3-0 ბალანსი აქვს და დღეს ისვენებს. შეგახსენებთ, რომ პირველი ორი ელიტური დივიზიონის ქვემოთ ბაშო 7-ბრძოლიანია.

**V დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ჩიოტაირიუ (ოშიდაში), კაკურიუ-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი), ჰაკუჰო-ტაკარაფუჯი (ცუკიოტოში), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-იოშიკაძე (კოტენაგე), **გაგამარუ**-სოკოკურაი (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)

**4-1:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კაკურიუ (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), გოეიდო (სეკივაკე), ამინიშიკი (მაეგაშირა 3), ენდო (მ 4), იკიოი (მ 5), ტაკაიასუ (მ 8), ჯოკორიუ (მ 12), კიტატაიკი (მ 13)... **3-2: გაგამარუ** (მ 14)

**VI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): კაკურიუ-კიოკუტენჰო, ჰაკუჰო-ამინიშიკი, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-ენდო, კისენოსატო-ტოჩიოძანი, **გაგამარუ**-არავაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭადრაკი

# მოგებით დაიწყო




მიხეილ მჭედლიშვილი

ტაშკენტში პირველი უზბეკი დიდოსტატის - გიორგი აგზამოვის საერთაშორისო მემორიალში სასტარტო შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** იოლად სძლია მასპინძელ ვიქტორია სერგეევას, რომელიც ჩვენებურს რეიტინგში 511 პუნქტით ჩამორჩება. ასევე, პირველი ქულები ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში ფავორიტებმა - სერგეი ჟიგალკომ (ბელარუსი), იური კუზუბოვმა (უკრაინა), არმან პაშიკიანმა (სომხეთი), პაველ სმირნოვმა (რუსეთი) და სხვებმა, სულ 45-მა მოჭადრაკემ.

მეორე ტურში მჭედლიშვილი ფიდეს ოსტატ ტეიმურ იგონინს (უზბეკეთი) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

● პრობლემა. ვინ გვიპასუხებს?

# ლაგუნა ვერე გვემშვიდობება?

როგორც ჩანს, მართლაც გვემშვიდობება. უკვე რამდენიმე თვეა ამ საწყლოსნო კომპლექსმა ფუნქცია დაკარგა. ასზე მეტი თანამშრომელი დაითხოვეს, შეწყდა სპორტული და გამაჯანსალებელი ჯგუფების მეცადინეობები. რას უპირებენ? კონკრეტულ პასუხს არავინ იძლევა, თვით ბაზის დირექტორმა **ვლადიმერ გოიაშვილმაც** კი არ იცის ეს კარგამოკეტილობა რით დასრულდება. იქნებ იგივე ბედი ეწევა, რაც ორთაჭალჰესთან საცურაო აუზს - „ალიგავა პირისაგან მიწისა". მაშინ ინვესტორი სანაცვლო აუზის აგებით ამშვიდებდა საზოგადოებას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

„ლაგუნა ვერეს" კომპლექსი ამორტიზებულიაო, მაგრამ სად არის ეს დასკვნა, რატომ არ საჯაროვდება? კარგა ხანს გაისმოდა, რომ კომპლექსი სარემონტოდ დაიკეტა, თუმცა ესეც არ გამართლდა. აგერ სეზონი იხსნება და მათთვის საყვარელ აუზზე, როგორც ეტყობა, წლეულს თბილისელებს ვერ ვიხილავთ. ან კი ვიხილავთ საერთოდ?

ვინ გვიპასუხებს?

**ქართული სპორტის რედაქცია**

ელ-ფოსტა ან მობილური პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი •••••••••• ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ დაგავიწყდათ პაროლი?
ერთიანი ბიბლიოთეკა

# რატომ გეცვათ ადიდასი?!

რუბრიკა „ტაიმლაინისთვის" საინტერესო მასალა მქონდა შერჩეული - სპორტის მუზეუმს ვეწვიე და იქ დაცულ, 1677 წელს იოჰან გუტენბერგის სტამბაში დაბეჭდილ სპორტულ წიგნზე უნდა მომეთხრო, მაგრამ სამსახურში მისულს მეტად საინტერესო ამბავი დამხვდა.

სოცქსელ „ფეისბუქზე" მომხმარებელმა „დინამო „თბილისი" თასების მფლობელთა თასის მფლობელი 1981", გამოაქვეყნა გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელის **ნოდარ ახალკაცის** მონათხრობი. ბატონი ნოდარი ისეთ საკითხს შეეხო, ნებისმიერ ქართველს რომ დააინტერესებს. თანაც, 13 მაისი სამიოდე დღის წინ იყო...

ნოდარ ახალკაცი იხსენებს:

*- მინდა ერთი რამ მოგიყვეთ, რაც ყველას ნათელ სურათს შეუქმნის, თუ როგორი „აღფრთოვანება" და „სიხარული" გამოიწვია „ცენტრში" ჩვენმა გამარჯვებამ. ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო, ჰოდა, სწორად გამიგეთ, რასაც მოვყვები.*

*იმპერიის ნაკრებმა მოსკოვში ოლიმპიადა რომ წააგო, მთავარი მწვრთნელი ბესკოვი ორდენით დააჯილდოეს, საზოგადოება „სპარტაკის" საიუბილეო დღეებში მან კვლავ მიიღო მედალი. ლობანოვსკის, ევროპის თასის მოგებისათვის, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, ორდენი ჩამოჰკიდეს...*

*მე კი, 16 მაისს, როცა დიუსელდორფიდან გუნდთან ერთად მოსკოვში დავბრუნდი, აეროპორტში დამხვდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თანამშრომელი ფედულოვი და ავტობუსში ასვლის წინ გადმომცა რაღაც საბუთები, თან მთხოვა, თავისუფალ დროს გაეცანითო. შეუძლოდ ვიყავი, ამიტომ ჩანთაში ჩავაგდე და თბილისისკენ გამოვემართე, ხოლო საქართველოში ჩამოსულმა რომ გადავხედე, ჭეშმარიტი საბჭოთა სიურპრიზი დამხვდა.*

*„დინამოს" ცენტრალური საბჭო საყვედურს მიცხადებდა - აქაოდა დიუსელდორფში გუნდი „ადიდასის" ფორმით რატომ ათამაშეო. კიდევ ერთხელ გამიგეთ, წყალსაც წაუღია იმათი ყველა ორდენი და მედალი, მაგრამ ამ მოქმედებაში ნათლად გამოჩნდა იმპერიის მესვეურთა ის „სიხარული", რომელიც ქართული ფეხბურთის გამარჯვებამ მოჰგვარა და, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ გააშიშვლა მათი უზნეო, ბოროტი სული.*

*აი, ასეთი „მადლობა" მივიღე მაშინ იმპერიის მესვეურებისაგან, მაგრამ სულაც არ მენაღვლებოდა, ჩემთვის მთავარი იყო ის დიდი სიყვარული, დედასამშობლომ ჩვენ მიმართ რომ გამოამჟღავნა და რომელსაც ახლაც ვგრძნობ. დიდი მადლობა ქართველ ერს, რომელიც ასე გვიფასებს იმ გამარჯვებას.*



მარცხნიდან: ედუარდ შევარდნაძე და ნოდარ ახალკაცი

● კალათბურთი. U18



მარცხნიდან: ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი ცინცაძე, ზაზა ფაჩულია

# პირველ ფინალში ერთი ქულით

**15 მაისი, თბილისი**

| მართვე-აკადემია | 55:56 |
|---|---|

14:10, 12:15, 19:10, 10:21

**მართვე:** ძანძავა, ფალავა (7ქ, 5მ), ტულუში (6ქ, 15მ), ჭიჭველიშვილი (2ქ, 3პ), რ. ლომიძე (4ქ), დ. ლომიძე (21ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), გოგნაძე (9ქ, 13მ), რეხვიაშვილი (6ქ, 6მ).

**აკადემია:** ხალათიანი (4ქ, 6მ), ცხოვრებოვი (2ქ), ცინცაძე (9ქ, 6მ), თევდორაშვილი (18ქ), ბულაშვილი (6ქ), ლეონიძე, დარბაიძე (6ქ, 10მ), მამუკელაშვილი, აფხაზავა (3ქ), ბერაია (2ქ), გიორგაძე (6ქ, 16მ, 4ჩ, 3დ), წაქაძე.

საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერია გუშინ სპორტის სამინისტროს სავსე დარბაზში გაიხსნა. ერთმანეთის წინაშე „მართვე-165-ე სკოლა" და „აკადემია" წარდგნენ.

საფინალო ანგარიშიც (55:56) მიუთითებს, რაოდენ დაძაბული გამოდგა შეხვედრა, რომელსაც საქართველოს ნაკრების კალათბურთელები, ზაზა **ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი** და **გიორგი ცინცაძეც** ესწრებოდნენ. სხვათა შორის, „აკადემიას" მაისურით ცინცაძის უმცროსი ძმა ნიკა თამაშობს.

ბოლო წამებზე გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, იყო ოვერტაიმის დანიშვნის დიდი ალბათობაც: სირენამდე 3 წამით ადრე მართველები 2 ქულით მარცხდებოდნენ და საჯარიმოების ტყორცნის უფლება მოიპოვეს, თუმცა, მხოლოდ ერთი ჩააგდეს და სერიის პირველი მატჩიც „აკადემიამ" მოიგო.

**ირაკლი ტომარაძე** („აკადემიის" მთავარი მწვრთნელი):

*- მივულოცავ ბიჭებს გამარჯვებას, ბოლო პერიოდში მოინდომეს და მოვიგეთ, თუმცა ძალიან ცუდად ვითამაშეთ. კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ.*

**ხათუნა გაბედავა** („მართვე 165-ე სკოლის" მთავარი მწვრთნელი):

*- თითქმის მთელი მეოთხე პერიოდი 8-10 ქულით ვლიდერობდით, თუმცა შემდეგ ლომიძეს ფეხი გადაუბრუნდა, გოგნაძეც დაშავდა და მეტოქემ გარდატეხა შეიტანა. ბოლოს ნერვებმაც გვიმტყუნა.*



● კალათბურთი. ლეგიონერი

# შერმადინი ნახევარფინალშია... თითქმის

**გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებს. ამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, თუმცა მიზნამდე პირეოსელებს ერთი გამარჯვებაღა აშორებთ. მათ ორივე საშინაო შეხვედრაში იმდენად დამაჯერებლად აჯობეს „პანიონიოსს", რომ მესამე გასვლითი მატჩის წინაც ყოველგვარი შეკითხვა მოხსნილია - „ოლიმპიაკოსი" ათენშიც მოიგებს და ნახევარფინალში გავა.



გიორგი შერმადინი

მეორე შეხვედრის ბედი შერმადინის თანაგუნდელებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, ოცქულიანი უპირატესობა დაიბევეს და მეტოქისთვის საფინალო სირენამდე არ მიუციათ ამოსუნთქვის საშუალება. საბოლოოდ 84:58.

216 სმ სიმაღლის ქართველმა 14 წუთი ითამაშა, მატჩი 4 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა. გიორგიმ პირველ ტაიმში ჩაგდებულ ორქულიანს (1/1), მეორე ნახევარში 2 საჯარიმო (ორიდან) მიამატა და ზედიზედ მეორე შეხვედრაა მოედნიდან ასპროცენტიანი შედეგიანობით გადის.

სერიის მეოთხე მატჩი „პანიონიოსის" მოედანზე 19 მაისს გაიმართება.

● კალათბურთი. აქცია

# სკიტას მაისურა მუზეუმს

15 მაისს საქართველოს სპორტის მუზეუმში იმდენი სტუმარი შეიკრიბა, ტევა არ იყო. ქართული საგანძურით გავსებულ დარბაზს კალათბურთელი **ნიკა ცქიტიშვილი** სტუმრობდა, რომელმაც ახალგაზრდა კალათბურთელებთან ერთად უამრავი საინტერესო ექსპონატი დაათვალიერა. შეგახსენებთ, რომ ეს ღონისძიება სუპერლიგის ეგიდით მართება და ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურება.

თუმცა, მუზეუმს მხოლოდ სკიტა და ყმაწვილები როდი სტუმრობდნენ - გუშინ მათთან ერთად ლატვიელი ვეტერანი კალათბურთელები შეიკრიბნენ, ინტერესით დაათვალიერეს ქართული სპორტული დიდების ამსახველი ექსპონატები და ცქიტიშვილთანაც სიამოვნებით გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ნიკამ საკუთარი 20-ნომრიანი მაისურა („გოლდენ სტეიტის" ფორმა) მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი:**

*- როცა დამწყები კალათბურთელი ვიყავი, ყოველთვის მქონდა მოტივაცია დავსწრებოდი მსგავს ღონისძიებებს და გამეცნო ყოფილი თუ მოქმედი NBA-ს მოთამაშეები. ვფიქრობ, ასეთი აქციები ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სანამ წარმატებული კალათბურთელები გახდებიან, უნდა იცნობდნენ ქართული კალათბურთის და, ზოგადად, სპორტის ისტორიას.*

**ენდის კარკლინში** (ლატვიელი ვეტერანი მოთამაშე):

*- აქ სტუმრობის მიზეზი „სოხუმის" მხარდაჭერა და მისი გამხნევებისთვის ამხანაგური მატჩის გამართვა იყო ქართველ ვეტერან კალათბურთელებთან. 14 მაისს კახეთში ერთი შეხვედრა ჩავატარეთ, მეორე 17 მაისს იგეგმება (თბილისის სპორტის სასახლეში). დღეს კი მუზეუმს ახალგაზრდა კალათბურთელებთან ერთად ვეწვიეთ. საქართველოს და ლატვიას მდიდარი სპორტული ისტორია აქვთ და კარგია, ეს ახალგაზრდა თაობამ იცოდეს.*



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადა

# სინგაპურს უკვე ვაჯობეთ




16-28 აგვისტოს ჩინურ ნანჯინგში მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები გაიმართება, რომლის პროგრამაშიც სპორტის 30 სახეობა შედის. მათ შორის – მდიდართა თამაშად წოდებული გოლფიც, რომელიც, პრესტიჟულობის მიუხედავად, ჯერაც ვერ ჩაეწერა მაღალი მიღწევების სპორტში. ამ თამაშებს სათავე ოთხი წლის წინ დაედო, როცა სინგაპურში პირველი ახალგაზრდული ღონისძიება გაიმართა. სპორტი თანდათან უფრო ზრდის მასშტაბებს, რისი დასტურიც ეს ოლიმპიადაა – მსგავსი ღონისძიება აქამდე თუ უფროსთა შორის ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნეოდა, ახლა ახალგაზრდებშიც იკიდებს ფეხს. მართალია, სპორტულ გვირგვინად მაინც უფროსთა შეჯიბრება დარჩება, მაგრამ ბევრ მოზარდს ესეც მისცემს თავის გამოჩენის შანსს.

ჯერჯერობით საქართველოს ანგარიშზე ამ თამაშების 6 საგზურია სპორტის ხუთ სახეობაში. წინ კიდევ რამდენიმე შესარჩევი შეჯიბრებაა და, სავარაუდოდ, ეს სია გაიზრდება, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, უკვე გაუმჯობესდა წინა თამაშების რეკორდი – სინგაპურში ხუთი მონაწილე გვყავდა. ნანჯინგში გამოსვლის უფლება უკვე მოიპოვეს **ნიკა შენგელიამ** (ფარიკაობა), **აკაკი ვაშაკიძემ** (ცურვა), **მექი სიმონიამ** (თავისუფალი ჭიდაობა), **თეონა ჯანჯღავამ** (ბატუტზე ხტომა) და **მარიამ ჯანაშვილმა** (ძიუდო). მეექვსე საგზურიც ძიუდოს ანგარიშზეა, ოღონდ იქ კვოტირებულთა შორის რამდენიმე ფალავანია, ლიცენზია კი ერთია (ჭიდაობებსა და ძიუდოში ქვეყანაზე ერთზე მეტი საგზური არ გაიცემა). მწვრთნელებს ის ერთი ფალავანი ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებიათ, აი, ჯანაშვილს კი კონკურენტი არ ჰყავს. ამასთან, კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობაც ამტკიცებს, რომ მათმა ფალავანმაც მოიპოვა საგზური, მაგრამ ვინაიდან ჯერ საერთაშორისო ფედერაციიდან ოფიციალური დასტური არ მოსულა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სიაში მის შეყვანას არ ჩქარობს.

სულ ბოლოს სალიცენზიო შეჯიბრებაში მოჭიდავეები გამოვიდნენ – ევროპის ჩემპიონატზე. მათგან 4 საგზურს ელოდნენ (2-2-ს თითო სახეობაში), მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთს დასჯერდნენ. არადა, ფინალში სამი სპორტსმენი გავიდა. სანახევროდ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, ჩვენც გაცნობეთ, რომ სამივემ მოიპოვა საგზური, მაგრამ როგორც გაირკვა, ლიცენზიას მხოლოდ წონების ნახევარი ანუ 10-დან 5 იძლეოდა. თანაც, თავისუფალ ჭიდაობაში თუ ერთ ხუთეულს იძლეოდა, ბერძნულ-რომაულში – საპირისპიროს. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ბერძენ-რომაელთა ევროპის ჩემპიონებმა სწორედ იმ არასალიცენზიო წონებში გაიმარჯვეს. სულაც არ ვაკნინებთ სიმონიას, ვინც წლეულს ჩინებულ სეზონს ატარებს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ **ნიკოლოზ ჭიკაიძესაც** (63) და **ზვიად პატარიძესაც** (100) ჩინეთში წარმატების ცოტა მეტი შანსი ექნებოდათ.

ისე, მოჭიდავეებს ჯერაც რჩებათ საგზურის მოპოვების შანსი. როგორც გითხარით, თითო ქვეყანას მხოლოდ ორი საგზური ეძლევა. არადა, აზერბაიჯანმა, რუსეთმა და თურქეთმა 2-ზე მეტი ლიცენზია მოიპოვეს და ახლა მათ შორის უნდა აარჩიონ 2 საუკეთესო. იმ შემთხვევაში, თუ ისეთ წონებზე იტყვიან უარს, სადაც ჩვენ ბრინჯაო მოვიპოვეთ, მაშინ საგზურის მოპოვების შანსი ჩვენებსაც ექნებათ. ეს საკითხი საბოლოოდ 15 ივნისამდე გაირკვევა.

თუ დავაკვირდებით, ამ ხუთი ლიცენზირებული სახეობიდან ორი – ძიუდო და ჭიდაობა ჩვენთვის სტრატეგიულ სახეობებს მიეკუთვნება, სამი კი ისეთია, ერთ დროს დიდი წარმატებები რომ გვქონდა, მაგრამ ახლა თავიდან იწყებენ აღორძინებას: ფარიკაობა, ცურვა და ბატუტზე ხტომა. სამივე ამ სახეობაში წამოვიდა ისეთი თაობა, რომელმაც უკვე მოიპოვა წარმატებები საერთაშორისო არენაზე და ჩავარდნის პროცესიც დაასრულა.

სალიცენზიო ტურნირები რიგ სახეობებში ჯერ ისევ გრძელდება, თუმცა უკვე ბევრიც აღარ დარჩა. უახლოესი ასეთი შეჯიბრება მშვილდოსნებს ელოდებათ – ევროპის პირველობა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, სადაც სალიცენზიო შეჯიბრება ცალკე ჩატარდება და საგზურის მისაღებად ოთხეულში მოხვედრაა საჭირო.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. სტუმრები


ინგლისელი სტუმრები რუსთავის სარაგბო ბაზაზე

# ერთობის პროექტი საქართველოში

თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ინგლისის რაგბის კავშირის, ასევე კენტისა და ესექსის საგრაფოების რაგბის კავშირების წარმომადგენლები. ისინი ინგლისის რაგბის კავშირის, რაგბის საერთაშორისო საბჭოს, ფირა-აერისა და გაერთიანებული სამეფოს სპორტის სააგენტოს ერთობლივი პროგრამის - „ერთობის პროექტის“ განხორციელების დასაწყებად ჩამოვიდნენ.

პროგრამა, რომელიც უკვე წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს, რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მისი მიზანი ევროპაში რაგბის განვითარებაა. პირველ ეტაპზე განხორციელდა იმ ქვეყნების შერჩევა, რომლებსაც ინგლისის საგრაფოების რაგბის კავშირები დაუმეგობრდნენ.

ვინაიდან კენტისა და ესექსის საგრაფოებს გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე მდიდარი სარაგბო ისტორია აქვთ, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ისინი საქართველოსთან დაემეგობრებინათ.

სამუშაო ვიზიტის დროს, დელეგაციის წევრებმა თბილისსა და რუსთავში დაათვალიერეს უკვე არსებული და მშენებარე სარაგბო ბაზები და მათი ინფრასტრუქტურა; ესტუმრნენ კიკეთში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლას და სარაგბო კლუბ „იუნკერებს“ ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთ მიმართულება სასკოლო რაგბის, როგორც სასკოლო დისციპლინის განვითარებაა. ისინი აგრეთვე გაეცნენ საქართველოს პირველობის სტრუქტურას და განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინეს საფესტივალო ასაკის ტურნირებისა და ჭაბუკთა ლიგების გათამაშების მიმართ.

ვიზიტის მსვლელობისას, საქართველოს რაგბის კავშირმა და „ერთობის პროექტის“ დელეგაციის წევრებმა, ზოგადად განიხილეს ის სფეროები, რომლებშიც თანამშრომლობა გაგრძელდება. მალე საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან კენტისა და ესექსის საგრაფოებს.

**რაგბის კავშირის პრესსამსახური**

ხელბურთი

# ქართველები უცხოეთში

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრთა ერთი ნაწილი უცხოურ კლუბებში გამოდის და ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. მაგალითად, **ვლადიმერ რუსია** და **შოთა თევზაძე** რუმინეთის ეროვნულ ჩემპიონატში „შტიინცა ბაკეუს“ სპორტულ ღირსებას იცავენ. სამთა ფინალური ტურნირის მეორე მატჩში „ბაკეუმ“ შინ „პოტაისა ტურდა“ 32:28 დაამარცხა. ვლადიმერ რუსიამ მეტოქის კარში 2 გოლი გაიტანა. მეკარე შოთა თევზაძეს ამ დღეს არ უთამაშია. პირველი წრის შემდეგ 2 მოგებით „კონსტანცა“ ლიდერობს, 1 მოგებით მეორეზეა „ბაკეუ“, „ტურდამ“ ორივე მატჩი წააგო. 18 მაისს მეორე წრე დაიწყება. ქართველთა „ბაკეუ“ ამჯერად სტუმრად ეთამაშება „ტურდას“, ხოლო კონსტანცას ამ კვირაში EHF-ის თასის ოთხთა ფინალი აქვს ბერლინში.

■ ■ ■

მაკედონიაში „ზომიმაკ-სტრუმიცამ“ 24:28 წააგო „პელისტერთან“, **რეზო ჭანტურიამ** სამი გოლი გაიტანა. „სტრუმიცა“ ქულით ჩამორჩა მეტოქეს და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ტურნირის დასრულებამდე კიდევ სამი ტურია. „სტრუმიცა“ და „პელისტერი“ ბრინჯაოსთვის იბრძოლებენ, ხოლო ჩემპიონის ვინაობა „მეტალურგსა“ და „ვარდარს“ შორის გაირკვევა. მაკედონიის თასის ნახევარფინალში რეზო ჭანტურიას გუნდი სწორედ „მეტალურგს“ შეხვდება.

**ვაჟა დანელია**


უტევს ვლადიმერ რუსია

წყალხტომა


ჭოლა ჭანტურია

# ევროპაზე ევროპის გავლით

წლეულს 15 აგვისტოდან ბერლინი წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენი **ჭოლა ჭანტურიაც** იასპარეზებს. იგი მონდომებით ემზადება ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის. ამას წინათ მწვრთნელ **ირაკლი ბართაიასთან** ერთად იგი კანადის დედაქალაქ ოტავაში იმყოფებოდა მსოფლიოს გრან პრიზე. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საპრიზო ადგილებისთვის 20 ქვეყნის 30 წარმომადგენელი იბრძოდა. ჭოლამ 355 ქულას მოუყარა თავი და მე-13 ადგილი დაიკავა - ფინალურ თორმეტეულში შესასვლელად 4,5 ქულა არ ეყო.

- ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ჭანტურია ორ ურთულეს ხტომას ამუშავებს, - გვითხრა ირაკლი ბართაიამ. - წინდგომით უკან სამ-ნახევარი მალაყი და უკანა დგომით სამ-ნახევარი მალაყი წინ. ჯერ მათ დახვეწა აკლია, რაც ოტავაშიც გამოჩნდა. ორი ხტომის შემდეგ ჭოლა მე-4 ადგილზე იყო. სწორედ მესამე ნახტომი იყო ახალი, რომლის შესრულებისას შეცდომა დაუშვა და დაბალი შეფასებაც მიიღო. დანარჩენი სამი ხტომაც ვერ შეასრულა სათანადო ოსტატობით და საბოლოოდ მეცამეტე ადგილით დაკმაყოფილდა; უნდა ითქვას ისიც, რომ აკლიმატიზაცია ვერ მოვასწარით. ყოველივეს მიუხედავად, ჩემმა შეგირდმა 21,67 სარეიტინგო ქულა შეიმატა და გრან პრის სამი ეტაპის შემდეგ 65 ქულით ევროპულ კლასიფიკაციაში მე-12 ადგილზეა. დარწმუნებული ვარ, რომ 1-3 აგვისტოს იტალიურ ბოლცანოში გრან პრის მორიგი ეტაპის შემდეგ იგი რეიტინგში კიდევ რამდენიმე საფეხურით წინ წაიწევს. ივნისის ბოლოს მინსკში გავემგზავრებით და ბელარუსებთან ერთად ჩავატარებთ ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას. ბოლცანოს შემდეგ 4-14 აგვისტოს გერმანულ დრეზდენში ვივარჯიშებთ მასპინძლებთან ერთად. იქიდან კი ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრებით.

**ვაჟა დანელია**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი წრე დასასრულს უახლოვდება

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. A ჯგუფში პირველობისთვის ბრძოლას ისევ სამი გუნდი განაგრძობს. მართალია ლიდერი თბილისის „ლოკომოტივია“, მაგრამ მას უახლოეს მდევრებზე ერთი თამაშით მეტი აქვს გამართული.**

მე-7 ტურში სწორედ დღემდე დაუმარცხებელი თბილისის „აკადემია“ და „ლელო“ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი ფრედ 20:20 დასრულდა. რკინიგზელებს კი მოგება ჩაეთვალა „ხულიგანასთან“, რადგან ეს უკანასკნელი სათამაშოდ არ გამოცხადდა.

B ჯგუფში უკვე გამოიკვეთა ორი ფავორიტი: რუსთავის „ხარები“ და ქუთაისის პირველი გუნდი. ეს გუნდები ერთმანეთს პირველი წრის ბოლო ტურში დაუპირისპირდებიან ქუთაისში. იქამდე კი „ხარებმა“ შინ დაამარცხეს დამაჯერებლად თბილისის „არმაზი“, ქუთათურებმა ასევე საკუთარ მოედანზე სძლიეს „არმიას“ - 18:13.

აღსანიშნავია, რომ „არმაზიც“ და „არმიაც“ დაწინაურებულთა უშუალო კონკურენტები იყვნენ.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**VII ტური**

აკადემია-ლელო 20:20, ლოკომოტივი-ხულიგანა X:0, ბორჯომი-წიქარა 22:16, ბათუმი-ყოჩები 22:8.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლოკომოტივი - 30 ქულა, 2. აკადემია - 27, 3. ლელო - 26, 4. წიქარა - 14, 5. ბათუმი - 13, 6. ხულიგანა - 13, 7. ბორჯომი - 9, 8. ყოჩები - 0, 9. ზვავი - 0.

**VIII ტური**

ლელო-ბათუმი, ხულიგანა-აკადემია, წიქარა-ზვავი, ყოჩები-ბორჯომი

**B ჯგუფი**

**VII ტური**

აია2-იმერეთი 16:8, ხარები-არმაზი 40:3, აია1-არმია 18:13, იუნკრები-დედოფლისწყარო 19:18, ტორნადო-ჯვაროსნები 15:28.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხარები - 35 ქულა, 2. აია 1 - 34, 3. არმაზი - 24, 4. არმია - 20, 5. აია 2 - 12, 6. ტორნადო - 12, 7. ჯვაროსნები - 10, 8. იმერეთი - 8, 9. დედოფლისწყარო - 5, 10. იუნკრები - 4.

**VIII ტური**

ჯვაროსნები-აია2, იმერეთი-დედოფლისწყარო, არმია-ტორნადო, არმაზი-აია 1, ხარები-იუნკრები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ვიცი, რომ საქართველოში მკლავჭიდი, როგორც სპორტის სახეობა დაინერგა 1990-იან წლებში. ძალიან მაინტერესებს, ვინ მოიგონა ეს კეთილჟღერადი და ლამაზი ტერმინი?

**გიგი თვალაძე**

**პასუხი:** დიახ, მალე მკლავჭიდს ჩვენში 27 წელი შეუსრულდება. ტერმინი „მკლავჭიდი“, რომელიც თქვენ და საერთოდ ყველას ასე მოსწონს, იმთავითვე პირველად გაჩნდა „ლელოს“ ფურცლებზე და მისი ავტორია იმხანად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომელი, სპორტის დიდი ქომაგი **თენგიზ თომაძე**.

გეტყვით იმასაც, რომ მკლავჭიდში საქართველოს პირველი ჩემპიონი **ზაურ ცხადაძეა**.

კალათბურთი



სერხიო როდრიგესი

# MVP როდრიგესია

მადრიდის „რეალის“ გამთამაშებელი **სერხიო როდრიგესი** ევროლიგის 2013-14 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, - იტყობინება ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი. ესპანელმა MVP-ის პრიზი გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად მიიღო.

როდრიგესი „რეალის“ ლიდერია შედეგიანობისა (13.5 ქულა) და გადაცემების (5.0) რაოდენობით. გარდა ამისა, სერხიო მეოთხეა ევროლიგის ყველა მოთამაშეს შორის სამქულიანების რეალიზაციის პროცენტით (48.8) და მეშვიდე ეფექტურობის კოეფიციენტით (15.7). ასევე ათეულში შედის ჯარიმების რეალიზაციით (89.2 პროცენტი) და ჩაჭრებით (1.2).

დღეს როდრიგესს სეზონის ერთ-ერთი მთავარი მატჩი ელოდება. მილანში იწყება ევროლიგის „ოთხთა ფინალი“ და „რეალი“ ნახევარფინალში „ბარსელონას“ ეთამაშება. მეორე ნახევარფინალში ისრაელის „მაკაბი“ მოსკოვის ცსკა-ს ხვდება.

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# მონრეალმა წარსული გაიხსენა

„ბოსტონისა“ და „მონრეალის“ სერიის მეშვიდე მატჩი არ გამოდგა ისეთი დამაინტრიგებელი, როგორსაც ყველა ელოდა. ამჯერად არ ყოფილა გიჟური გამოდევნება, სკანდალური ინციდენტები: „კანადიენსის“ ჰოკეისტებმა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს ინიციატივა და დამაჯერებლად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე. პირველი პერიოდის სტარტზე სტუმრებმა „ბრუინზის“ მცველის **ბარტკოვსკის** შეცდომის წყალობით გახსნეს ანგარიში - მან **დეილ უაიზი** „დაკარგა“, რომელმაც ცარიელ კარში შეაცურა შაიბა. მეორე პერიოდის შუაში თითქმის იგივე სიტუაცია შეიქმნა და ამჯერად **მაქს პასიორეტიმ** ერთი შეხებით ახლო მანძილიდან აიღო „ბოსტონის“ კარი - 0:2. **კლოდ ჟულიენის** შეგირდებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ „შათაუტი“ არ შეასრულებინეს „მონრეალის“ მეკარე **კერი პრაისს**, ბოლოს კი შტურმი მოაწყვეს სტუმრების კართან, მაგრამ უშედეგოდ.

„მონრეალს“ 24-ჯერ აქვს მოგებული სტენლის თასი. მისი ბოლო ტრიუმფი 1993 წლით თარილდება და იქიდან მოყოლებული, მხოლოდ მეორედ გავიდნენ აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში, სადაც „ნიუ იორკ რეინჯერსს“ შეხვდებიან.

■ ■ ■

სერიის მეშვიდე მატჩი გაიმართება „ლოს ანჯელესისა“ და „ანაჰაიმის“ სერიაში. „კინგზის“ ჰოკეისტებმა, როგორც იქნა, გასაღები მოუძებნეს წინა ორი მატჩის გმირს, „დაქსის“ დებიუტანტ მეკარე **ჯონ გიბსონს**. გამარჯვების გოლი, რომელიც **ტრევორ ლუისმა** მეორე პერიოდის შუაში შეაგდო, ერთგვარად შემთხვევითი აღმოჩნდა: გიბსონმა მოასწრო რეაგირება, მაგრამ შაიბამ მაინც გაიარა მის ფეხებს შორის და კარში შეცურდა.

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-მონრეალი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ვაიზი-3 (ბრიერი-4, პრუსტი-2), 0:2 პასიორეტი-3 (დეშარნე-4, გალაჰერი-4), 1:2 იგინლა-5 (კრუგი-8, კრეიჩი-4), 1:3 ბრიერი-2 (გალაჰერი-5, ბოლიო-2).

**სერია:** 3-4

**დასავლეთი**

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მუზინი-3 (კოპიტარი-13, გაბორიკი-5), 2:0 ლუისი-4 (ჯასტინ უილიამსი-5, ვოინოვი-2), 2:1 პალმიერი-2 (ბონინო-3).

**სერია:** 3-3

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**ჩეხეთი-იტალია 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სეკაჩი-1 (ჰუდლერი-3, ნემეცი-4), 2:0 იაგრი-2 (ჩერვენკა-2).

**სლოვაკეთი-ნორვეგია 5:2**

2:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ტატარი-1 (შვარნი-1, მიკლიკი-4), 1:1 ბონსაკენი-1 (სტენე-2), 2:1 მიკუში-1 (მიკლიკი-5, დიალოგა-1), 2:2 ასკი-2 (კ-ა. ოლიმბი-1, მ. ოლიმბი-4), 3:2 ნადი-3 (მარინჩინი-1), 4:2 ნადი-4 (დიალოგა-2, ლაცო-1), 5:2 მიკლიკი-2 (ტატარი-2).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 9:4 | 8 |
| 2. კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 10:7 | 7 |
| 3. ჩეხეთი | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 11:10 | 6 |
| 4. ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 10:10 | 6 |
| 5. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 9:7 | 5 |
| 6. სლოვაკეთი | 4 | 1 | 0 | 1 | 2 | 11:14 | 4 |
| 7. დანია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7:8 | 3 |
| 8. იტალია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 3 |

**B ჯგუფი**

**შვეიცარია-გერმანია 3:2**

1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბრუნერი-2 (ოლსი-2, ვებერი-1), 1:1 ოპენჰაიმერი-3 (ჰერდლერი-2, ჰოსპელტი-1), 2:1 ჰოლენშტაინი-2 (ოლსი-3, კუნტი-1), 3:1 რომი-1 (ბრუნერი-2, მოზერი-1), 3:2 ოპენჰაიმერი-4 (აკგადი-1, ჰოსპელტი-2).

**რუსეთი-ყაზახეთი 7:2**

1:0, 3:0, 3:2

**გოლები:** 1:0 პლოტნიკოვი-3 (ტიხონოვი-3, ოვეჩკინი-4), 2:0 იაკოვლევი-1 (ზარიპოვი-4, ბელოვი-3), 3:0 ზარიპოვი-2 (ტიხონოვი-4, პლოტნიკოვი-2), 4:0 კულემინი-3, 5:0 ტიხონოვი-4 (პლოტნიკოვი-3, ოვეჩკინი-5), 5:1 პანშინი-1 (დალმენი-4, ანტროპოვი-3), 5:2 სპირიდონოვი-1 (ბლოხინი-1, ივანოვი-1), 6:2 პლოტნიკოვი-4 (ტიხონოვი-5, ზარიპოვი-5), 7:2 ბურმისტროვი-1 (კუზნეცოვი-1, დადონოვი-2).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 22:5 | 12 |
| 2. აშშ | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| 3. ლატვია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| 4. ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9:10 | 6 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 1 | 0 | 2 | 7:10 | 5 |
| 6. ფინეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 8:7 | 3 |
| 7. შვეიცარია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 8:14 | 3 |
| 8. ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 1 | 3 | 8:18 | 1 |

NBA. პლეი ოფი

# ბრუკლინს ცოტა არ ეყო

წლევანდელმა პლეი ოფმა აჩვენა, რომ რაც უფრო მძიმე მდგომარეობაშია „ბრუკლინი“, მით უფრო უკეთ ახერხებს თამაშს. ამ გუნდმა 2:3-დან გადაარჩინა „ტორონტოსთან“ სერია, გარდა ამისა, ღირსეულად ჩაატარა ბოლო სამი მატჩი „მაიამის“ წინააღმდეგ, მაგრამ სულ ცოტა არ ეყო გუშინ გამარჯვებისთვის.

გუშინდელ შეხვედრაში **ჯეისონ კიდის** შეგირდებმა თითქმის მოგებული თამაში დათმეს. პირველ ტაიმში სტუმრებმა სუპერდაცვა ითამაშეს და მეტოქეს 16-დან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდებინეს, **ლებრონ ჯეიმსი** კი მხოლოდ იმით იყო გამორჩეული, რომ პასებით ამარაგებდა **დუეინ უეიდს**. „მეფე“ არ ტოვებდა იმ კალათბურთელის შთაბეჭდილებას, რომელმაც წინა მატჩში 49 ქულა ჩააგდო.

მეორე ტაიმშიც ძალიან დიდი ხანი „მაიამისთვის“ ქულებში სხვაობა უარყოფითი იყო. როგორც კი მასპინძლები ორი-სამი ქულის მანძილზე უახლოვდებოდნენ მეტოქეს, „ბრუკლინი“ მაშინვე ახერხებდა ძველი ჰანდიკაპის აღდგენას.

სტუმრებისთვის პირველი საგანგაშო სიგნალი სირენამდე ოთხწუთ-ნახევრით ადრე გაისმა, როცა **ჯონსონს, პირსს, გარნეტსა** და „ნეტსის“ სხვა მოთამაშეებს სროლა აღარ წაუვიდათ, თან გაუარესდა თამაში დაცვაში. ამის შედეგი იყო ლებრონ ჯეიმსისა და **რეი ალენის** სამქულიანები. ამ სროლებს შორის ვიხილეთ ლებრონის ბრწყინვალე დაფარება ჯონსონის წინააღმდეგ. მოკლედ „მაიამი“ 10:0 გაიქცა და მასპინძლები მეორე ტაიმში პირველად გავიდნენ წინ - 93:91.



ლებრონ ჯეიმსი

სათამაშო რჩებოდა კიდევ 32 წამი. და დროის ამ მონაკვეთში კინაღამ მეორე სამსაჯო სკანდალი ვიხილეთ. მსაჯებმა ვერ დაინახეს ლებრონის ჯარიმა პოლ პირსზე. საჭირო გახდა ვიდეოს ნახვა. წესების თანახმად, ჩანაწერის მეშვეობით პერსონალური არ ფიქსირდება და მას მხოლოდ იმის გასარკვევად იყენებენ - ბოლოს ვინ შეეხო ბურთს. „ნეტსისთვის“ საბედნიეროდ, ბურთი სტუმრებს გადასცეს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ **შონ ლივინგსტონს** „ბრუკლინის“ ზედიზედ მეცხრე (!) შეცდომა დაეშვა. საპასუხოდ ალენმა ორი ზუსტი საჯარიმოთი სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა. ფლორიდელებს ხასიათი ვერ გაუფუჭა ჯონსონის სამქულიანმა, რადგან ბოლო წამებზე ლებრონმა ჩაჭრა განახორციელა და შემდეგ მაყურებლებთან ერთად დაიწყო ზეიმი - „მაიამი“ ნახევარფინალში გავიდა.

**მაიამი-ბრუკლინი 96:94**

23:22, 19:27, 24:26, 30:19

**მ:** ჯეიმსი (29+9 მოხსნა+5 პასი), უეიდი (28), ბოში (16), ალენი (13), ლუისი (5), ჯონსი (3), ჩელმერსი (2+7 პასი+7 მოხსნა), ანდერსენი (0+6 მოხსნა).

**ბ:** ჯონსონი (34+7 მოხსნა), პირსი (19), უილიამსი (17+4 პასი), ლივინგსტონი (8), ტელეტოვიჩი (6), კირილენკო (4), გარნეტი (2+8 მოხსნა), ანდერსონი (2), ტორნტონი (2).

**სერია:** 4-1



პორტლენდმა სეზონი დაასრულა

„სან ანტონიო სპურსმა“ დაამტკიცა, რომ „პორტლენდთან“ წინა მატჩში წაგება მხოლოდ გაუგებრობა იყო. გუშინ, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა არ შეიმჩნიეს **ტონი პარკერის** ტრავმა და მორიგი გაკვეთილი ჩაუტარეს „ბლეიზერსს“. ფრანგმა გამთამაშებელმა მეორე მეოთხედში მუხლი დაიზიანა და მოედანზე აღარ გამოჩენილა. მისი ფუნქციები **კავაი ლეონარდმა** და **პატრიმ მილზმა** გადაიბარეს და ეს ძალიან კარგადაც გამოუვიდათ. ლეონარდმა 5 ჩაჭრით დაასრულა შეხვედრა, მილზმა კი 18 ქულა დააგროვა.

პარკერის გარეშე „სპურსის“ თამაშის ტემპი არ დავარდნილა: მასპინძლებმა 15-დან 12 სწრაფი გარღვევა ზუსტი სროლით დაასრულეს. „პორტლენდისთვის“ მეტოქის ასეთი კალათბურთი დიდი პრობლემა აღმოჩნდა.

# როცა პარკერი საჭირო არ არის

საინტერესოა, რომ პარკერის ტრავმის შემდეგ, „სან ანტონიოს“ სათადარიგოთა სკამმა პირწმინდად დაჩაგრა „პორტლენდის“ რეზერვისტები - 40 ქულა შვიდის წინააღმდეგ. თუმცა, რა თქმა უნდა, ტეხასელები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ფრანგი რაც შეიძლება მალე ჩადგეს მწყობრში. ჯერჯერობით ექიმები არაფერს იტყობინებიან ტრავმის ხარისხის შესახებ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ პარკერს უბრალოდ დასვენების საშუალება მისცეს.

აღვნიშნავთ, რომ „სან ანტონიო“ ზედიზედ მესამედ გავიდა დასავლეთი კონფერენციის ფინალში. იმის გათვალისწინებით, რომ გრეგ პოპოვიჩის შეგირდები საშუალოდ 19.5-ქულიანი სხვაობით ამარცხებდნენ „პორტლენდს“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „სან ანტონიო“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება.

**სან ანტონიო-პორტლენდი 104:82**

19:19, 32:25, 26:19, 27:19

**ს-ა:** ლეონარდი (22+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), გრინი (22+9 მოხსნა), მილზი (18+3 ჩაჭრა), დანკანი (16+8 მოხსნა), ჯინობილი (9), დიაო (5), ბელინელი (4+5 მოხსნა), სპლიტერი (4+7 პასი), ბონერი (2), ჯოზეფი (2).

**პ:** ოლდრიჯი (21+10 მოხსნა), ლილარდი (17+10 პასი), მეტიუზი (14), ლოპესი (12+9 მოხსნა), ბატუმი (10+12 მოხსნა+5 პასი), ბარტონი (6), რობინსონი (2).

**სერია:** 4-1

# კერი მეომრებს გაწვრთნის

როგორც ESPN იტყობინება, **სტივ კერი** დათანხმდა „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ წინადადებას და მომავალი სეზონიდან ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდება. ლაპარაკია 25 მილიონი დოლარის ღირებულების 5-წლიან კონტრაქტზე. NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი „მეომრების“ დამრიგებლის პოსტზე პლეი ოფის პირველი რაუნდის შემდეგ გათავისუფლებულ **მარკ ჯექსონს** შეცვლის.

*„ამგვარი გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზით მეჩვენება მართებულად. „უორიორზი“ - ახალგაზრდა და ძალიან კარგი გუნდია. მისი ადგილმდებარეობაც იდეალურია ჩემთვის, რადგან ჩემი შვილები კალიფორნიაში სწავლობენ და მათი ხშირად ხილვის საშუალება მექნება“*, - ასე ახსნა თავისი არჩევანი კერმა.

48 წლის კერი, რომელსაც არ გააჩნია NBA-ში მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება, „ნიუ იორკ ნიქსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მთავარ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ სტივმა უარი უთხრა თავის ყოფილ დამრიგებელს, ამჟამად „ნიქსის“ პრეზიდენტ **ფილ ჯექსონს**.



სტივ კერი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ნადალი მარეიზე გავიდა



ტომი ჰაასი

გუშინ, რომის მასტერსზე მერვედფინალების დღე იყო. თავდაპირველად უნდა თქვათ სენსაციაზე, რომელიც გერმანელმა **ტომი ჰაასმა** შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** დამარცხებით შემოგვთავაზა - 5:7, 6:2, 6:3. მიუხედავად იმისა, რომ ჰაასმა 40 უნებლიე შეცდომა დააგროვა, მისმა აგრესიულმა ჩოგბურთმა გაამართლა და ორ საათში გაიფორმა მეოთხედფინალის საგზური. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა ამ სეზონში პირველად დაამარცხა ტოპ-ათეულის წევრი.

ჯერჯერობით სეტის წაუგებლად მიიწევს წინ ბრიტანელი **ენდი მარეი**. გუშინ მას დაბადების დღე ჰქონდა - 27 წლის გახდა და საკუთარ თავს საჩუქრად **იურგენ მელცერთან** გამარჯვება მიუძღვნა - 7:6(1), 6:4. პირველ სეტში ბრიტანელმა დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა და ტაი-ბრეიკზე გაანადგურა მეტოქე, მეორე პარტიაშიც ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც ენდიმ კიდევ ერთხელ აიღო ავსტრიელის მოწოდება და მეოთხედფინალში გააღწია.

აქ მარეის მეტოქე იქნება მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი**, რომელსაც ბოლო ორ დღეში ორი სამსეტიანი მატჩის ჩატარებამ მოუწია. მეორე რაუნდში მან სამსაათ-ნახევრის შემდეგ გატეხა ფრანგი **ჟილ სიმონის** წინააღმდეგობა, გუშინ კი გაუჭირდა რუსი **მიხაილ იუჟნის** წინააღმდეგ, როცა პირველ სეტში ბრეიკიანი უპირატესობა გაფლანგა და ტაი-ბრეიკზე წააგო, მეორეში კი 0:2 ჩამორჩა. და აქედან მოყოლებული დაიწყო ესპანელის შოუ - მან ზედიზედ 11 (!) გეიმი მოიგო და მხოლოდ მესამე სეტში 5:0 დაწინაურების შემდეგ დაანება ერთი გეიმი რუსს - 6:7(4), 6:2, 6:1.

სხვათა შორის, ნადალი და მარეი დიდი ხანია არ შეხვედრიან ერთმანეთს - ბოლოს მათ 2011 წელს ტოკიოს ტურნირის ფინალში ითამაშეს და ის შეხვედრა ბრიტანელმა მოიგო.

# პარიზში მთელი ოჯახით

რომის მასტერსზე წაგების შემდეგ, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა კომენტარი გაუკეთა იტალიის დედაქალაქში საკუთარ გამოსვლას. შეგახსენებთ, რომ ლეგენდამ მეორე რაუნდის მატჩი წააგო ფრანგ **ჟერემი შარდისთან** - 6:1, 3:6, 6:7(6).



როჯერ ფედერერი

*„ამ მარცხს ძლიერ ქარს ვერ დავაბრალებ, რადგან ორივენი თანაბარ პირობებში ვიყავით. უბრალოდ, მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა, მე კი ვერ შევძელი იმ უპირატესობის განვრცობა, რომელიც პირველ სეტში მოვიპოვე. თუმცა მესამე სეტში მატჩბოლი მქონდა, მაგრამ პირველი მოწოდება არ გამომივიდა, რითაც მოწინააღმდეგეს შანსი მივეცი, რაც მან კარგად გამოიყენა“*, - განაცხადა ფედერერმა.

ახლა როჯერი როლან გაროსისთვის სათანადოდ მომზადებას აპირებს. ის არ გამორიცხავს პარიზში ოჯახის წევრებთან ერთად ჩავიდეს, მათ შორის ახლახანს დაბადებულ ტყუპ ვაჟთან ერთად.

*„იმედია, პარიზში ყველანი ერთად ჩავალთ. ამჯერად ვიცით, როგორ უნდა მოვუაროთ გზაში ბავშვებს. მაილასა და შარლინის შემთხვევაში, ეს ნამდვილი გამოწვევა იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ერთი წელი შეუსრულდათ და სიარული დაიწყეს“*, - დაამატა როჯერმა.

ამბები

ჩოგბურთი

## უაილდ-ქარდები დარიგებულია

საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ძირითად ბადეში მოსახვედრად ინდივიდუალური მოსაწვევები (უაილდ-ქარდი) დაარიგეს.

მამაკაცებს შორის როლან გაროსზე გამოსვლის უფლება მიიღეს: ფრანგებმა **მიკაელ ლოდრამ, პოლ-ანრი მატიომ, პიერ-იუგე ერბერმა, აქსელ მიშონმა, ლუკა პუიმ, ალბანო ოლივეტიმ**, ამერიკელმა **რობი ჯინეპრიმ** და ავსტრალიელმა **ნიკ კირგიოსმა.**

ქალთა ტურნირზე უაილდ-ქარდის მფლობელები გახდნენ: ფრანგები **ფიონა ფერო, კლერ ფიორსტენი, ამანდინ ჰესე, მატილდა იოჰანსონი, ალიზე ლიმი, პოლინ პარმენტიე**, ამერიკელი **ტეილორ თაუნსენდი** და ავსტრალიელი **ეშლი ბარტი.**

როლან გაროსი 25 მაისს დაიწყება და 8 ივნისამდე გაგრძელდება.

## კაპრიატიმ სასამართლო მოიგო

ყოფილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ჯენიფერ კაპრიატიმ** იანვარში წააგო სასამართლო პროცესი თავის ყოფილ ბოიფრენდთან, რომელმაც სპორტსმენი ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. მართალია, კაპრიატი პატიმრობას გადაურჩა, მაგრამ 30-საათიანი გამოსასწორებელი სამუშაოები მიესაჯა.

ახლა კი იტყობინებიან, რომ კაპრიატიმ სასამართლო მოუგო თავის ყოფილ აგენტს **დევიდ შუგარმენს**. ამ უკანასკნელმა თებერვალში გამოაცხადა გაკოტრების შესახებ, მაგრამ მანამდე მიითვისა 725 ათასი დოლარი, რომელიც კაპრიატის დაზღვევის პოლისი იყო.

ჯენიფერმა სასამართლოს მიმართა, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა - აგენტი ვალდებულია ყოფილ ჩოგბურთელს 510 ათასი დოლარი დაუბრუნოს, აგრეთვე დაფაროს სპორტსმენის სასამართლო ხარჯები.

## ბერდიხი დევისზე ბრუნდება

ჩეხეთის პირველმა ნომერმა **ტომაშ ბერდიხმა** გამოაცხადა, რომ ითამაშებს დევისის თასის ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ წელს გამოტოვა ამ ტურნირის პირველი ორი რაუნდი ფიზიკური დატვირთვების შემცირების მიზნით.

*„ყოველთვის ამაყი ვარ, როცა ჩემს ქვეყანას წარმოვადგენ დევისის თასზე. აუცილებლად ვითამაშებ საფრანგეთის წინააღმდეგ“*, - დაწერა საკუთარ „ტვიტერზე“ ბერდიხმა.

კრივი

## კლიჩკოს მოცდა მოუწევს

მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) პრეზიდენტმა **მაურისიო სულეიმანმა** სუპერმძიმე წონაში ამ ორგანიზაციის ახალ ჩემპიონს **ბერმეინ სტივერნს** არ მისცა უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოსთან** ბრძოლის უფლება.

შეგახსენებთ, რომ უმცროსმა კლიჩკომ სტივერნთან ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩატარების სურვილი გამოთქვა, მაგრამ სულეიმანიმ განაცხადა, რომ სტივერნს ჯერ **დეონტეი უაილდერთან** ტიტულის აუცილებელი დაცვა მოუწევს.

*„შემდეგი ბრძოლა უნდა გაიმართოს სტივერნსა და უაილდერს შორის, რომელიც აუცილებელი პრეტენდენტია. თუ უაილდერი დათმობს, ამ შემთხვევაში სტივერნისა და კლიჩკოს ბრძოლა შედგება. თუმცა პრომოუტერული კომპანია „გოლდენ ბოი“, რომელიც დეონტეის ინტერესებს იცავს, უკვე გამოთქვა უაილდერ-სტივერნის ბრძოლის ჩატარებით დაინტერესება“*, - ამბობს სულეიმანი.

მოტოგრანპრი

## მარკესმა კონტრაქტი გაახანგრძლივა

მოტოგრანპრიში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ესპანელმა **მარკ მარკესმა** გაახანგრძლივა კონტრაქტი „ჰონდასთან“. ახალგაზრდა მოტომრბოლი იაპონურ საჯინიბოში მინიმუმ 2016 წლის ბოლომდე დარჩება.

მარკესმა მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პირველივე სეზონში მოიპოვა, წელს კი ოთხიდან ოთხი რბოლა მოიგო და საერთო ჩათვლაში თანაგუნდელ **დანი პედროსას** უკვე 28 ქულით გაუსწრო.

*„ყოველთვის ვოცნებობდი გავმხდარიყავი „ჰონდას“ წევრი და ამ გუნდის მადლობელი ვარ იმის გამო, რომ ოცნება ამისრულა*, - ამბობს მარკესი. - *ამ სეზონში ყველაფერი ძალიან სწრაფად ვითარდება და არასოდეს მეგონა, რომ ასეთ შედეგებს მივაღწევდი. პირველივე სეზონში ჩემპიონის ტიტულის მოპოვება - კიდევ ერთი ოცნებაა, რომელიც რეალობად იქცა. მოხარული ვარ, რომ კიდევ ორი სეზონით ვრჩები ამ გუნდში“*.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **I ლიგა. პლეი ოფი** | |
| როტერჰემი-პრესტონი | 3:1 |
| **იტალია** | |
| **სერია C** | |
| პერუჯა-ენტელა | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ჰამბურგი-ფიურტი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ალკმაარი-გრონინგენი | 0:0 |
| სპარტა-დორდრეჰტი | 2:2 |
| ექსელსიორი-ვაალვიკი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი I** | |
| გენკი-ბრიუგე | 3:2 |
| ლოკერენი-სტანდარდი | 1:3 |
| ვარეგემი-ანდერლეხტი | 1:2 |
| **პლეი ოფი II** | |
| ეუპენი-მუსკრონი | 2:2 |
| სტ. ტრუილენი-ჰევერლე | 2:1 |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| ინგლისი-ჰოლანდია | 0:2 |
| თურქეთი-მალტა | 4:0 |
| პორტუგალია-გერმანია | 1:0 |
| შვეიცარია-შოტლანდია | 1:3 |
| **დანიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპიოკარნა-მიალბიუ | 0:1 |
| ნორჩოპინგი-ფალკენბერგსი | 0:3 |
| აიკ-ელფსბორგი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| არაუ-ბაზელი | 1:3 |
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 4:1 |
| ლოზანა-ციურიხი | 0:1 |
| სტ. გალენი-სიონი | 2:0 |
| თუნი-იანგ ბოიზი | 0:3 |
| **რუსეთი** | |
| ამკარი-კრასნოდარი | 2:2 |
| ანჟი-კრილია | 0:1 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 1:0 |
| ყუბანი-ზენიტი | 1:4 |
| რუბინი-ტერეკი | 1:1 |
| სპარტაკი-დინამო | 3:2 |
| ტომი-როსტოვი | 3:2 |
| ვოლგა-ურალი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-გაზოვიკი | 1:4 |
| ნეფტიხიმიკი-ანგუშტი | 5:1 |
| ნალჩიკი-მორდოვია | 1:0 |
| არსენალი-დინამო (ს-პ) | 0:1 |
| როტორი-ენისეი | 1:0 |
| ტორპედო-სიბირი | 0:0 |
| ბალტიკა-შინიკი | 2:2 |
| **უკრაინის თასი** | |
| **ფინალი** | |
| დინამო-შახტარი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-კორონა | 5:0 |
| კლუჟი-გაზ მეთანი | 3:1 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ბოტევი-ლუდოგორეცი | 0:1 |
| **ბელარუსი** | |
| ბატე-დინამო (მნ) | 0:0 |
| ნემანი-გომელი | 1:1 |
| შახტიორი-მინსკი | 3:1 |
| **სინგაპური** | |
| ბალესტიერი-იანგ ლაიონსი | 3:1 |
| ვუდლენდსი-ჰუგანგი | 1:1 |

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 72:71 (ო) |
| ბამბერგი-ერტლანდი | 75:77 |
| ალბა-ულმი | 64:71 |
| ბავარია-ლუდვიგსბურგი | 104:82 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 83:77 |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 84:58 |
| **ესპანეთი** | |
| კანარიასი-ვალენსია | 91:100 |
| **საფრანგეთი** | |
| დიჟონი-ლე მანი | 81:77 |
| პარიზი-ნანსი | 97:75 |

**ჰოკეი**

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| კანადა-დანია | 6:1 |
| აშშ-ლატვია | 5:6 |
| ფინეთი-ბელარუსი | 2:0 |
| შვედეთი-საფრანგეთი | 2:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. რომი | |
|---|---|
| ვავრინკა-ჰაასი | 7:5, 2:6, 3:6 |
| ცონგა-რაონიჩი | 6:7, 4:6 |
| მარეი-მელცერი | 7:6, 6:4 |
| შარდი-დოდიგი | 6:3, 6:2 |
| დიმიტროვი-ბერდიხი | 6:7, 6:2, 6:2 |
| ნადალი-იუჟნი | 6:7, 6:2, 6:1 |
| ფერერი-გულბისი | 6:2, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-კოლშრაიბერი | 4:6, 6:2, 6:1 |
| **WTA. რომი** | |
| სტოსური-ნა ლი | 3:6, 1:6 |
| ჩეტკოვსკა-ერანი | 4:6, 6:7 |
| სკიავონე-ა. რადვანსკა | 4:6, 1:6 |
| ივანოვიჩი-შარაპოვა | 6:1, 6:4 |
| მაკჰეილი-ჟანგი | 2:6, 6:4, 2:6 |
| იანკოვიჩი-პენეტა | 6:2, 6:3 |
| ს. უილიამსი-ლეპჩენკო | 6:1, 6:2 |

ფორმულა 1

# ფეტელი: მონაკოში მოგება შეიძლება

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე „რედ ბული“ „დანარჩენებს შორის საუკეთესო“ გახდა - **დანიელ რიკარდომ** და **სებასტიან ფეტელმა** მხოლოდ „მერსედესთან“ წააგეს. წინ არის მონაკოს გრანპრი და მონტე კარლოში საკუთარი გუნდის პერსპექტივებზე საუბრისას ფეტელმა განაცხადა, რომ სეზონში პირველი გამარჯვების იმედი აქვს.

*„ვფიქრობ, შევძლებთ ბრძოლა მოვახვიოთ თავს „მერსედესს“. რთულია პროგნოზების გაკეთება, მაგრამ მონაკოში ძრავის სიმძლავრე არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა იმდენი, როგორც სხვა ავტოდრომებზე. შეიძლება წამოვიდეს წვიმა, რაც ასევე დაგვეხმარება, რადგან სველ ტრასაზე ყოველთვის არსებობს ნებისმიერი მოწინააღმდეგის გასწრების შანსი.*

*ამ კვირას მიმდინარე ტესტებზე სპეციალურად მონაკოსთვის არ ვემზადებით. ჩვენთვის უფრო სასარგებლოა მანქანის მთლიანად შესწავლა, ვიდრე ერთი ცალკეული რბოლისთვის მზადება“*, - ამბობს ფეტელი.

ასევე მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა კომენტარი გაუკეთა ამ დღეებში გავრცელებულ ჭორს იმის შესახებ, თითქოს მან სეზონის პირველ ოთხ რბოლაში დაზიანებული შასით იასპარეზა: *„ის არ ყოფილა დაზიანებული, პრობლემა სხვაგან იყო. ბარსელონაში სწორი მიმართულებით დიდი ნაბიჯი გადავდგით. გასული უქმეები ჩემთვის მოკლე იყო, რადგან ბევრი წრე არ შემისრულებია, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ გაცილებით უკეთ ვგრძნობდი მანქანას, ვიდრე ეს წინა რბოლებში იყო“*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სებასტიან ფეტელი

# ასე იბადებოდა ფორმულა 1

**ფორმულა 1 64 წლის წინ, 13 მაისს სილვერსტოუნში დაიბადა. ამ თარიღთან დაკავშირებით გავიხსენებთ - როგორი იყო რბოლები გასული საუკუნის 50-იან წლებში.**

რბოლა სილვერსტოუნში, რომელიც ხსნიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორიას, დიდი პომპეზურობით მზადდებოდა. ბრიტანეთის სამეფო საავტომობილო კლუბმა უფლება მიიღო სილვერსტოუნში სამხედრო აეროდრომზე გაემართა ევროპის გრანპრი. შეჯიბრებაზე დასასწრებად სამეფო ოჯახიც კი შეიკრიბა - მეფე **გეორგ VI**, დედოფალი **ელისაბედი** და პრინცესა **მარგარეტი**. ევროპის საუკეთესო პილოტები თავიანთი ეპოქის უსწრაფესი მანქანებით იბრძოდნენ ბოლო დროის ყველაზე პრესტიჟულ რბოლაში და ამით იწყებდნენ ფორმულა 1-ის ისტორიას. ამ ერთ ჩემპიონატში გაერთიანდა პლანეტის პრესტიჟული რბოლები მონაკოდან, ინდიანაპოლისიდან, სპადან და მონცადან. ასეთი იყო გეგმა.

## გზად სილვერსტოუნისკენ

ბრიტანეთის რბოლამდე რამდენიმე შეჯიბრება გაიმართა, მაგრამ მათი შედეგები საერთო ჩათვლაში არ შედიოდა. პოსა და ჰუდვუდში „ალფა-რომეოს“ არყოფნაში გაიმარჯვეს „მაზერატის“ მანქანებმა, მაგრამ ექვსი დღის შემდეგ **ხუან-მანუელ ფანხიომ** სან რემოში მოიგო და პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა „ალფა-რომეო 158“ (ამ მანქანას მეორენაირად „ალფეტასაც“ უწოდებდენ). სილვერსტოუნის რბოლამდე მთელი ყურადღება სწორედ „ალფა რომეოსკენ“ იყო მიპყრობილი: „158“ იმ დროისთვის საუკეთესო მანქანა იყო.

იტალიური გუნდი ფავორიტად მიიჩნეოდა, მისი მთავარი ვარსკვლავი კი **ჯუზეპე ფარინა** გახლდათ. *„ის ნამდვილი გიჟი იყო. არ ჩავჯდებოდი მანქანაში, რომელსაც ის მართავდა“*, - ჰყვებოდა თავის პარტნიორზე ხუან-მანუელ ფანხიო. აბსოლუტურად უშიშარი პილოტის რეპუტაციასთან ერთად, „ნინო“ ფარინამ ეგოისტის ხასიათიც მიიღო. მას საერთოდ არ ანალვლებდა ავტორიტეტები. ასე იყო ჯერ კიდევ ომამდე. მაგალითად, 1936 წელს ტრასაზე ფარინას მოქმედებამ გამოიწვია **მარსელ ლეჰუს** დაღუპვა. ორი წლის შემდეგ ჯუზეპე შეეჯახა **ლასლო ჰარტმანს** - ორივე პილოტი ბოლიდიდან ამოვარდა, მაგრამ თუ იტალიელი მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა, ჰარტმანი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ფარინასი ყველას ეშინოდა, მაგრამ სილვერსტოუნის რბოლის წინ იტალიელის გამოსვლა ეჭვქვეშ დადგა - ცოტა ხნით ადრე ჯუზეპემ ტრავმა მიიღო და „ალფა რომეო“ მის ნაცვლად ტრასაზე ტესტ-პილოტის **კონსალვო სანეზის** გაყვანას აპირებდა.

ამავდროულად, პირველად ასეთ მაღალ დონეზე „ალფეტას“ საჭესთან უნდა დამჯდარიყო ფანხიო. არგენტინელმა ბრწყინვალე სტილში მოიგო სან რემოში, მაგრამ იქ „ალფა რომეოს“ ერთადერთი პილოტი იყო და ჯერჯერობით შეუძლებელი იყო მისი სიჩქარის შედარება ფარინას ტემპთან. ყველამ იცოდა, რომ ფანხიო ძალიან სწრაფი იყო, მაგრამ მისი უხეში მართვის სტილი არ უხდებოდა „158“-ს - ეს მანქანა დელიკატურ მოპყრობას საჭიროებდა. ბევრს აინტერესებდა - შეძლებდა თუ არა ხუან-მანუელი ფარინასთვის კონკურენციის გაწევას, ამასთან, არავინ ივიწყებდა **ფაჯოლისა და პარნელს** - ბრიტანელმა პირველად მიილო თავის განკარგულებაში ეს მანქანა და იმედი ჰქონდა, რომ საშინაო ტრასაზე გაიბრწყინებდა.

ევროპის გრანპრის მთავარი იმედგაცრუება გახდა „ფერარის“ არყოფნა. ეს გამოწვეული იყო სან რემოში მტკივნეული ნაგებით, როცა პოულის მფლობელმა **ალბერტო ასკარიმ** და მისმა პარტნიორმა **ლუიჯი ვილორეზიმ** ვერაფერი დაუპირისპირეს ფანხიოს. სან რემოს რბოლამ აჩვენა, რომ „ფერარი 125“ მზად არ იყო „ალფა რომეო 158“-თან საბრძოლველად და **ენცო ფერარიმ** გადაწყვიტა ყურადღება ახალი მანქანის გაძლიერებაზე გადაეტანა. ასევე უარი თქვა სილვერსტოუნის რბოლაში ინგლისურმა BRM-მ - ინჟინრები ამზადებდნენ რევოლუციურ ლიტრნახევრიან ძრავას, მაგრამ გრანპრისთვის ვერ მოასწრეს.

„ალფა რომეოს“ მთავარ კონკურენტებად, ტრადიციულად, „მაზერატის“ პილოტები მიიჩნეოდნენ, მაგრამ რამდენიმე სიურპრიზი მოამზადეს სხვა გუნდებმაც. ERA-მ გააუმჯობესა ახალი მანქანა, „ტალბოს“ კი იმედი ჰქონდა, რომ დისტანციას საწვავის დამატების გარეშე გაივლიდა, რაც ორი-სამი წუთის მოგებას ნიშნავდა. ამის ხარჯზე ფრანგულმა მანქანამ ორი კვირით ადრე დამაჯერებლად მოიგო პარიზის გრანპრი.



ჯუზეპე ფარინა

## თავისუფალი პრაქტიკა და კვალიფიკაცია

„ალფა რომეოს“ მანქანები ყველაზე სწრაფები იყვნენ მონაწილეებს შორის - „158“ 15 კმ/სთ-ით სწრაფი იყო „მაზერატიზე“. მაგრამ „სილვერსტოუნზე“ მაქსიმალური სიჩქარე არ იყო მთავარი ფაქტორი - აეროდრომის პერიმეტრზე განთავსებულ ტრასაზე პირველ პლანზე გამოდიოდა სისწრაფე მოსახვევში და დინამიკა მოსახვევებიდან გამოსვლისას. თუმცა უკვე ვარჯიშებისას გამოჩნდა, რომ „ალფეტა“ ამ კომპონენტებშიც სხვებზე უკეთესი იყო.

ხუთშაბათს წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა ჯუზეპე ფარინამ, რომელმაც ორი მეათედით აჯობა ფანხიოსა და ფაჯოლის. პარნელმა ლიდერთან თითქმის ნახევარი წამი წააგო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა მეოთხე პოზიციის დასაკავებლად. ფარინა ერთადერთი იყო, ვინც 1.51-დან გამოვიდა - მან აჩვენა წუთი და 50.8 წამი. სხვა გუნდებიდან საუკეთესონი იყვნენ პრინცი **ბირა** „მაზერატიდან“ და **კაბანტუ** „ტალბოდან“, მაგრამ მათი დრო შესაბამისად 1.52,6-სა და 1.53,4-ს უდრიდა.

ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი პოული, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯუზეპე ფარინამ მოიგო. ორი მეათედით ჩამორჩა მას ფაჯოლი, ფანხიო მესამე იყო, პარნელი - მეოთხე. ბირამ და კაბანტუმ ექვსეული შეავსეს.

## ისტორიის სტარტი

შაბათს, 13 მაისს, დღის სამ საათზე სასტარტო ბილიკზე განლაგდა 21 ავტომობილისგან შემდგარი პელოტონი. ევროპის გრანპრიში მონაწილეობა მიიღო ცხრა ქვეყანამ. მათ განკარგულებაში იყო ექვსი სხვადასხვა მწარმოებლის მანქანა. დედოფლისა და კიდევ ორი ათასი მაყურებლის თანდასწრებით მრბოლელებმა დაიწყეს ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი რბოლა...

ჯუზეპე ფარინამ დამაჯერებელი სტარტი აიღო და ლიდერი გახდა, მის უკან კი ფაჯოლი და ფანხიო მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ. მათთან ახლოს იყო მეოთხე „ალფა რომეო“ - პარნელი ინარჩუნებდა ლიდერთა ტემპს, მაგრამ ბრძოლაში არ ერეოდა. ამ დროს სხვა მანქანები ლიდერთა ფონზე სუსტად გამოიყურებოდნენ - ათი წრის შემდეგ, პრინცი ბირა „მაზერატიდან“ ლიდერებს ნახევარი წუთით ჩამორჩა, კაბანტუ „ტალბოდან“ კი თავად ბირას ვერ ეწეოდა.

როცა ცხადი გახდა, რომ „ალფა რომეოს“ მეტოქეები არ ჰყავდა, მისმა პილოტებმა ერთმანეთში ბრძოლა დაიწყეს. ფარინა ვერ ახერხებდა კომფორტული უპირატესობის მოპოვებას და მეათე წრეზე იტალიელს ფაჯოლიმ გაუსწრო, თუმცა ჯუზეპემ მალე დაიბრუნა ლიდერობა. მოგვიანებით, ფარინას უკვე ფანხიომ შეუტია. არგენტინელმა 38-ე წრეზე წინ გასვლა შეძლო, მაგრამ ამჯერადაც „ნინომ“ დაიბრუნა პირველი ადგილი.

მე-60 წრეზე ფაჯოლიმ პარტნიორებზე ადრე შეასრულა პიტსტოპი და მესამე პოზიციამდე დაქვეითდა. ფარინა და ფანხიო აგრძელებდნენ ბრძოლას პირველი ადგილისთვის. პარნელი, რომელმაც გზად კურდღელი გაიტანა, ლიდერებს 50 წამით ჩამორჩა, შემდეგი მანქანა - კაბანტუს „ტალბო“ კი იმ მომენტისთვის ფარინასთან სამ წუთს აგებდა. „ალფა რომეოს“ გამარჯვება გარანტირებული ჰქონდა - ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ გუნდის ოთხივე ავტომობილი გამოვიდოდა მწყობრიდან ფინიშამდე დარჩენილ ათ წრეზე.

მაგრამ ერთმა „ალფეტმა“ მაინც ვერ გაძლო: 63-ე წრეზე ფანხიოს მანქანიდან ზეთმა გამოჟონა და არგენტინელი რბოლას ჩამოშორდა. ფარინა საკმაოდ დამაჯერებლად ინარჩუნებდა ფაჯოლისთან უპირატესობას და რბოლა ორწუთნახევრიანი უპირატესობით მოიგო. პარნელი მესამეზე გავიდა - ეს იყო მისი პირველი და ბოლო პოდიუმი ფორმულა 1-ში. მეოთხე და მეხუთე ადგილზე გასულმა კაბანტუმ და **როზიემ** (ორივე „ტალბო“) გამარჯვებულთან ორი წრე წააგეს.

ფარინა ცხრა ქულით სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას, სამი ქულით ნაკლები მიიღო ფაჯოლიმ, ოთხი ქულა დააგროვა პარნელმა, სამი ქულა - ივ-ჟირუ კაბანტუმ და ორი ქულა მეხუთე ადგილისთვის ლუი როზიემ.

## ფარინა და დანარჩენები

სილვერსტოუნის რბოლიდან ერთი კვირის თავზე მონტე კარლოში გაიმართა მონაკოს გრანპრი, სადაც „ალფა-რომეომ“ ისევ დაამარცხა ყველა, მაგრამ ამჯერად გამარჯვება ფანხიოს დარჩა. ბრემგარტენში, პოულის მიუხედავად, არგენტინელმა გამარჯვება ფარინას დაუთმო, სამაგიეროდ, იტალიელზე ძლიერი იყო სპასა და რეიმსში. სეზონის ფინალზე, რომელიც მონცაში გაიმართა, ფანხიო ლიდერის რანგში ჩავიდა - არგენტინელმა მოიგო პოული, მაგრამ 24-ე წრეზე მის მანქანაზე გადაცემათა კოლოფი გამოვიდა მწყობრიდან. იტალიის გრანპრი და მასთან ერთად ფორმულა 1-ში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჯუზეპე ფარინამ მოიგო.

იმ წელს „ალფა რომეომ“ ჩემპიონატის ყველა რბოლა მოიგო „ინდიანაპოლისი 500“-ის გარდა. მეტოქეები კი მხოლოდ იმ რბოლების მოგებით კმაყოფილდებოდნენ, რომლებიც არ შედიოდნენ ჩემპიონატის ჩათვლაში - მაშინ ავტოსპორტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა რბოლისგან შედგებოდა და ორგანიზატორების ჩანაფიქრით, მათგან რამდენიმე ტარდებოდა ფორმულა 1-ის ჩემპიონატის რანგში. **პიტერ უაიტჰედმა** ივლისში „ფერარის“ გამარჯვება მოუტანა სენტ-ჰელიერსა და დანდროდში, ლუი როზიემ „ტალბოს“ მანქანით მოიგო ალბისა და ზანდვოორტში, რეჯ პარნელი უკვე ბრიტანული BRM-ის შემადგენლობაში სექტემბრის ბოლოს გუდვუდში გამართული რბოლის გამარჯვებული გახდა. ამ ეტაპებს ფორმულა 1-ის ისტორიასთან კავშირი არ აქვთ, თუმცა მათ გრანპრის უწოდებდნენ და იქ იმართებოდა სწორედ იმ მანქანების შეჯიბრება, რომელთა მემკვიდრეები დღეს გადიან სტარტზე.

1950 წელს დაწყებული ისტორია 64 წელია გრძელდება. ფარინას შემდეგ ჩემპიონატში კიდევ ბევრი „ცუდი ბიჭი“ გამოჩნდა, რომლებიც არავის უწევდნენ ანგარიშს. ფანხიოს შემდეგ გაჩნდნენ პილოტები, რომლებსაც სრულად შეეძლოდ პილოტირების სტილის შეცვლა ტრასის თავისებურებებისგან გამომდინარე... ფორმულა 1 ცალკე სამყაროდ იქცა, მაგრამ მას საფუძველი სწორედ 1950 წლის 13 მაისს, სილვერსტოუნში სამხედრო ავტოდრომზე ჩაეყარა.

**გია თვალაბეიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად 02:20 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია